წამატება ოთხი ხელით - ორდენის დაბადება A3

"თბილგაზი" გაზის გადასახადს ცვლის A6

საქართველოს პენალტმა ბრაზილიის "სამბა-ექსპრესი" გადაარჩინა B2

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 4 ივნისი, 2002 წელი. №2

ფასი 50 თეთრი

# რას გვიჩვენებს არჩევნების შედეგები




## სოციალისტები არჩევნების გაყალბებაში საკუთარ მოკავშირეებს ამხელენ

თამარ მჭედლიშვილი

*საკრებულოების არჩევნების მეორე დღესვე პოლიტიკური სპექტრი ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა. გუშინ ცხადი გახდა, რომ არაოფიციალური კოალიციური უმრავლესობა, რომელიც ჯერ პარლამენტში, შემდეგ კი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ჩამოყალიბდა, საკმაოდ მყიფეა და მის შიგნით უკვე საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეიქმნა.*

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ამის პირველი ნიშნები გუშინ გამოჩნდა. სოციალისტურმა პარტიამ არჩევნების შედეგების ოქმების გაყალბებაში არა ჟვანია-სააკაშვილის გუნდები ან, თუნდაც, ლეიბორისტული პარტია, არამედ თავისი ერთ-ერთი მოკავშირე დაადანაშაულა და მიანიშნა, რომ მთავარი ექვმიტანილები "ახალი მემარჯვენეები" არიან.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მორიგი სკანდალი გორდება. სოციალისტური პარტია ერთ-ერთ მოკავშირეს ხმის დამთვლელი ოქმების გაყალბებაში ადანაშაულებს. "ცესკოს" სოციალისტი წევრი დენის დავითაშვილი აცხადებს, რომ ტოტალური გაყალბებების შედეგად, მისმა პარტიამ, მინიმუმ, 7200 ხმა დაკარგა.

"სოციალისტებმა" "ცესკოში" საჩივარი უკვე შეიტანეს. კომისია მათ პრეტენზიებს დღეს განიხილავს. საგულისხმოა, რომ გუშინ "ცესკოში" აღარავინ უარყოფდა, რომ ამ ფაქტით დაირღვა ის შეთანხმება, რომელიც ოთხმა პარტიამ: "აღორძინებამ", "მრეწველებმა", "ახალმა მემარჯვენეებმა" და "სოციალისტებმა" ჯერ კიდევ საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების დროს დადეს და რომლითაც საარჩევნო ადმინისტრაციებში ახალი კოალიციური უმრავლესობები შეიქმნა.

არჩევნების წინ ახალმა უმრავლესობამ წარმატებით შეძლო ჟვანიას გუნდის ნეიტრალიზება და საარჩევნო პროცედურებზე სრული კონტროლის დაწესება მოახერხა. "ცესკომ" საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებად სწორედ ამ ოთხი პარტიის მხარდამჭერები დანიშა. მათივე პროტეჟეებით დაკომპლექტდა სპეცჯგუფებიც, ხოლო საარჩევნო ბიულეტენები იმ სტამბაში დაიბეჭდა, რომლის კეთისლისინდისიერებაში ეჭვი სწორედ ამ ოთხ პარტიას არ შეუტანია.

გუშინ კი სოციალისტებმა ამ ერთობის სიმყარეში ეჭვი შეიტანეს.

**სამგორის საარჩევნო უბნებიდან ჩვენი წარმომადგენლების მიერ წამოღებული ოქმები სრულიად განსხვავდება "ცესკოში" შემოტანილი ოფიციალური ოქმებისგან. მონაცემები ან ოლქში, ან აქ, "ცესკოში" გადაკეთდა. მოვითხოვთ ჩვენი ხმების დაჯამებას არა გაყალბებული, არამედ ნამდვილი ოქმების მიხედვით. ეს ყველაფერი იმ პარტიების გაკეთებულია, რომლის წარმომადგენლებიც საუბნო კომისიების თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები და მდივნები იყვნენ. ასეთი, ძირითადად, სამი პარტიაა: "სოციალისტები", "აღორძი-**

გაგრძელება A3 გვერდზე

რუსთავში წინასაარჩევნო ბატალიები გრძელდება A2

ცხელ გულზე A2

დასკვნები და ვარაუდები წინასწარი შედეგების მიხედვით A3

დამოკლეს მახვილი "ახლების" თავზე A4

სტანევსკი საქართველოსთვის ეკონომიკურ ბლოკადას ითხოვს A4

რას წერდა რუსული პრესა რობერტ სტურუას ახალი სპექტაკლის შესახებ B5

ამერიკელები იარაღიჭამია მიკრობებს იგონებენ B6

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 28° | მზიანი |
| ქუთაისი | 28° | მზიანი |
| ბათუმი | 26° | მზიანი |
| სოხუმი | 27° | მზიანი |
| ფოთი | 27° | მზიანი |
| თელავი | 25° | ღრუბლიანი |
| ზუგდიდი | 29° | მზიანი |
| გორი | 26° | ღრუბლიანი |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2200 |
| ევრო | 2.0677 |
| ფუნტი სტერლინგი | 3.2321 |
| რუბლი | 0.0708 |

## შევარდნაძე - სრული ბანკროტი

ეკა კვესიტაძე

"მოქალაქეთა კავშირი" გარდაიცვალა – ამ განცხადების საფუძველი ამომრჩეველთა ის მიზერული რაოდენობა გახდა, რომელმაც ადგილობრივ არჩევნებში ყოფილ მმართველ პარტიას დაუჭირა მხარი, რითაც ხელისუფლებისადმი სრული უნდობლობა აშკარად გამოჩნდა.

არჩევნებში "ლეიბორისტებისა" და "ნაციონალისტების" გამარჯვებამ აჩვენა, რომ ანტიშევარდნაძისტული და ანტისახელისუფლო ლოზუნგი მოსახლეობაში ყველაზე პოპულარულია.

თუმცა, ზოგიერთი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ნათელაშვილისა და სააკაშვილის გამარჯვების მთავარი მიზეზი მათი სოციალურ თემატიკაზე აგებული პოპულისტური ლოზუნგები გახდა, რომელიც დღევანდელი პოლიტიკური კულტურის მქონე ამომრჩეველს უფრო მოსწონს და დამაჯერებლად მიაჩნია.

**"არგუმენტი, რომ ნათელაშვილმა და სააკაშვილმა სოციალურ თემაზე აგებული წინასაარჩევნო კამპანიით მოიგო, არ გამორიცხავს იმას, რომ მათ გამარჯვებას ანტიშევარდნაძისტული ლოზუნგებით მიაღწიეს. ორივე ეს მოსაზრება მართალია და ერთმანეთს ავსებს, რადგან შევარდნაძის ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილებას ფუნდამენტური სოციალური პრობლემები ბადებს."** – ამბობს პოლიტოლოგი ზურაბ ჭიაბერაშვილი.

ანტიკორუფციული საბჭოს ყოფილი წევრი, დავით უსუფაშვილი კი თვლის, რომ ორივე ამ პარტიის მთავარი მიგნება იყო ის, რომ მათ ეს სოციალური პრობლემები შევარდნაძის პოლიტიკას დაუკავშირეს და მასთან იდენტიფიცირებული გახადეს.

ეს არჩევნები უცხოელი დამკვირვებელებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებებით, ყველაზე გაყალბებული იყო. თუნდაც იმიტომ, რომ ამომრჩეველთა ძალიან დიდმა რაოდენობამ სიებში არყოფნის გამო ხმის მიცემა ვერ მოახერხა. მიუხედავად ამისა, ის ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ორი თვალსაზრისით. არჩევნები ნულოვან მდგომარეობაში ჩააყენებული პარტიებისთვის საკუთარი ძალების საცდელი ტესტი აღმოჩნდა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამომრჩევლები გაცილებით უფრო აქტიურები იყვნენ და გაცნობიერებული ქონდათ საკუთარი არჩევანი. მაშინ როცა ხელისუფლებამ თავად მოახდიან არჩევნების საბოტაჟი, მოსახლეობამ არჩევანის გაკეთების უფლების დასაცავად ბოლომდე იბრძოლა.

ასე რომ, დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით, 2 ივნისის არჩევნები, შესაძლოა, თავისუფლად ჩაითვალოს ხელისუფლებისთვის უკან და საზოგადოებისთვის წინ გადადგმულ ნაბიჯად.

ასეთ ვითარებაში კი როცა ხელისუფლება და ხალხი სხვადასხვა მიმართულებით ვითარდება და ერთმანეთს შორდება, იზრდება ამ ორ ძალას შორის კონფრონტაციის ალბათობაც.

დღეს ბევრი ექსპერტი აკეთებს პროგნოზს, რომ შევარდნაძეს მილოშევიჩის ან ჩაუშესკოს ბედი ელის. ან საქართველოს ელის ბოლომდე დაემგვანოს ბელარუსს, აზერბაიჯანს და ცენტრალური აზიის ქვეყნებს. სხვათა შორის, საინტერესოა ის ფაქტი, რომ ახლახან აზერბაიჯანის მილი მეჯლისმა კანონში გრანტების შესახებ შესწორებები მიიღო, რომლის მიხედვით, ხელისუფლებამ სრული კონტროლი დააწესა გრანტებზე და მის მიმღებ არასამთავრობო ორგანიზაციებზე. მილი მეჯლისი ბელორუსიის პრეზიდენტის ლუკაშენკოს მიერ მიღებულმა ანალოგიურმა კანონმა შთააგონა.

ამ კანონით შთაგონებულთა რიცხვში ახლახან საქართველოს პრეზიდენტიც შევიდა და თავისი კოლეგების მსგავსად გრანტების დაბეგვრის ინიციატივით გამოვიდა.

თუმცა, ლუკაშენკოსა და ალიევისაგან განსხვავებით შევარდნაძეს სხვა გარემოში უხდება მსგავსი პოლიტიკის გატარება. ეს არის ის მთავარი ნიშანიც, რაც პრეზიდენტს ცენტრალური აზიის ხელმძღვანელებისგან ანსხვავებს.

შევარდნაძე, ალბათ, უკვე ნანობს, როცა უზბეკეთის პრეზიდენტის კარიმოვის და სხვა ავტორიტარული მმართველების მსგავსად 95-96 წლებშივე არ ჩაკლა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთოდ, სამოქალაქო საზოგადოების ჩანასახი, განვითარების საშუალება მისცა და დღეს უკვე ყელში ძვალივით გაეჩხირა.

შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტი თანდათან რამდენიმე მთავრი საყრდენის გარეშე რჩება. მოსახლეობის ნდობის მანდატი ამოიწურა, მისი, როგორც დემოკრატი მმართველის იმიჯი, დასავლეთის თვალში ნელ-ნელა გაქარწყლდა. ინტელიგენცია კი, რომელიც წარმოადგენდა საქართველოში ჩამოსვლის დღიდან მის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ საყრდენს, ჟვანიამ თითქმის ბოლომდე წაართვა.

**"მე არა მგონია, რომ შევარდნაძე დღეს უფრო ნაკლები მხარდაჭერით სარგებლობდეს, ვიდრე ეს ოთხი-ხუთი წლის წინ იყო. უბრალოდ მაშინ სხვადასხვა მანქანებით ხერხდებოდა სიტუაციის სხვაგვარად წარმოჩენა. იმ მანქანით, რომელსაც მოქალაქეთა კავშირი და იგივე, ჟვანი ედგა სათავეში. დღეს ეს მანქანა დაიშალა და ამიტომ პროცესები გაცილებით უფრო ქაოტური გახდა"** – ამბობს დავით უსუფაშვილი.

დღეს უკვე პრეზიდენტის მთავრი პოლიტიკური საყრდენი ის ოპოზიციური პარტიებია, რომლებიც გაუფორმებელი უმრავლესობის სახით ჩამოყალიბდა პარლამენტში და რომელიც, ალბათ, გაფორმებული სახით, შეიქმნება საკრებულოში და ბუნებრივია, ამ უმრავლეობასთან დაკავშირებული ის მსხვილი გადამხდელების ერთობა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ შევარდნაძისთვის საპრეზიდენტო მმართველობის გაგრძელებას მესამე ვადით ითხოვდა.

## არჩევნების შედეგები გაუქმდეს, ავთანდილ ჯორბენაძე კი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცეს

"სთავაზობს" ზურაბ ჟვანია ედუარდ შევარდნაძეს

გიორგი ასანიშვილი

2 ივნისს მიღწეული წარმატების შემდეგ, ზურაბ ჟვანია საქართველოს პრეზიდენტსა და მის ადმინისტრაციას სთავაზობს, რომ, დარღვევათა მასშტაბურობის გათვალისწინებით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგები შეიძლება, გაუქმდეს და ორი კვირის შემდეგ ახალი არჩევნები ჩატარდეს, ოღონდ იმ პირობით, თუ **"სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ იმ პირებს, ვინც ძალადობას სჩადიოდა, აგრეთვე ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს (მათ შორის, ავთანდილ ჯორბენაძეს), რომლებიც შევარდნაძის დავალებით გაყალბების პროცესებს ხელმძღვანელობდნენ და კორდინაციას უწევდნენ".**

2 ივნისის არჩევნების შედეგების ბათილად ცნობას "ნაციონალური მოძრაობაც" დაახლოებით ამ პირობით უჭერს მხარს.

**"არჩევნების შედეგები მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება გაუქმდეს, როდესაც ხელისუფლებაში მყოფი გამყალბებლები კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებიან. მათი ნაწილი ციხეშია ჩასასმელი – ვინც მოქალაქეების კონსტიტუციურ უფლებებს ფეხქვეშ თელავს, მათ ცივილიზებულ საზოგადოებაში იზოლირებას უკეთებენ"**, - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

თუმცა, რა პასუხიც არ უნდა მიიღონ ჟვანიამ და სააკაშვილმა ხელისუფლებისგან, 2 ივნისის არჩევნების თემა მალე მაინც უკანა პლანზე გადაინაცვლებს. სამაგიეროდ, მეტ აქტუალობას შეიძენს ანტიშევარდნაძისტული კოალიციის ფორმირების საკითხი. ამას ადასტურებს გუშინ პარლამენტში სააკაშვილისა და ჟვანიას ერთობლივ ბრიფინგზე ამ უკანასკნელის მიერ გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ მისი გუნდი, "ნაციონალურ მოძრაობასთან" უკვე აწარმოებს კონსულტაციებს ერთიანი დემოკრატიული ფრონტის, ფაქტობრივად, ხელახლა დასაფუძნებლად.

გაგრძელება A3 გვერდზე

## გამოსვლა მეორე - ლეიბორისტები დაბრუნდნენ

ზაზა წულაძე

*1983 წელს, კრიზისში მყოფ დიდ ბრიტანეთში, ლეიბორისტული პარტია საპარლამენტო არჩევნებზე ახალი რადიკალური პროგრამით გავიდა, რომლის ძირითადი თეზისები, მრეწველობის ნაციონალიზაცია, სადაზღვევო სისტემის გარდაქმნა, სოციალური დახმარებების მოდერნიზება და გეგმიურ ეკონომიკაზე გადასვლა იყო. შედეგად, ბრიტანელი ლეიბორისტები არჩევნებში ყველაზე სამარცხვინო სხვაობით დამარცხდნენ. ზუსტად 19 წლის შემდეგ, თითქმის ანალოგიური რადიკალური პროგრამით, ქართველმა ლეიბორისტებმა, ბოლო ოთხი წლის მანძილზე, თბილისში, მეორედ მოიგეს ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნები.*

უფასო განათლება, სასწრაფო დახმარება, წყალი, ჯანდაცვა, ტრანსპორტი, (მომავალში გაზი და ელექტროენერგია), პრივატიზაციის შეჩერება და უკანონოდ გაყიდული სახელმწიფო ქონების უკან დაბრუნება, ხელფასებისა და პენსიების, სხვა სახის სოციალური დახმარებების რამდენჯერმე გაზრდა – აი, არასრული ნუსხა ქართველი ლეიბორისტების დაპირებებისა, რომელიც, წინასწარი ინფორმაციით, ამჯერად, დაახლოებით 55000-დან 65000-მდე ადამიანმა დაიჯერა.

**"ეს მოსალოდნელი შედეგი იყო, რაც უფრო ეცემა ცხოვრების დონე საქართველოში, მით უფრო იმატებს ლეიბორისტების ტიპის,**

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 პოლიტიკა A5 უცხოეთი A6 ეკონომიკა A7 სამართალი A8 არმია

B3 ფეხბურთი B4 ტოტალიზატორი B5 კულტურა B6 საზოგადოება B7 საზოგადოება B8 სხვადასხვა

## „საქართველოში ადგილობრივმა არჩევნებმა არ გაამართლა„

სოფიკო ბუკია

აცხადებს ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი **(CLRAE)**.

ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებში კონგრესის დელეგაცია დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობდა. 2 ივნისს მათ არაერთი საარჩევნო უბანი მოინახულეს, დაესწრნენ ხმის დათვლის პროცესს.

ერთადერთი ოფიციალური საერთაშორისო დამკვირვებელი სინანულით აღნიშნავს, რომ მათი იმედები სამართლიან საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით არ გამართლდა: **"ჩვენი დელეგაცია იმედგაცრუებულია. დემოკრატიულმა პროცესმა საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდა. საქართველოს მოსახლეობა უკეთესს იმსახურებს"**, - აცხადებს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელი ლუის როპი. დამკვირვებელთა აზრით, ხელისუფლებას მომავალი საპარლამენტო არჩევნების მოლოდინში იმდენად ეჩქარებოდა საზოგადოების ფავორიტი პოლიტიკური პარტიების გამოვლენა, რომ საკრებულოს არჩევნებისთვის ელემენტარული პირობების შექმნა სულ გადაავიწყდა.

**"საარჩევნო კომისიების მიერ გაწეული დიდი სამუშაო და ძალისხმევა ფუჭია, თუ არ ხდება ადგილობრივი დემოკრატიის, ძლიერი თვითმმართველობისა და კანონის უზენაესობის პრინციპების დაცვა"**, - მერამდენედ გვარიგებენ უცხოელი დამკვირვებლები.

## ნუგზარ ფალიანი ქუთაისის მერია

ეკა ბაძაღუა

გუშინ ქუთაისში მოსალოდნელთან შედარებით წყნარად გათენდა. ქუთაისელებმა მხარი თანაქალაქელ კანდიდატებს არ დაუჭირეს. ფალიანის გამარჯვებამ მისი კონკურენტები "შოკში" ჩააგდო. მომავალი მერი კი დილიდანვე იღებდა მილოცვებს, თუმცა კომენტარებისაგან საბოლოო შედეგების დადგენამდე თავს იკავებდა. დღეს არსებული მონაცემებით 130 534 ამომრჩევლიდან არჩევნებზე 45 200, ანუ 34% მივიდა.

თემურ შაშიაშვილი პრესკონფერენციაზე გაცხარებული ამტკიცებდა, რომ ქუთაისში არჩევნების მწვავე გაყალბება მიდიოდა: **"ძალოვანი სტრუქტურები უშუალო მონაწილეები არიან იმისა, რომ ქვეყანაში ფულიანი ხალხის პარპაშია და წესიერი ადამიანები ასეთ მძიმე მდგომარეობაში არიან"**. გუბერნატორმა აშკარა დარღვევების გამო საყვედურებით აავსო საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ელზა ბუაძე.

ბოლო მონაცემების მიხედვით, ნუგზარ ფალიანმა 4000 ხმით აჯობა მეორე ადგილზე გასულ კოტე ბარქაიას.

ასეა თუ ისე, ფალიანი ქუთაისის მერი გახდა. შაშიაშვილი, ჯერჯერობით, მის შესახებ არაფერს ამბობს. შეეგუება თუ არა "პრეტენზიული" გუბერნატორი ახალ მერს და დაიმსახურებს თუ არა ფალიანი მის კეთილგანწყობას, ახლო მომავალში შევიტყობთ.

## გორში მემარჯვენეები ლიდერობენ

ვასილ გულეური

3 ივნისის 17 საათისთვის გორის N32 საოლქო საარჩევნო უბანში ჯერ კიდევ არ იყო დაჯამებული არჩევნების შედეგები, თუმცა წინასწარი მონაცემებით "ახალი მემარჯვენეების" კანდიდატი პაატა ჩხეიძე დაახლოებით 2 ათასი ხმით უსწრებდა "ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატს შოთა ჩოჩიშვილს. გორის 24 საარჩევნო უბნიდან ჩოჩიშვილმა მხოლოდ 4 უბანში გაიმარჯვა. რაც შეეხება გორის საკრებულოს, რომელიც ცხრა კაცისაგან უნდა დაკომპლექტდეს, აქაც, წინასწარი მონაცემებით, "ახალი მემარჯვენეები" ლიდერობენ - პირველ ცხრა ადგილზე, ხუთი მათი წარმომადგენელია, ოთხი კი საინიციატივო ჯგუფის კანდიდატი. ამომრჩეველთა აქტივობა, როგორც საოლქო საარჩევნო უბანში გვითხრეს, საკმაოდ მაღალი იყო: ოფიციალური მონაცემებით, ამომრჩეველთა 53-მა პროცენტმა გამოხატა თავისი ნება. თუმცა, დარღვევები ბევრი იყო, მათ შორის - გარდაცვლილთა სახელზე გაგზავნილი ბარათები.

## გამარჯვებულები

თამარ მჭედლიშვილი

წინასწარი მონაცემებით, თბილისის საკრებულოს არჩევნები ლეიბორისტულმა პარტიამ მოიგო. ამის მიუხედავად, პოლიტიკურ წრეებში არჩევნების მეორე, არაოფიციალურ გამარჯვებულებზეც საუბრობენ. ეს ჟვანიას გუნდია, რომელსაც წინასაარჩევნო კამპანიისათვის მხოლოდ სამი კვირა ჰქონდა და ამასთან, საარჩევნო ადმინისტრაციებში აღარ ფლობდა იმ ბერკეტებს, რომლებიც გასულ არჩევნებში მათ წარმატების წინაპირობებს უდავოდ უქმნიდა.

ორივე პარტიის წარმომადგენლები არჩევნების შედეგებით აშკარად კმაყოფილები არიან.

ავთანდილ ტყეშელაშვილი, ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური მდივანი:

**"ვიცოდით, რომ დაახლოებით ოთხი პარტია რეალური ოპოზიციისათვის ხმების წართმევას აპირებდა. ამუშავდა ყველა რესურსი. ლეიბორისტული პარტიის ამომრჩევლებს არ მისცეს ხმის მიცემის საშუალება. ოლიგარქების მხრიდან სხვა პარტიებისათვის ფინანსური მხარდაჭერის, ხელისუფლების ზეწოლის მიუხედავად, ჩვენ მაინც ასეთი შედეგი ვაჩვენეთ. ჩვენი მოწინააღმდეგენი აგონიაში არიან. ლეიბორისტებმა ის ხმები მიიღეს, რაც უნდა მიეღოთ. რაც შეეხება საკრებულოს, პოლიტიკური დებატებისა და კონსულტაციების შემდეგ გამოიკვეთება, ვინ არის მართლაც ოპოზიციონერი. ჩვენც მათთან ვითანამშრომლებთ. ჯერჯერობით ამასთან დაკავშირებით პოზიცია ჩამოყალიბებული არ გვაქვს. ვითანამშრომლებთ ყველასთან, ვინც დედაქალაქს გამოადგება. წინა საკრებულოში დაშვებულ შეცდომებს აღარ გავიმეორებთ. საერთოდ, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. ქვეყანაში საკმაოდ დაძაბული სიტუაციაა, ვითომ ოპოზიციური პარტიები ცდილობენ ვითარების ესკალაციას და იმ ხელისუფლების გადატრიალებას, რომლის წარმომადგენლებიც თვითონ იყვნენ".**

მიხეილ მაჭავარიანი, სამგორის მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვებული

**"ჩვენ რომ მოგვცემოდა ნორმალური საარჩევნო კამპანიის ჩატარების საშუალება, უფრო კარგ შედეგს ვაჩვენებდით. ამ პერიოდში ნათლად გამოჩნდა, ვინ გვიპირისპირდება. ამან ძალზე გაამძაფრა ინტერესი და გამოკვეთა ჩვენი მხარდამჭერები. ჩვენს წინაამდეგ აგორებულმა სახელისუფლებო კამპანიამ მოსახლეობას კიდევ ერთხელ დაანახა, ვინ ვართ ჩვენ და ვინ არიან ისინი, ვის წინააღმდეგაც ჩვენ გამოვდივართ. სხვა პარტიები დარბოდნენ კანცელარიაში და არ მალავდნენ, რომ ისინი დღეს სჭირდებოდა ხელისუფლებას. მაგალითად, "ახლები", "მრეწველები"... სხვათა შორის, სამეგრელოსა და კახეთში ღიად იყო ჩასული დირექტივა, რომ მოქალაქეთა კავშირი უნდა შეეცვალათ "ახალი მემარჯვენეებით". შესაბამისად, მთელი ადმინისტრაციული მანქანა მათ სასარგებლოდ ამუშავდა. დღეს ძალიან მიკვირს, როცა ზოგიერთი ჩემი ოპონენტი აცხადებს, რომ კმაყოფილია არჩევნებით. როგორ უნდა იყო კმაყოფილი დამარცხებით, გაუგებარია. ამასთან, არ შემიძლია არ გავაკეთო კომენტარი ავთანდილ ჯორბენაძის განცხადებაზე, რომელმაც პასუხისმგებლობა საარჩევნო პროცესების შეფერხებაზე "ცესკოს" დააკისრა. ეს არასწორი და უსამართლო ბრალდებაა. მე არ ვარ "ცესკოს" აპოლოგეტი, მაგრამ ერთი რამ უნდა ითქვას – არჩევნებს ატარებს ხელისუფლება. ის, რომ ვიღაცა ამბობს, ხელისუფლება ნეიტრალური დარჩაო, აბსურდია. შაბათს ჟვანია, სააკაშვილი და სხვა პოლიტიკური ლიდერები აფრთხილებდნენ ხელისუფლებას, რომ მოსალოდნელი იყო ეს ყველაფერი. მაშინ ხელისუფლებამ არჩევნები არ გადადო, დღეს კი დარღვევებზე ალაპარაკდა. უბრალოდ, ისინი ასეთ შედეგებს არ ელოდნენ".**

## რუსთავში წინასაარჩევნო ბატალიები გრძელდება

მაია მოსიაშვილი

რუსთავში ნაციონალისტების მიერ 3 ივნისის დილისთვის დაგეგმილი მიტინგი, გაურკვეველი მიზეზების გამო, არ შედგა. წინასაარჩევნო ბატალიები და საქმეების გარჩევა კი კვლავ გრძელდება. არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა დიდი ნაწილი გუშინ კვლავ შეიკრიბა, რათა 2 ივნისის ფაქტთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დაეფიქსირებინა. შეხვედრაზე გუბერნატორ ლევან მამალაძის დასწრება, ნაციონალისტების გარდა, არავის გაუპროტესტებია.

**"ჩვენ არ გვინდა ისეთ შეხვედრას ვესწრებოდეთ, სადაც გუშინდელი ვანდალური, საშინელი ფაქტის ჩამდენნი ლმობიერად ექცევიან"**, - ამ სიტყვებით ნაციონალისტთა კანდიდატებმა დარბაზი დატოვეს. მერობის კანდიდატმა მერაბ ტყეშელაშვილმა ნაციონალისტების საქციელი ნაწილობრივ გაამართლა და განაცხადა: **"მთავარია ჩატარდეს არჩევნები და არ ჩაიშალოს. ამისთვის ეშმაკი რომ იყოს, ეშმაკთანაც ვითანამშრომლებ, რუსთაველების ინტერესებიდან გამომდინარე."**

ლევან მამალაძის გამოსვლა კეთილგანწყობის დემონსტრირებით და სიმშვიდით გამოირჩეოდა. მას ნაციონალისტები აღარ გაუკრიტიკებია, მაგრამ ლოზუნგები მაინც დაუწუნა: **"ასეთი ლოზუნგები არავის წაადგება. ჩემთვის პოლიტიკური პაექრობა მისაღებია, მაგრამ ქვეყნის ინტერესები უპირველესია. ჩვენ მზად ვართ თანამშრომლობისთვის."** მამალაძე კანდიდატებს დაჰპირდა, რომ ბიულეტინებს 9 ივნისს არჩევნებისთვის თბილისიდან რუსთავში კორტეჟის თანხლებით ჩამოიტანენ.

ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებელმა თეიმურაზ დალაქიშვილმა 2 ივნისის ინციდენტზე პასუხისმგებლობა მთლიანად პოლიციას დააკისრა და განაცხადა, რომ არ გამორიცხავს, პროვოკაცია კვლავ დაიგეგმოს.

გარდაბნის რაიონის პოლიცია და პროკურატურა 2 ივნისს თბილისი-რუსთავის გზატკეცილზე მომხდარ დაყაჩაღების ფაქტს, სამხარეო სტრუქტურასთან ერთად, ოპერატიული საგამოძიებო ჯგუფების მეშვეობით იძიებენ. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 2 მუხლის მიხედვით აღიძრა. ცხელ გულზე სამართალდამცველები აცხადებდნენ, რომ საქმე მალე გაიხსნებოდა, მაგრამ გუშინ სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. სამხარეო პროკურორი სვიმონ მაჭავარიანი:

**"თუკი თბილისიდან მომავალ მიკროავტობუსს მართლაც დაესხა თავს 30- კაციანი შეიარაღებული ჯგუფი, ამ ფაქტის გამოძიება ძალიან ადვილია, თუმცა მინდა განვაცხადო, რომ ის ინფორმაციები, რომელიც კვირას გავრცელდა, ემოციაზე იყო დაყრდნობილი და შესაძლოა სინამდვილეს არ შეესაბამებოდეს. ჩვენ კვირას საღამოსვე გადავამოწმეთ ის მანქანა, რომელიც თვითმხილველთა განცხადებით საქმეში ფიგურირებს. გაირკვა, რომ დასახელებული ცისფერი "ჟიგული" უკვე ორი თვეა დაშლილ მდგომარეობაში იმყოფება".**

სამხარეო პოლიციის უფროსი ალეკო ბუკიაც ამბობს, რომ სამუშაო ბაზა არსებობს, მაგრამ ახალი ჯერჯერობით არაფერია.

რუსთავში უკვე დაიწყეს ლაპარაკი, რომ საქმე, ალბათ, არ გაიხსნება. ამ ვერსიას ამაგრებს ის ფაქტიც, რომ ბიულეტინების გატაცებიდან დაახლოებით 5 წუთში, სამართალდამცველებისთვის უკვე ცნობილი იყო თავდამსხმელთა ოთხივე მანქანის მარკა, ფერი და ნომერი. თვითმხილველები დაწვრილებით აღწერენ ყველაზე აქტიურ ორ თავდამსხმელს - მაღალ გამხდარ ქერათმიანსა და ასევე მაღალ ჩასხმულ შავგვრემანს. ისინი საოლქო კომისიის მიკროავტობუსში მსხდომთ პოლიციელებად გაეცნენ. ჯერ უთხრეს, ციხიდან გამოქცეულს ვეძებთო. შემდეგ კი შუბლზე იარაღი მიადეს და "აკრძალული ლიტერატურა გადაგაქვთო" - განუცხადეს.

სამართალდამცველების ბოლო ინფორმაციით, ყველა დაფიქსირებული მანქანის ნომერი ყალბია. ხოლო დამნაშავეთა ფოტორობოტების შექმნაზე მათ ჯერ არც უფიქრიათ.

...

ქვემო ქართლის რაიონებში საარჩევნო ტრადიციას არ ღალატობენ. 2 ივნისს აქ ამომრჩეველთა მაღალი აქტივობა დააფიქსირეს. განსაკუთრებული აქტიურობით რეგიონის არაქართული მოსახლეობა გამოირჩეოდა. ცესკომ თავისი დაპირება, ბიულეტენების ორ ენაზე დაბეჭდვის თაობაზე, ვერ შეასრულა, რის გამოც, ზოგიერთ საარჩევნო უბანზე თარჯიმნები ჰყავდათ მიმაგრებული. ტექნიკური პრობლემების მიუხედავად, წინასწარი მონაცემებით, მარნეულის რაიონში ხმის მისაცემად მივიდა ამომრჩეველთა 73,7%, გარდაბანში - 55%, ბოლნისში - 77,9%, თეთრიწყაროში - 70%, ხოლო დმანისში - 66%.

## არასამთავრობოების შეფასება

სოფიკო ბუკია

**"2 ივნისის არჩევნები უპრეცენდენტოა ქართული არჩევნების ისტორიაში. წინა წლებისგან განსხვავებით, როცა ხელისუფლება ცდილობდა მთლიანად "გაეკონტროლებინა" საარჩევნო პროცესი, 2 ივნისს მან ყველაფერი თვითდინებაზე მიუშვა,"** - ამგვარ შეფასებას აძლევს საკრებულოებისთვის ბრძოლას "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება".

"სამართლიანი არჩევნების" ხელმძღვანელობამ შთაბეჭდილებები ჟურნალისტებსაც გაუზიარა. მათ მიერ შედგენილი საარჩევნო დარღვევათა ნუსხა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში მივლენილი ორი ათასამდე დამკვირვებლის ანგარიშის შედეგია.

"სამართლიანი არჩევნების" ექსპერტებს მნიშვნელოვან დარღვევად მიაჩნიათ კატასტროფულად გაუმართავი სიები: გამორჩენილი იყო ცალკეული კორპუსები, სამაგიეროდ, ზოგიერთი "ბედნიერი" კორპუსი ერთის ნაცვლად, ორი საარჩევნო უბნის სიაში იწონებდა თავს. არჩევნებში აქტიურად მონაწილეობდნენ მკვდარი სულებიც. შეცვლილმა საარჩევნო გეოგრაფიამ კი ბევრი ცოცხალი ადამიანი არჩევნებს მიღმა დატოვა. ცესკოს დამსახურებად მიიჩნევენ იმასაც, რომ დაგვიანდა ბეჭდებისა და ბიულეტენების მიწოდება, არ დარიგდა ამომრჩევლის ბარათები, საარჩევნო კომისიის წევრები არ იცნობდნენ საარჩევნო კოდექსს.

ბევრ რეგიონში დაფიქსირდა ძალადობის ფაქტებიც. **"მაგალითად, ბაღდათის რეგიონში ორ უბანზე პოლიციისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები შეიჭრნენ, არ მოეწონათ კომისიის წევრები, თავად გადააყენეს და სხვა კომისიაც თავადვე დანიშნეს,"** - აცხადებს "სამართლიანი არჩევნების" აღმასრულებელი დირექტორი დავით ყიფიანი და ირწმუნება, რომ ასეთი რამ საერთაშორისო პრაქტიკას არ ახსოვს. ძალადობის შედეგია რუსთავში, ზუგდიდსა და ხაშურში ჩაშლილი არჩევნები.

**"დააკვირდით, არჩევნები ჩაიშალა სწორედ იქ, სადაც მერები და გამგებლები უნდა არჩეულიყო. ეს იმის ნიშანია, რომ ხელისუფლება სწორედ ამ რეგიონებით დაინტერესდა, აქ საკუთარი პოზიციების დაკარგვას ვერ შეელია. სხვა რეგიონები კი თვითდინებაზე მიუშვა,"** - ირწმუნებიან "სამართლიანი არჩევნების" ექსპერტები.

ამდენი უსამართლობის ფონზე, ექსპერტებმა სასიკეთო ცვლილებებიც შენიშნეს. მაგალითად, გამჭვირვალე ყუთებმა საქმე გაურთულა გამყალბებლებს, კომისიის წევრთა შორის ფუნქციათა წილისყრით გადანაწილებამ შეუძლებელი გახადა საარჩევნო გარიგებები. ექსპერტები დადებით მოვლენად აღიქვამენ, წინამორბედ არჩევნებთან შედარებით, ამომრჩეველთა აქტივობის გაზრდას. მათი წინასწარი მონაცემების მიხედვით, თბილისში საარჩევნო ურნებთან ამომრჩეველთა 41.65 პროცენტი, საქართველოს მაშტაბით კი - 83.63 პროცენტი მივიდა.

"სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლები სასამართლოში ჩივილითაც იმუქრებიან. თუ მათ მიერ მოპოვებულ მასალებს შესაბამისი მამხილებელი დოკუმენტებიც გაუმაგრებს ზურგს, საჩივარი ჯერ ცესკოს, მერე კი სასამართლოს სახელზე დაიწერება: **"მკაცრად უნდა განისაზღვროს პასუხისმგებლობის საკითხი იმ პირთა მიმართ, ვინც არჩევნების გაყალბებაში მონაწილეობდნენ. სანამ გამყალბებლებს პასუხს არ მოსთხოვენ, მათი რიცხვი არ შემცირდება,"** - აცხადებს დავით ყიფიანი.



ალეკო კარტაშიანის ფოტო

## ცხელ გულზე

ვერიკო თეზაძე

...

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის ირინა სარიშვილი-ჭანტურიას აზრით,ისინი პირველ სამეულში ვერ მოხვდნენ იმის გამო, რომ საამისოდ არც ფინანსები ჰქონდათ და არც სახელისუფლებო ბერკეტებს ფლობდნენ. გუშინდელი დღისთვის სარიშვილი იმედოვნებდა, რომ ედპ 4-პროცენტიან ბარიერს გადალახავდა.

...

ბლოკ "აღორძინების" წარმომადგენელი ჯემალ გოგიტიძე არჩევნებში წარუმატებლობის მიზეზად მიიჩნევს არაჯანსაღ გარემოს, რომელშიც პოლიტიკურ პარტიებს არ მიეცათ საშუალება, თავიანთი შესაძლებლობები გამოევლინათ. "ლეიბორისტების გარდა, ყველა გამარჯვებულს შევარდნაძე მფარველობდა. სააკაშვილი შევარდნაძეს ემორჩილება. ვერავინ დამარწმუნებს, რომ ჟვანიამ თუნდაც ერთი ხმა მიიღო გაუყალბებლად. ეს ყველაფერი შევარდნაძის "შემოქმედების" შედეგია", - აცხადებს გოგიტიძე.

...

ჯემალ გოგიტიძე მემარჯვენეებისადმი სიმპათიებს გამოხატავს და ფიქრობს, რომ მათ მოსახლეობაში გარკვეული წონა აქვთ, ხოლო ლეიბორისტების გამარჯვებას გოგიტიძე ღირსეულს უწოდებს. მისი თქმით, აღორძინების წარმომადგენლებმა წინასწარ იცოდნენ აჩევნების გაყალბების შესახებ და მხოლოდ იმიტომ მიიღეს მასში მონაწილეობა, რომ არჩევნების ჩაშლა არ დაბრალებოდათ.

...

მოქკავშირელმა გელა კვარაცხელიამ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ მათი წარუმატებლობის მიზეზი არჩევნების ცუდი ორგანიზება და მისი გაყალბებაა. კვარაცხელია არც იმას უარყოფს, რომ მათ ვერ მოასწრეს წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარება. ფაქტობრივად, მოსახლეობამ არ იცოდა, ვინ წავიდა მოქალაქეთა კავშირიდან და ვინ დარჩა იქ.

...

გელა კვარაცხელია საზოგადოებისთვის საშიშ მოვლენად მიიჩნევს ადგილობრივ არჩევნებში ნაციონალური მოძრაობისა და ჟვანიას გუნდის გამარჯვებას. კვარაცხელიას აზრით, სააკაშვილი და ჟვანია ერთი ძალა - ფაშისტები არიან, ისინი არჩევნებში პრაგმატული მოსაზრებით გამოვიდნენ ცალ-ცალკე.

...

გელა კვარაცხელია ჟვანიასა და სააკაშვილს ადანაშაულებს იმაში, რომ "მათ ხელისუფლების იაფფასიანი კრიტიკით, საზოგადოების გახლეჩითა და დაპირისპირებით მიაღწიეს მიზანს. "თუ ეს ხელისუფლება ცუდია, ჟვანია-სააკაშვილი და მისთანანი უშუალოდ მონაწილეობდნენ მის ფორმირებაში და, თავიანთი წილი პასუხისმგებლობით, სწორედ ამ ხელისუფლებასთან უნდა გავაიგივოთ."

...

კვარაცხელიას აზრით, ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ მოსახლეობამ ყურადღება დაგროვილ პრობლემებზე არ შეაჩერა, სააკაშვილის პოპულისტური გამოსვლებით მოიხიბლა."მათ იციან, როგორ მოვიდნენ ხელისუფლებაში, მათ არ იციან საქმე", - ასე აფასებს გელა კვარაცხელია ადგილობრივ არჩევნებში გამარჯვებულ ძალებს.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფარჯიაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ზესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, საშა შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# არჩევნების შედეგები გაუქმდეს, ავთანდილ ჭორბენაძე კი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცეს

"სთავაზობს" ზურაბ ჟვანია ედუარდ შევარდნაძეს

პირველი გვერდიდან

ცხადია, ეს კოალიცია უფრო ძლიერი იქნებოდა, მიხეილ სააკაშვილს თავისი წინასაარჩევნო ჩანაფიქრისთვის ხორცი რომ შეესხა და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გამხდარიყო. ამის შესაძლებლობა დღეს, პრაქტიკულად, ნულის ტოლია და ამის მიზეზად "ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე, არჩევნების შედეგების გაყალბებასთან ერთად, იმასაც ასახელებს, რომ დიდია ალბათობა, საკრებულოში შესულ ძალებს შორის მის წინააღმდეგ გარიგება შედგეს.

**"ხმაურიანი ლოზუნგების მიუხედავად, ამ ძალებს პრეზიდენტთან ტკბილი და თბილი ურთიერთობების საკმაოდ მდიდარი გამოცდილება აქვთ და ყოველთვის ახერხებენ მასთან საერთო ენის გამონახვას",** - სააკაშვილის ამ განცხადებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თბილისის პარლამენტში მისი თანაგუნდელები, ჟვანიას ფრაქციის გარდა, ყველას გაუწევენ ოპონირებას. პროშევარდნაძისტულ ძალებზე საუბრისას, კონკრეტულად რომელი პოლიტიკური ძალების ბოსტანში ისვრის კენჭებს "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი, ადვილი მისახვედრი გახდება, თუ მის თანაგუნდელ კოტე კემულარიასაც მოვუსმენთ:

**"საოცარია ლეიბორისტების საქციელი – არჩევნების წინ შალვა ნათელაშვილი გაჰყვიროდა, პირველ ადგილზეც რომ გავიდე, თუ შედეგები გაყალბდება, აუცილებლად გავასაჩივრებო. დღეს კი ნათელაშვილი ან დუმს, ან "ახლებთან" ერთად თბილისის აშენებაზე ოცნებობს".**

თუ ნათელაშვილისა და გაჩეჩილაძის გუნდების სავარაუდო ალიანსს საკრებულოს მომავალი მუშაობაც დაადასტურებს, მაშინ ისიც გასაგები გახდება, თუ რატომ ჩააბარა ასე გაბედულად პარლამენტარის მანდატი "ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა – გამოდის, რომ ლეიბორისტებთან წინასწარი გარიგების საფუძველზე ლევან გაჩეჩილაძეს პარლამენტიდან საკრებულოს თავმჯდომარის სავარძელში რბილად და უსაფრთხოდ "დაშვება", პრაქტიკულად, გარანტირებული ჰქონდა.



ბესიკ ბულაშვილის ფოტო

# დასკვნები და ვარაუდები წინასწარი შედეგების მიხედვით

ია ანთაძე,
რადიო "თავისუფლება";
სპეციალურად "24 საათისთვის"

ადგილობრივი თვითმმართველობის მეორე არჩევნები, რომლის ჩატარება სერიოზულ ეჭვს იწვევდა რამდენიმე მიზეზის გამო, ასე თუ ისე, ჩატარდა და საინტერესო შედეგითაც დასრულდა. არჩევნების შედეგები საინტერესოა როგორც საზოგადოებრივი, ისე პოლიტიკური და ანალიტიკური თვალსაზრისით.

* * *

ყველაზე სერიოზული დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლიდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარებას, ახალი პოლიტიკური რეალობა იყო. ეს რეალობა მოქალაქეთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიქმნა და ჯერ მხოლოდ "ნედლი" სახით არსებობს. მთავარი სამიზნე, რა თქმა უნდა, 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებია. თითოეული პარტია თავის მომავალს, მინიმუმ, ორი ფაქტორის გათვალისწინებით გეგმავს.

პირველი ფაქტორი: საპარლამენტო არჩევნებისთვის დაწესებული 7%-იანი ბარიერი პარტიებს და პოლიტიკურ ჯგუფებს სტრატეგიული პარტნიორების ძებნისკენ უბიძგებს. ეს პროცესი ჯერ მხოლოდ საწყის ეტაპზეა. ამიტომ, თუკი პარტიები თვითმმართველობის არჩევნებს განიხილავდნენ, როგორც ერთგვარ ტესტს საპარლამენტო არჩევნების წინ, ცხადია, არც ერთი პარტია ამ ტესტის გასავლელად მზად არ იყო. თუმცა, ბოლო თვეებში გამოიკვეთა სხვა რეალობაც: ვიდრე პარტიები პოლიტიკურ პარტნიორებს შეარჩევდნენ და საბოლოოდ ჩამოყალიბდებოდნენ, მათთვის თანაბრად ხელსაყრელი აღმოჩნდა, რომ 2 ივნისის არჩევნებში ყველას საკუთრივ მოესინჯა თავისი შესაძლებლობები. ერთი მხრივ, არჩევნების ჩატარებას ხელს უშლიდა ის ფაქტორი, რომ სპექტრი ჩამოუყალიბებელია; თუმცა, მეორე მხრივ, არჩევნების ჩატარებას ხელი შეუწყო სწორედ იმ ფაქტორმა, რომ სპექტრის ჩამოყალიბებამდე პარტიებმა არჩევნები გამოიყენეს საკუთარი ძალების დემონსტრირებისთვის - საზოგადოების და, უფრო, მომავალი პარტნიორების წინაშე. არჩევნების შედეგებით ლიდერების კმაყოფილება-უკმაყოფილების მთავარ ფაქტორადაც სწორედ ეს კრიტერიუმი უნდა მივიჩნიოთ (მაგალითად, ჟვანია კმაყოფილია, თოფაძე უკმაყოფილოა).

მეორე ფაქტორი: თავისუფალია სახელისუფლო პარტიის ნიშა, რაც სერიოზულ გავლენას ახდენს პოლიტიკურ ვითარებაზე. 2 ივნისის არჩევნები პარტიების ერთმა ნაწილმა გამოიყენა ხელისუფლებასთან დასაახლოებლად (ფარული პროცესი), მეორე ნაწილმა კი - ხელისუფლებასთან დასაპირისპირებლად (ღია პროცესი). საბოლოოდ, პარტიების დამოკიდებულება პრეზიდენტისა და მისი მთავრობის მიმართ (და მათ ირგვლივ არსებული ცარიელი ნიშა) ყველა პარტიისთვის თავისებური სტიმული აღმოჩნდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩასატარებლად.

* * *

როგორ შეიძლება შეფასდეს 2 ივნისის არჩევნების წინასწარი შედეგები? კანონმდებლობის თანახმად, პროპორციული (პარტიული) არჩევნები მხოლოდ თბილისში ჩატარდა. ამიტომ, არჩევნების პოლიტიკურ შედეგებზე მსჯელობისას სწორედ თბილისის მონაცემებს დავეყრდნობით.

წინასწარი შედეგების მიხედვით, შესაძლებელია რამდენიმე დასკვნის გაკეთება და რამდენიმე ვარაუდის გამოთქმაც:

1. არჩევნებში ყველაზე დიდი მხარდაჭერა მიიღეს პარტიებმა, რომლებიც მოსახლეობას ხელისუფლების შეცვლისკენ მოუწოდებდნენ, კერძოდ, ნაციონალურმა მოძრაობამ და ლეიბორისტულმა პარტიამ. დღეს ხელისუფლება აცხადებს, რომ ეს მოსახლეობის არა პოლიტიკური, არამედ - სოციალური არჩევანია. ამგვარი განცხადებით - პრობლემის არსის იგნორირებით - ხელისუფლება კიდევ მეტად შორდება საკუთარ მოსახლეობას.

2. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ თბილისის საზოგადოებამ სერიოზული უნდობლობა გამოუცხადა ჩრდილოური ორიენტაციის პარტიებს. სოციალისტების და "ერთობის" წარუმატებლობა და "აღორძინების" საკმაოდ დაბალი მაჩვენებელი ადასტურებს, რომ დღევანდელ ეტაპზე საგარეო ორიენტაციის ვექტორი მოსახლეობის ცნობიერებაშიც მტკიცედ ინაცვლებს დასავლეთისკენ. ამავე კონტექსტში უნდა გავიაზროთ ჟვანიას გუნდის წარმატებაც და ამ გუნდის სამომავლო პერსპექტივაც.

3. საბოლოოდ განქარდა ის ილუზია, რაც მოქალაქეთა კავშირის გამარჯვებებს ახლდა გასულ არჩევნებში: თითქოს, მოსახლეობა მხარს უჭერდა ხელისუფლებას და არა მის ოპოზიციას. როგორც კი ხელისუფლებას გაემიჯნა მისი რეფორმატორული (ენერგიული) ნაწილი, მოსახლეობის ხმებიც სწორედ მას გაჰყვა; საკუთრივ მოქალაქეთა კავშირი კი დარჩა სრული უნდობლობის და უნაყოფობის გარემოცვაში. ამ რეალობას პრეზიდენტი ვერ გაექცევა და, ამდენად, უაღრესად საინტერესოა, რა გზას აირჩევს იგი მოქალაქეთა კავშირის "ამბოხებულ" სეგმენტთან სამომავლო ურთიერთობისთვის. არ არის გამორიცხული, ახლა ან ცოტა ხნის შემდეგ, პრეზიდენტმა შეცვალოს არა მხოლოდ ჟვანიასთან, არამედ - სააკაშვილთან ურთიერთობის ტონი და შინაარსიც.

4. მანამდე (ან პარალელურად), ხელისუფლება შეეცდება, გააძლიეროს, ერთი მხრივ, ლეიბორისტები, მეორე მხრივ კი - ახლები. ეს სწორედ ის პოლიტიკური ძალებია, რომლებიც ნაციონალურ მოძრაობას და მის ლიდერს "მარცხნიდან" და "მარჯვნიდან" ავიწროებენ. თუმცა, საკრებულოში შალვა ნათელაშვილის და ლევან გაჩეჩილაძის ღია და ხანგრძლივი - სტრატეგიული - პარტნიორობა შეუძლებლად გამოიყურება. უკვე საჯაროდ გამოცხადდა იმის შესახებ, რომ ლეიბორისტებთან მჭიდროდ ითანამშრომლებენ "მრეწველები", ხოლო ნაციონალურ მოძრაობასთან - ჟვანიას გუნდის წევრები. "ახლები", ერთი შეხედვით, არჩევანის გარეშე და მხოლოდ საკუთარი თავის იმედად რჩებიან. "აღორძინების" პოზიციას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭება იმ შემთხვევაში, თუკი "აღორძინების" მანდატების მიმატება უმრავლესობის შექმნის საშუალებას მისცემს ან ნაციონალურ მოძრაობას, ან - ლეიბორისტებს.

5. პოლიტიკური ლოგიკის თანახმად, 2 ივნისის არჩევნებში ხელისუფლებას ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ ყველაზე ეფექტურად ერთი იარაღის გამოყენება შეეძლო: შალვა ნათელაშვილთან საერთო ენის გამოძებნა და ფარული ტექნოლოგიებით მისი - როგორც მემარცხენე პოლიტიკური ლიდერის - გაძლიერება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ლეიბორისტულმა პარტიამ 1998 წლის არჩევნებში მიღწეული წარმატების შემდეგ (თითქმის 18%) ბევრი შეცდომა დაუშვა და, ფაქტობრივად, "შიგნიდან გაიფცქვნა", სრულიად ლოგიკურად მოგვეჩვენება ამ პარტიის წარუმატებლობა 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში (დაახლოებით 7%). ამჯერად, ლეიბორისტების ხელახალი წარმატების მიზეზი, მათ მიერ ჩატარებული სუსტი და არაენერგიული კამპანიის ფონზე, შესაძლოა, ხელისუფლების "წახმარებაშიც" ვეძებოთ. ამ ვერსიას მეტნაკლებად ნათელს მოჰფენს თავად საკრებულოში განვითარებული პროცესი. ფაქტია, რომ ვერც ნათელაშვილი, ვერც სააკაშვილი და, მით უმეტეს, რომელიმე სხვა პოლიტიკური ლიდერი საკრებულოს თავმჯდომარის პოსტს ვერ დაიკავებს სერიოზული კონსულტაციების და რთული გათვლების გარეშე - ასეთია არჩევნების შემდეგ მიღებული რეალობა. სააკაშვილისა და ნათელაშვილის შეკავშირება არარეალურია, მათი დაპირისპირების შემთხვევაში კი, უმრავლესობისთვის საჭირო ხმების მოგროვება ორივე ბანაკს გაუჭირდება (მანდატების გაფანტვის გამო). აქ, ცხადია, ჩაერევა ხელისუფლება და ჩვენ საშუალება გვექნება, დავაკვირდეთ, როგორ იმოქმედებს (გნებავთ, რა არჩევანს გააკეთებს) შევარდნაძე და მისი გარემოცვა. ლიდერების ამბიციების ფონზე და წინასწარი შედეგების გათვალისწინებით, ყველაზე უიმედოდ ლევან გაჩეჩილაძის პერსპექტივა გამოიყურება.

* * *

ყველა ფაქტორი და რეალობა, რომელთა შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ, არჩევნების მხოლოდ წინასწარ შედეგებს ეფუძნება. არნახული დარღვევებით, ძალადობის თანხლებით, დიდი ვნებათაღელვით, მაგრამ პირველი რეალურად მრავალპარტიული არჩევნები საქართველოში ჩატარდა. ამ არჩევნების შედეგები შემაშფოთებელია ხელისუფლებისთვის: ფაქტობრივად, ედუარდ შევარდნაძემ დაკარგა კონტროლი პოლიტიკურ პროცესზე (და საშველად ძალოვან მინისტრებს მოუხმო). თუმცა, საჭადრაკო დაფაზე შემდეგი სვლის უფლება სწორედ პრეზიდენტს ეკუთვნის. ორშაბათს მან დაფიქრებისთვის დრო ითხოვა... დაველოდოთ.

# წამატება ოთხი ხელით - ორდენის დაბადება

გიგი თევზაძე

გუშინდელი არჩევნების შედეგად შესაძლებელია, ვინმეს შექმნოდა წარმოდგენა, რომ საქართველოში საზოგადოება აღარ იმსახურებს იმ ხელისუფლებას, რომელიც ჰყავს. არადა, ამაზე მიუთითებს ის, რომ:

თბილისის მოსახლეობამ აქტიურად დაიცვა თავისი უფლებები – ამის მომსწრენი ყველანი გავხდით "რუსთავი 2"-ის საშუალებით. რაც მთავრია, ადამიანები, რომლებიც აღშფოთებულნი და შეშფოთებულნი იყვნენ, აპელირებას აკეთებდნენ არა ქართველობაზე, მართლმადიდებლობაზე და ა.შ., არამედ, ადამიანის უფლებებზე, რაც ირიბად ამტკიცებს, რომ, საქართველოშიც კი, ადამიანის უფლებები უფრო პირველადია, ვიდრე რელიგია და ეროვნული თვითცნობიერება;

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო საინფორმაციო (და არა მარტო საინფორმაციო) საშუალებები აქტიურად ებრძოდნენ ჟვანიას და სააკაშვილს, ამ უკანასკნელებმა მაინც მოახერხეს შთამბეჭდავი ხმების მიღება, რაც მიუთითებს იმას, რომ საქართველოს მოსახლეობას უკვე შესწევს ძალა, გაიტანოს თავისი გადაწყვეტილება ერთ ცალკე აღებულ ქალაქში მაინც;

მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. "კარუსელი" (ყალბი ბიულეტენების ჩაყრა ერთი და იგივე ამომრჩევლის მიერ რამდენიმე საარჩევნო უბანზე) აქტიურად იყო გამოყენებული, სააკაშვილის და ჟვანიას მოწინააღმდეგე ძალებმა ვერ მოიპოვეს აშკარა უპირატესობა. ეს კი ნიშნავს, რომ ჟვანია და სააკაშვილი სერიოზულ ძალას წარმოადგენენ და მათი პოლიტიკური ფასი აშკარად უტოლდება, თუ მეტი არ არის, იმ გაურკვეველი პარტიების ფასს, რომლელთა მიმართაც დღეს ჩვენში, ალბათ, ყველა პოლიტიკური ანალიტიკოსი სვამს კითხვას: კიდევ რა უნდა მოხდეს, რომ ეს პარტიები ხელისუფლების ორგანოებად თუ არა, მასთან აშკარად "შეკრულებად" საბოლოოდ ჩავთვალოთ? (წინასწარი სოციოლოგიური გამოკვლევების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სერიოზული წამატება (და არა წარმატება) წილად ხვდათ ლეიბორისტებს, უფრო უმნიშვნელო – ახლებს და მრეწველებს, შეიძლება აღორძინებასაც).

ყოველივე ზემოდთქმული ოპტიმისტურად განგვაწყობს და შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ "ცოტაც და" *რეჟიმი დაემხობა, შევარდნაძე გადადგება, ივერიაც გაბრწყინდება* (არადა, როგორ კარგად აღწერს ეს სამი ფრაზა სააკაშვილის მომხრეების სპექტრს). მაგრამ ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად მცირეა: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს ყველაფერი თბილისში მოხდა. ამ დღეებში რეგიონებიდან მოსული ინფორმაცია თბილისის უნიკალურობის შეგრძნებას ალბათ განგვიმტკიცებს (რეგიონულმა ამბებმა რადიკალური ფორმა რუსთავში და ზუგდიდში მიიღო). მეორეც, ნაპრალი თბილისსა და რეგიონებს შორის დღითი დღე ღრმავდება, რეგიონებიც სულ უფრო და უფრო ნაკლებად ირეკლავენ თბილისში მომხდარ ამბებს.

გარდა ამისა, ლეიბორისტების სერიოზული წამატების ობიექტად ქცევის იდეა აშკარად ხელისუფლებაში დაიბადა. იდეის ავტორიც არ არის ძნელი მისახვედრი – იმდენად ოსტატური ნაბიჯია გაკეთებული საკრებულოს ასარევად და ყბადაღებული "სტაბილურობის" მისაღწევად. შეიძლება ვცდები, მაგრამ თუ ეს იდეა სადმე სხვაგან გაჩნდა, მით უარესი ჩვენთვის – მაშინ კოლექტიურ შევარდნაძესთან გვქონია საქმე. ბევრი იფიქრებს, რომ ეს ნაბიჯი, შეიძლება ოსტატური, მაგრამ მცირეხნიანია – სააკაშვილი და ჟვანია შეიკვრებიან ერთ ფრონტად და გადალახავენ ყველა წინაამღდეგობას. მაგრამ ეს გულუბრყვილობაა: ჩვენს თვალწინ მკვდარი მოქალაქეთა კავშირის ნაცვლად *ორდენს* ეყრება საფუძველი;

შევარდნაძე ახალ თამაშს იწყებს: ორდენი აშკარად სჯობს პარტიას, თუნდაც კომუნისტურს. ორდენს, განსხვავებით პარტიისაგან, ფარული წევრები უფრო მეტი ჰყავს, ვიდრე აშკარა. ორდენის წევრები, ურჩობის შემთხვევაში, ისევ ორდენის წევრების ხელით ქრებიან; ორდენს არა აქვს წევრთა ყრილობა და არ ჰყავს ახალგაზრდა ორდენელები. ორდენს ჰყავს გენერალი. ორდენის ბეჭედი მხოლოდ გენერალს აქვს. ორდენსა არა აქვს აშკარა პრიორიტეტი და არ ჰყავს აშკარა ფავორიტი – ეს ყველაფერი სადღაც კულუარებში წყდება და შეიძლება, ყოველდღე შეიცვალოს. როგორც წესი, ორდენი ფარულად იბრძვის იმის წინაამღდეგ, ვისაც ღიად და აშკარად უჭერს მხარს.

ჩვენს დღეში მყოფი ქვეყნები ხასიათდებიან სოციალური როლების და პოლიტიკური ორიენტაციების გაურკვევლობით. გუშინ შევარდნაძემ ეს გაურკვევლობა სახელმწიფო დაგეგმარების დონეზე აიყვანა: დღეის შემდეგ აღარ იქნება ერთი პარტია, რომელზეც შევარდნაძე იტყვის, რომ ის მასზეა ჩამოყრდნობილი. ვინ იცის, რამდენი პარტიული ბოსის ოცნება ჩაიყრება წყალში – გახდეს მეორე ჟვანია, ანდა, თუნდაც, მაჭავარიანი. ორდენის წევრი შეიძლება ყველა იყოს, ისევე, როგორც არავინ არ იყოს – სამწუხაროდ დღეის შემდეგ გაგვიჭირდება ამის აშკარად დამტკიცება ან უარყოფა. რაც მთავარია, შევარდნაძეს – ორდენის გენერალს - უტყუარი იარაღი აქვს – სერიოზული წამატება, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ხან გადასახადების გადაუხდელობაზე თვალის დახუჭვაში, ხან ინვესტიციის განკარგვის უფლების მინიჭებაში, ხან კი – როგორც გუშინ – ხმების მიზანმიმართულ, ოთხი ხელით ჩაყრაში.

ყოველ შემთხვევაში, გუშინ ახალ ორდენს საფუძველი ოფიციალურად ჩაეყარა. ეს კი, ასევე ირიბად, მიუთითებს ჩვენი ქვეყნის განუხრელ სვლას შუა საუკუნეებისაკენ, სადაც: 1. ქალაქში არსებობდა (ერთგვარი) სამოქალაქო კულტურა და ადამიანის უფლებების (რაღაცნაირი მაინც) დაცვა, ხოლო სოფელი (ჩვენს შემთხვევში - რეგიონი, პერიფერია) სრულიად მოწყვეტილი იყო "ქალაქური ცხოვრების" სიკეთეებს;

2. ქვეყანა იმართებოდა დაუწერელი "ორდენული" კანონებით, რომლებიც უშვებდნენ გარკვეულ თავისუფლებებს შეზღუდულ სივრცეებში;

3. ბრძოლა თავისუფლებების გასავრცელებლად იხშობოდა და ნადგურდებოდა, როგორც კი ზედმეტად დასცილდებოდა ქალაქს, ამიტომ ქალაქში თავისუფლებებისთვის და უფლებებისათვის მებრძოლები აღარ იყვნენ ასეთები, როდესაც პერიფერიაში ცდილობდნენ თავისი გავლენის გავრცელებას.

# სოციალისტები არჩევნების გაყალბებაში საკუთარ მოკავშირეებს ამხელენ

პირველი გვერდიდან

**ნება" და "ახალი მემარჯვენეები." ვიცი, რომ ეს "აღორძინების" გაკეთებული არ არის. ეს იმ პარტიის ნახელავია, ვინც ამტკიცებდა, ყველაზე მაგრები ვართო",** - განაცხადა დენის დავითაშვილმა.

ბრალდება "ახალი მემარჯვენეებისათვის" სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. ისინი დაუყონებლივ დაუკავშირდნენ ვახტანგ რჩეულიშვილს და მისგან ახსნა-განმარტება მოითხოვეს. პარტიის ერთ-ერთი ლიდერის დავით საგანელიძის ინფორმაციით, **"ახლებს" არც ერთ საარჩევნო კომისიაში არ ჰყოლიათ პარტიის წევრები და აქედან გამომდინარე, პროცესებზე ზემოქმედებაც არ შეეძლოთ.** რაც შეეხება "ცესკოში" გავრცელებულ ინფორმაციას, საგანელიძე მას პროვოკაციად ნათლავს და აღნიშნავს, რომ **პასუხისმგებლობა საარჩევნო პროცესების გაყალბებაზე, მთლიანად, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა აიღოს.** რაც შეეხება კოალიციურ უმრავლესობას, დავით საგანელიძე აცხადებს, რომ მისი **"პარტია თანამშრომლობს პარლამენტში სხვა პარტიებთან და ეს ურთიერთობა გაგრძელდება კიდეც, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მათ უმრავლესობა შექმნეს.**

ამასობაში, სხვა პარტიების წარმომადგენლები მომხდარის შესახებ უკვე საკუთარ აზრებს გამოთქვამენ.

**"კომისიების დაკომპლექტების დროს ოთხ პარტიას შორის მიღწეული შეთანხმებები დაირღვა, რადგან ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. მონაცემების მიხედვით ცხადი ხდება, რომ ამ ჯგუფის ერთი ნაწილი, როგორც ამბობენ, "გადააგდეს." ეს არჩევნების პროცესსაც დაეტყო. მაგალითად, ბევრგან ვითომ მოკავშირეების კარუსელებმა ერთმანეთი გადაკვეთეს. "ცესკოში" შეთანხმებამ უბნებზე შედეგი ვერ გამოიღო. ახლა კი ერთმანეთში საქმეების გარჩევა მიდის. საერთოდ, საარჩევნო გარიგებები ყოველთვის იწვევს ასეთ დაპირისპირებებს. არ გამიკვირდება, რომ იმ პოლიტიკურმა ძალამ, რომელიც ფიქრობდა, რომ არჩევნებში უდავო გამარჯვებული იქნებოდა, დღეს უკვე საპროტესტო განცხადებები გააკეთოს და საარჩევნო პროცესების გამჭვირვალედ წარმართვა მოითხოვოს. რაც შეეხება სოციალისტთა ბრალდებას, ეს ალბათ იმ პარტიის გაკეთებულია, ვინც ყველაზე მეტად ამტკიცებდა, რომ არჩევნები ნორმალურად ჩატარდებოდა",** - აცხადებს ბლოკ სახალხო-ტრადიციონალისტების წარმომადგენელი გოჩა ჯოჯუა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი მამუკა კოპალეიშვილი კი ამბობს, რომ არაფერი მოულოდნელი არ მომხდარა, **"რადგან ყველას საკუთარი ინტერესები და მიზნები აქვს. ცესკოში შექმნილი ახალი უმრავლესობა არ აღმოჩნდა მყარი, რადგან მათი გზები გადაიკვეთა. ნამდვილად ვერ ვიტყვი, ვინ დაარღვია ოთხ პარტიას შორის მიღწეული შეთანხმება. ერთი რამ ცხადია, რომ მათი გარიგება ჩაიშალა. ეს კი ყველამ საკუთარ თავს დააბრალოს. უბნებზე ვინ ვის რა გაუკეთა, ნამდვილად არ მაინტერესებს",** - ამბობს იგი.

## 73-ე მუხლი: დამოკლეს მახვილი „ახლების" თავზე

ზაზა წულაძე

*"ახალი მემარჯვენეებს", რომლებმაც წინასწარი შედეგებით ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებში 4 პროცენტიანი ბარიერი გადალახეს, შესაძლოა მომავალ არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჩამოერთვათ. რამდენიმე პარტია, არასამთავრობო ორგანიზაცია და კერძო პირი აპირებს სასამართლოში დაამტკიცოს, რომ "ახლებმა" უხეშად დაარღვიეს საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლი, ფულის მეშვეობით მოიგეს რა ამომრჩეველთა გულები.*

**"არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე საარჩევნო სუბიექტსა და მათ წარმომადგენლებს ეკრძალებათ, პირადად ან ვინმეს მეშვეობით გადასცენ ამომრჩევლებს ფულადი სახსრები, საჩუქრები და სხვა მატერიალური ფასეულობანი, შეღავათიან ფასებში მიჰყიდონ საქონელი, უფასოდ მიაწოდონ ან გაავრცელონ ნებისმიერი საქონელი, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული სააგიტაციო მასალისა, აგრეთვე დააინტერესონ ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირებით. სასამართლოს მიერ ასეთი ფაქტების დადასტურების შემთხვევაში, საარჩევნო სუბიექტს სასამართლოს გადაწყვეტილებით უუქმდება რეგისტრაცია."** – ყველაფერი ეს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 თავში წერია.

თავად განსაჯეთ, დაარღვია თუ არა კანონის ეს მოთხოვნა საარჩევნო სიაში ნომერმა 38-მა - "ახალმა მემარჯვენეებმა". მათ 17 მაისს პარტიის ცენტრალურ ოფისში, ჭავჭავაძეზე, მიწისძვრისგან განსაკუთრებით დაზარალებული 38 (რა ნაცნობი ციფრია?!) ოჯახის წარმომადგენელს უხმეს და, "ახალი ქართული ფონდის" მეშვეობით, მრავალრიცხოვან სტუმართა და ჟურნალისტთა თანდასწრებით, თითოეულს 10 ათასი ლარის საბანკო ჩეკი გადასცეს, რომელიც საჩუქრის სახით გაფორმდა. ამ შეხვედრაზევე იქნა გაკეთებული განცხადება, რომ უახლოეს მომავალში მსგავს დახმარებას კიდევ 62 ოჯახი მიიღებდა.

**"ახალმა მემარჯვენეებმა" რამდენჯერმე დაარღვის საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლი. აქცია განხორციელდა მაშინ, როცა არჩევნები კარგა ხნის დანიშნული იყო, ხოლო საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე ორ კვირაზე მეტია დარჩენილი. "ახლებმა" საჯაროდ განაცხადეს, რომ ეს იყო მათი ფული, რომელიც საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად ჰქონდათ გადადებული, მაგრამ გადაწყვიტეს, ქველმოქმედებისთვის გამოეყენებინათ. ამომრჩევლებისთვის ამ თანხის გადაცემა მოხდა, როგორც სხვა სუბიექტის, ანუ "ახალი ქართული ფონდის", ისე პარტიის წარმომადგენლების უშუალო მონაწილეობით. ჩეკს პირადად გადასცემდნენ ნონა გაფრინდაშვილი და ბადრი პატარკაციშვილის და - მზია თოთლაძე, შესაბამისად, მე-2 და მე-7 ნომრები "ახლების" საარჩევნო სიაში. ამომრჩეველს გადაეცა ფული და გაფორმდა ეს, როგორც საჩუქარი. "ახლები" საჯაროდ დაპირდნენ ამომრჩეველს, რომ მსგავსი აქცია მომავალში კიდევ განხორციელდებოდა. რაოდენ კეთილშობილურადაც არ უნდა ჩანდეს ეს ყველაფერი, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს იყო ამომრჩევლების მოსყიდვა, ანუ კანონის დარღვევა."** – მიაჩნია ახალგაზრდა იურისტთა გამგეობის წევრს, ლადო სანიკიძეს. **"კანონშეუსაბამობასთან ერთად, ეს იყო არაეთიკური საარჩევნო ტრიუკი."** – აცხადებს ანტიკორუფციული შვიდკაცას ყოფილი წევრი, იურისტი დავით უსუფაშვილი. **"აქ აშკარა კანონდარღვევასთან გვაქვს საქმე."** – გვითხრა ახალგაზრდა იურისტთა გამგეობის თავჯდომარემ, თინათინ ხიდაშელმა.

17 მაისის აქციის კანონიერების შესახებ, ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება "ახალ მემარჯვენეებშიც" არ არის. **"ვიცით, რომ ეს კანონის დარღვევა იყო...თუ ვინმეს ეყოფა ნამუსი და სარჩელს შეიტანს, ეს ჩვენ, შეიძლება, რეგისტრაციის მოხსნის საფასურად დაგვიჯდეს, მაგრამ მის ნამუსზე იყოს."** – ასე დაანამუსა კონკურენტები "ახლების" აქტივისტმა ფიქრია ჩიხრაძემ(იხ. 21-22 მაისის "ალია"). საპირისპიროს ამტკიცებენ პარტიის ბოსები - ლევან გამყრელიძე და ლევან გაჩეჩილაძე. **"თუ ჩვენი ოპონენტები თვლიან, რომ ეს იყო წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი, იურისტებიც თავად არიან და სასამართლოს რეფორმაც მათი ჩატარებულია, სადაც უნდათ იქ გვიჩივლონ."** – განაცხადა გამყრელიძემ. **"არავის აქვს უფლება, ილაპარაკოს კანონდარღვევაზე, ვიდრე ამას სასამართლო არ გადაწყვეტს."** – ამბობს გაჩეჩილაძე.

სასამართლოში სარჩელის შეტანა შეეძლო (და ახლაც შეუძლია) ნებისმიერ მოქალაქეს ან ორგანიზაციას, თუმცა ექსპერტთა აზრით, პირველ რიგში ეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა გაეკეთებინა. **"საარჩევნო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, ცესკო ვალდებულია, აკონტროლოს საარჩევნო კანონმდებლობის ერთგვაროვანი გამოყენება, ამიტომ კომისია ვალდებული იყო, მიემართა სასამართლოსთვის.** – მიაჩნია დამოუკიდებელ ექსპერტს ნუგზარ ივანიძეს. ცესკო-ში მიიჩნევენ, რომ არის გარკვეული შეუსაბამობა, მაგრამ კანონის დარღვევაზე საუბარი არ შეიძლება. **"უბრალოდ, ადგილი ჰქონდა რამდენიმე დამთხვევას, მათ შორის, იმასაც, რომ ფონდის მეშვეობით ფულადი დახმარება 38-მა ოჯახმა მიიღო."** – ასეთია ცესკო-ს იურისტის ელდარ გოგიაშვილის კომენტარი. **"ამ შემთხვევაში ცესკო-მ კანონის დაცვა ვერ შეძლო, ეს კი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ხელისუფლების მიერ ანგაჟირებულ კომისიაში არაპროფესიონალები სჭარბობენ."** – გვითხრა "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენელმა ნუგზარ კუპრეიშვილმა.

კონკურენტ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში ადასტურებენ, რომ შეგნებულად შეიკავეს თავი სასამართლოში ჩივილისგან, რადგან არჩევნებამდე ამას შეიძლებოდა უკუშედეგი გამოეღო, გაეზარდა "ახლების" პოპულარობა და მხარდამჭერთა რიცხვი. ახლა რამდენიმე პარტიას, არასამთავრობო ორგანიზაციასა და კერძო პირს უკვე სურს, "ახლების" მხრიდან 73-ე მუხლის დარღვევა სასამართლოში დაამტკიცოს. **"ქალბატონ ჩიხრაძეს მინდა ვუთხრა, რომ მეყოფა ნამუსი, შევიტანო სარჩელი მათ წინააღმდეგ, რათა ამ პარტიამ ვერ შეძლოს მომავალ არჩევნებში მონაწილეობა. აშკარაა, ეს გამიზნული იყო არა მხოლოდ 2 ივლისის, არამედ 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვისაც. თუ უნდოდათ, ეს აქცია კანონიერიც ყოფილიყო და მორალურადა, ჩათვლოდათ, მაშინ ან ჩუმად უნდა გაეკეთებინათ და არ ეთქვათ, ან არჩევნების შემდეგ დაერიგებინათ ფული, ანაც დაერიგებინათ და უარი ეთქვათ არჩევნებში მონაწილეობაზე. სხვა შემთხვევაში ეს იყო საუკეთესო საარჩევნო კამპანია. გაჩეჩილაძისა და გამყრელიძის პლაკატზე გადატანილი სიფათების ყურებას, 10000 ან 1000 ლარის ჯიბეში ჩადება ნებისმიერს ურჩევნია."** – აცხადებს სანიკიძე.

თუ ეს ხმაურიანი სასამართლო პროცესი შედგა და "ახლებმა" იგი წააგეს, მაშინ მათ მიერ საკრებულოებში გაყვანილი დეპუტატები რჩებიან თვითმართველობაში, ხოლო თავად პარტიას საარჩევნო კოდექსის 77-ე მუხლის 21-ე თავის თანახმად, ეკრძალება მომავალ არჩევნებში მონაწილეობა. გაუგებარი მხოლოდ ისაა, მომდევნო არჩევნებში რომელი იგულისხმება, 2003 წლის საპარლამენტო თუ მომდევნო თვითმართველობის არჩევნები. კანონი ამას ზუსტად არ განმარტავს. **"საზოგადოებამ უნდა იფიქროს იმაზე, რომ პარტიას (ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, რომელს) ასეთი დარღვევა არ უნდა შერჩეს. დაუსჯელობის შემთხვევაში, მომავალში ეს ძალა საზოგადოებას ყველაფერს გაუბედავს."** – მიაჩნია სანიკიძეს.

ახლების მოლოდინის შემდეგ საზოგადოება სამართლის მოლოდინშია.

## "ჩვენ უნდა გვქონდეს საკუთარი მოქალაქეების დაცვის უფლება სოხუმში, ბათუმსა და ცხინვალში!"

### რაში სჭირდება რუსეთს სამაჩაბლოში მცხოვრები თანამემამულეები?

რუსუდან ნიკურაძე
საკუთარი კორესპონდენტი მოსკოვში

რუსეთის პარლამენტმა მეზობელ რესპუბლიკებში მცხოვრები რუსულენოვანი მოსახლეობის პრობლემაზე კონცენტრაცია მას მერე მოახდინა, რაც 5 მაისს პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ხელი მოაწერა კანონს "საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთა უფლებების დაცვის შესახებ".

ერთი შეხედვით, მეზობელი რუსეთის ეროვნულ ინტერესებთან სრულ შესაბამისობაში მოსული ეს კანონი, მთელი თავისი "დერჟავნიკული ატრიბუტიკით" ლოგიკურად შეესატყვისება ამ ქვეყნის ფედერალური განვითარების პროგრამას. ამ პატრიოტული კანონის თანახმად, რუსეთის ის მოქალაქენი და თანამემამულენი, რომლებიც ბედის უკუღმართობამ პოსტსაბჭოთა სივრცეზე მიმოისროლა, ქვათა შეკრების კამპანიაში მოხვდნენ. საკითხავია, რამდენად მოიცვა და დააზიანა რუსეთის სტრატეგიული ინტერესების დაცვამ მეზობელი სუვერენული რესპუბლიკების ეროვნული ინტერესები და როგორ შესაბამისობაშია საქართველოს სუვერენიტეტთან რუსეთის გაღვიძებული პატრიოტული მადა აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს დანარჩენ რეგიონებში?

ამ რომანტიკულ-პათეტიკურ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად მზადაა რუსეთის საგარეო უწყება,რომლის დიპლომატები აცხადებენ,რომ რუსეთს უნდა ჰქონდეს ბათუმში, სოხუმსა და ცხინვალში საკუთარი მოქალაქეების დაცვის და მათი საკონსულო მომსახურების უფლება.იგი ამას გააკეთებს კიდეც,რადგან დღეს ქართველი დიპლომატები საკონსულო მომსახურებას უწევენ საქართველოს მოქალაქეებს სოჭსა და სანკტ-პეტერბურგში(იქ,სადაც საქართველოს საკონსულო სამსახურები მოქმედებენ).

"რატომ არ შეიძლება რუსეთმა მსგავსი დახმარება გაუწიოს საკუთარ მოქალაქეებს საქართველოს რაგიონებში?"- განაცხადა კორესპონდენტთან საუბარში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის წარმომადგენელმა სერგეი სმეტანინმა, რომელიც მონაწილეობდა რუსეთის პარლამენტის დსთ და საერთაშორისო საქმეების კომიტეტთა ინიციატივით ცოტა ხნის წინ გამართულ საპარლამენტო მოსმენებში. სხდომა მიჰყავდა რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერს ვლადიმირ ლუკინს. მას ესწრებოდნენ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატები, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, რუსეთის პარლამენტში აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და აჭარის თავგადაკლული ლობისტები სხვადასხვა კომიტეტებიდან და მოწვეული რუსი სამხედროები.

ამ სხდომის მთავარი მიღწევა ის გახლდათ, რომ გადაწყდა, საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების ინტერესებისა და სამართლებრივი ნორმების დასაცავად ადგილებზე გამსვლელი საკონსულო დესანტის გადასხმა, ანუ მოძრავი ფედერალური კომისიების შექმნა. ეს სხვას არაფერს მოასწავებს, თუ არა მეზობელ რესპუბლიკებში რუსეთის "ნამესტნიკების" გამწესებას, თუმცა, იურისტები ამბობენ, რომ სამართლის ნორმები არ ირღვევა. ქართველი დიპლომატები აცხადებენ, რომ ისინიც იმავეს აკეთებენ სანკტ-პეტერბურგსა და სოჭში საკუთარი მოქალაქეების ინტერესების დასაცავად.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საპარლამენტო მოსმენების ერთ-ერთ რეკომენდაციაში ვკითხულობთ: "საქართველო-რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროებმა დაიწყონ კონსულტაციები საქართველოში რუსულენოვანი მოსახლეობის მდგომარეობის შესასწავლად, მათი უფლებების დაცვის სახელმწიფოებრივი კონტროლის მიზნით". შემდეგ:

"დადგეს საკითხი, რათა გამარტივდეს რუსეთის მოქალაქეობის მიღება საქართველოში მცხოვრები ხანდაზმული ასაკის რუსეთის მოქალაქეთა და სამხედრო მოსამსახურეთათვის. რუსეთის ხელისუფლების წინაშე დავსვათ საკითხი საგადასახადო და საბაჟო შეღავათებზე რუსეთის იმ ფირმებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებიც საქართველოში ჩვენს თანამემამულეებს ეხმარებიან("ლუკოილი", "იტერა", "რაო ეეს", "გრუზგაზი", "ენერგომაშსბიტი") და კიდევ: საქართველოში " რუსეთის ხელისუფლებამ უნდა მიაღწიოს რუსული ენის პოზიციების გამყარებას. ამ მიზნით, საქართველოში უნდა აღდგეს ორტ და რტრ-ის გადაცემების ტრანსლაცია."

მსგავსი სხვაც ბევრია რუსეთის პარლამენტის ამ სქელტანიან რეკომენდაციებში, და თუ ქართველი პარლამენტარები დაინტერესდებიან, შეიძლება -გადავცეთ.

დსთ კომიტეტის წარმომადგენელმა, ოსი ეროვნების ქალბატონმა საპარლამენტო მოსმენებზე გააკეთა განცხადება სამხრეთ ოსეთში თანამემამულეების დისკრიმინაციაზე. მისი თქმით, დღეს ამ რეგიონის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი რუსეთის მოქალაქეობას იღებს და თავს რუსების თანამემამულეებად მიიჩნევს, ხოლო რუსეთი და მისი სამშვიდობო. ძალები საქართველოს მხრიდან შეიარაღებული კონფლიქტის თავიდან აცილების გარანტიაა. სამხრეთ ოსეთის განათლების სისტემაც მორგებულია რუსეთისაზე და, რადგანაც, ამ რეგიონის მოსახლეობას დღემდე საქართველოს მოქალაქეობა არ აქვს მიღებული, უნდა დაისვას საკითხი რუსეთის მოქალაქეებად მათი გახდომის გამარტივებულ პროცედურაზე, რადგანაც ისინი მოქალაქეობის არმქონე პირებად განიხილებიან. სამწუხაროდ, თბილისში მდებარე რუსეთის საელჩო მათ სავიზო მომსახურებაში დახმარებას ვერ უწევს. გარდა ამისა, მათთვის თბილისში მოგზაურობაც გარკვეულ საფრთხესთანაა დაკავშირებული".

შეიძლება, რუსი პარლამენტარების ბევრი პროვოკაცია პასუხის გაცემას არც იმსახურებდეს, მაგრამ .ძალიან ხომ არ გაგვიგრძელდა რუსეთის მიმართ ირონიული დუმილი და საკუთარი თავის დამშვიდება იმით, რომ, ამგვარად, მხოლოდ გიჟი რუსი პარლამენტარები ყვირიან.

ქართული დიპლომატია ამ მოწამლულ საკენკს არ უნდა კენკავდეს, პოლიტიკაში ცალი თვალით ჩახედულმა მიამიტმაც იცის, რომ დღეს რუსეთის ჯიბის პარლამენტი და, მით უფრო, ხელისუფლება პრეზიდენტის მითითების გარეშე მსგავს საპარლამენტო განცხადებებს არ გააკეთებს, უბრალოდ, მსგავს ქმედებებზეც არ წავა.




## გამოსვლა მეორე - ლეიბორისტები დაბრუნდნენ

პირველი გვერდიდან

**მემარცხენე პარტიების ამომრჩეველი. საზოგადოებას, აუტანელი მდგომარეობის გამო, ხელს აძლევდა რადიკალურად კრიტიკული პოზიციის დაფიქსირება, ასეთი პოზიციით კი ნაციონალისტები და ლეიბორისტები გამოირჩეოდნენ, და მათ მოიგეს კიდეც არჩევნები,"** – მიიჩნევს თსუ-ს სოციოლოგიის კათედრის გამგე ედუარდ კოდუა.

ამაში დასარწმუნებლად, საკმარისია ამ პარტიის მოკლე ისტორიისთვის თვალის გადავლება. 1995 წელს "სახელმწიფოებრივ-სამართლებრივმა გაერთიანებამ", რომლის სამართალმემკვიდრეც არის ლეიბორისტული პარტია, პარლამენტში ერთი მაჟორიტარის გაყვანა მოახერხა, ეს კაცი დუშეთელი იურისტი შალვა ნათელაშვილი გახლდათ. 1998 წელს ლეიბორისტები იგებენ თვითმართველობის პირველ არჩევნებს და თბილისის საკრებულოში, ყველაზე დიდი, 12-კაციანი ფრაქციით შედიან. 1999 წელს, პარტიამ ხმების სოლიდური რაოდენობა (არაოფიციალური მონაცემებით, 9-12 პროცენტი) მიიღო საპარლამენტო არჩევნებშიც, თუმცა, ხელისუფლების ჩარევის შემდეგ, მათ 7-პროცენტიანი ბარიერი არ გადაალახვინეს. და ბოლო შედეგი, ხმების 25,9 პროცენტი დედაქალაქში და სავარაუდოდ, 15-18-კაციანი ფრაქცია თბილისის ახალ საკრებულოში.

**"ჩვენი ამომრჩეველი, მთელი ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის 80 პროცენტს შეადგენს,"** – სიამაყით აცხადებს ლეიბორისტების ლიდერი შალვა ნათელაშვილი. - **"ლეიბორისტების ამომრჩეველი, ძირითადად, საბიუჯეტო სექტორში, ძალიან დაბალ ხელფასზე მომუშავე ადამიანები არიან, ასევე - უმუშევრები, პენსიონერები. შეიძლება ამ ელექტორატის საკმაოდ დიდი ნაწილი მოვიძიოთ მასწავლებლებშიც. ეს ადამიანები თავის ყოველდღიურობაში არიან ჩაფლულნი. ლეიბორისტების იდეები მათვის ძალიან მიმზიდველია. ნათელაშვილი, თავისი გასაგები რიტორიკით, მათ იმ წარსულში აბრუნებს, რომელიც ამ ხალხმა გამოირა. ყველაფერი უფასო, დროული ხელფასი... აქაური გადასახედიდან, ამ ადამიანების მეხსიერებას მხოლოდ ეს შემორჩა. არავის ახსოვს ტალონები, ხელფასი რომ არ ჰყოფნიდათ და მასიურად ქურდობა უხდებოდათ. ესენი არაინ ადამიანები, რომლებიც მატერიალური და მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით კრიზისულ ვითარებაში იმყოფებიან, მათ არ უნდათ აიღონ ახალი პასუხიმგებლობა, ურჩევნიათ დაბრუნდნენ წარსულში, ნათელაშვილის რომანტიკულ კომუნიზმში და ამიტომაც აძლევენ ლეიბორისტებს ხმას,"** – ამბობს სოციოლოგი ემზარ ჯგერენაია.

ლეიბორისტთა ამომრჩევლის მეხსიერებაში, როგორც ჩანს, აღარ დარჩა ადგილი ხუთი წლის წინანდელი ამბებისთვისაც, როცა თბილისის საკრებულოში მოსული 12 კაციანი ფრაქციიდან, საბოლოოდ პარტიას ორი კაციღა შემორჩა. **"ამჯერად ჩვენ ეს აღარ გვემუქრება. მაშინ ე.წ. ცნობილი სახეებით დავაკომპლექტეთ სია, რომლებისთვისაც ქალაქის მერის ერთი გაცინება და ჭიქის მიჭახუნება საკმარისი აღმოჩნდა პრინციპების შესაცვლელად,"** – უხალისოდ იხსენებს ძველ ამბებს ნათელაშვილი.

**"ახლა ამომრჩევლისთვის უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ის, რომ ლეიბორისტები არ არიან გასვრილნი, მათ არ უმართავთ ქვეყანა,"** – აცხადებს ედუარდ კოდუა.

ექსპერტთა უმრავლესობა, ნათელაშვილის პარტიის ასეთ წარმატებას ქვეყნის განვითარებისთვის არაპოზიტიურად აფასებს. **"მემარცხენე იდეოლოგია და ფილოსოფია, მიუხედავად თავისი მომხიბლელობისა, დღეს საქართველოს ყველაზე ნაკლებად სჭირდება. ეს იდეოლოგია მომგებიანია, იმ საზოგადოებაში, სადაც საკმაოდ მდიდარი ფენა არსებობს, დაგროვილია გარკვეული სიმდიდრე, რომლის გადანაწილებას და სოციალური დაზღვევის სისტემის შექმნას აზრი აქვს. ჩვენთან, სადაც ჯერ არაფერი შექმნილა, მემარცხენე იდეოლოგია პოზიტიურს ვერაფერს მოიტანს,"** – მიაჩნია ემზარ ჯგერენაიას.

**"ქვეყანაში, რომელსაც უზარმაზარი შიდა ვალი აქვს, ხოლო საგარეო ვალმა უკვე 2 მილიარდ ამერიკულ დოლარს გადააჭარბა, მოხვიდე ხელისუფლებაში უფასო განათლების, ჯანდაცვის, ტრანსპორტის და ა.შ. ლოზუნგით, ნიშნავს, რომ ამომრჩეველი კიდევ ერთხელ მწარედ მოატყუო,"** – აცხადებს ეკონომიკური ექსპერტი ნიკო ორველაშვილი.

უკვე დღეს, ნათლად ჩანს, რომ თბილისის საკრებულოში მოხვედრილ პარტიათა გადაჯგუფების პროცესში, მიუხედავად სოლიდური ფრაქციით გასვლისა, ლეიბორისტების პოზიციები ყველაზე სუსტი და წამგებიანია.

**"ჩვენ და ზურაბ ჟვანის გუნდი, კოალიციას შევქმნით, იქეთ კი იქნებიან "ახლები", "მრეწველები", "აღორძინება", და ალბათ, მათკენ გადაიხრებიან ლეიბორისტებიც,"** – ასე ფიქრობს ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი.

**"ლეიბორისტები დაჰპირდნენ ამომრჩეველს იმას, რისი რესურსიც საქართველოს უბრალოდ არ გააჩნია. ბუნებრივია, ისინი ეცდებიან საერთო ენის გამონახვას იგივე "ახლებთან" და "მრეწველებთან", ვინაიდან ღარიბს თავისი პროექტების განსახორციელებლად ყოველთვის სჭირდება მდიდარის ფული. მაგრამ, ნაკლებმოსალოდნელია, რომ იდილია, თუ ასეთი შედგა, დიდხანს გაგრძელდეს. ეს, პირველ რიგში, ჩვენი ახლადგამოჩეკილი მემარჯვენეების ჯიბეს დაარტყამს. ნაკლებმოსალოდნელია, მათი თანამშრომლობა საავაკაშვილის და ჟვანიას გუნდებთანაც. მე პირადად არანაირი მოლოდინი იმისა, რომ ლეიბორისტები რაიმე კონტრუქციულის გაკეთებას შეძლებენ, არა მაქვს,"** – აცხადებს ემზარ ჯგერნაია.

## ყოფილი ელჩი სტანევსკი საქართველოსთვის ეკონომიკურ ბლოკადას ითხოვს

"უნდა შეწყდეს საქართველოსათვის ეკონომიკური დახმარების გაწევა, რადგან დღეს საქართველოს ოფიციალური ხელისუფლება რუსეთის ინტერესების საზიანოდ მოქმედებს,"-განუცხადა მოსკოვში ჟურნალისტებს დსთ ინსტიტუტის კავკასიის განყოფილების გამგემ, საქართველოში რფ ყოფილმა ელჩმა ფელიქს სტანევსკიმ.

იგი აცხადებს, რომ "შევარდნაძის რეჟიმი ქართული ნაციონალიზმის განსახიერებაა, რაც რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების უგულებელყოფითა და თურქეთთან პრიორიტეტული დაახლოებით გამოიხატება". ამიტომ სტანევსკი მიიჩნევს, რომ აუცილებელია საქართველოს პოლიტიკური ელიტის გამოყოფა საქართველოს მოსახლეობისაგან, რომლის 90 პროცენტი დღემდე რუსეთის სიმპათიებს იმსახურებს.

ყოფილი ელჩი ანგარიშგასაწევს არქმევს აშშ-თან საქართველოს სტრატეგიულ პარტინორობას ანტიტერორისტულ კოალიციაში, "მაგრამ ცუდია, რომ შევარდნაძე ამით პრეზიდენტობას კიდევ დიდხანს შეინარჩუნებს."

იგი, კოდორის ხეობის მოვლენების გამო, რუსეთის ხელისუფლების ზოგიერთი ჩინოვნიკის დანაშაულად მიიჩნევს საქართველოსათვის გარკვეული ინდულგენციების მიცემას. სტანევსკიმ, აგრეთვე, გააკრიტიკა დღევანდელი საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსი, რომელიც ჩეჩენი ბოევიკებისადმი კეთილგანწყობით გამოირჩევა. ფელიქს სტანევსკი რუსეთის ხელისუფლებისაგან ითხოვს საქართველოსათვის მკაცრი ეკონომიკური ბლოკადის დაწესებას და მასთან მსოფლიო სტანდარტებით ვაჭრობის წარმოებას.

დსთ ინსტიტუტის კავკასიის განყოფილების გამგე ასევე კატეგორიულად ითხოვს რუსეთის მხრიდან სახელმწიფო უსაფრთხოების სფეროსა და დიპლომატიურ წრეებში საქართველოსადმი მიდგომის გამკაცრებას.

"მოსკოვმა დიდი და დაუმსახურებელი საჩუქარი უძღვნა თბილისს ქვეყნის უსაფრთხოების სფეროში ანტიტერორისტული ერთობლივი პროექტების სახით, ეს დღეს რუსეთისათვის საზიანოა".სტანევსკი ამ აზრს არ აკონკრეტებს. იგი რუსეთის პრეზიდენტისაგან და პრემიერისაგან მოითხოვს რუსეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ორგანიზაციებისა და კომერციული სტრუქტურების მოქმედების აღკვეთას ან შეზღუდვას.

"შევარდნაძის ლობისტები რუსეთში და მისი მხარდამჭერი ქართული დისაპორა .ძირგამომთხრელ მუშაობას ეწევა,"-ამტკიცებს იგი. სტანევსკი ამბობს, რომ რუსეთში ქართული დიასპორის ერთმა მცირე ნაწილმა შევარდნაძის პოლიტიკა დაგმო,მაგრამ მათი კოლექტიური წერილის ორგანიზება ისევ მოსკოვის ქართულმა დიასპორამ ჩაშალა. რუსეთის პარლამენტარებმა და ინტელიგენციამ ყველაფერი უნდა იღონონ, რათა შემდგომში მაინც არ დაშორდეს ერთმანეთს რუსეთისა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსი.

ჟურნალისტებთან საუბარში ფელიქს სტანევსკიმ მადლობით მოიხსენია აჭარის ლიდერის ასლან აბაშიძისა და აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაში ვლადიმირ პუტინის სპეციალური წარმომადგენლის,რუსი დიაპლომატის ვალერი ლოშჩინინის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებასა და კონფლიქტის .ძალისმიერი მეთოდებით გადაჭრისათვის ხელის შეშლის მცდელობა.

სტანევსკიმ უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამოც, რომ თბილისში რუსეთიდან ჩასული დელეგაციების ღონიძიებებსა თუ ადგილობრივ პოლიტიკურ ელიტასთან შეხვედრებზე არ ასწრებენ საქართველოში რუსეთის ფედერაციის ელჩს. დსთ ინსტიტუტის წარმომადგენელი აცხადებს, რომ რუსეთმა კავკასიაში დაკარგული პოზიციები უნდა აღიდგინოს.

# ინდოეთი-პაკისტანი: ბირთვული ომის საფრთხე კვლავ რეალურია

გიორგი ხელაშვილი



«როიტერის» ფოტო

***ალმა-ათაში დაიწყო უსაფრთხოების რეგიონული სამიტი, რომელზეც ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდნენ ინდოეთისა და პაკისტანის ლიდერები. რუსეთის პრეზიდენტი მათი პირისპირ შეხვედრის ორგანიზებას ცდილობს.***

ორად გაყოფილი ქაშმირის "კონტროლის ხაზზე" სამხედრო მოქმედებები ყოველ წუთში შეიძლება დაიწყოს. პაკისტანურ სექტორში განლაგებული აჯანყებული მუსლიმი მებრძოლები ინდური ტერიტორიის დაბომბვას განაგრძობენ, ინდოელი სამხედროების მოთმინების ფიალა კი თანდათან ივსება.

ყოველდღიურად საარტილერიო ცეცხლის გაცვლა რამდენიმე ჯარისკაცის სიცოცხლეს იწირავს. ორშაბათს ინდოეთის შეიარაღებული ძალების საპასუხო საარტილერიო ზალპმა ექვსი პაკისტანელი სამხედრო მოსპო.

მაინც რა ხდება დღეს ქაშმირში?

პროვინციის ინდური და პაკისტანური სექტორების გამყოფი "კონტროლის ხაზის" ორივე მხარეს მილიონამდე ჯარისკაცი და ოფიცერია თავმოყრილი, რომლებსაც ზურგს ასობით ტანკი და სამხედრო თვითმფრინავი უმაგრებს. მაგრამ თავისთავად ეს ვითარება საგანგაშო არ იქნებოდა, პროვინციაში ათასამდე მუსლიმი ტერორისტი რომ არ მოქმედებდეს, რომლებიც პერიოდულად აღწევენ ინდოეთის ტერიტორიის სიღრმეში და ტერორისტულ აქტებს აწყობენ. ინდოელი სამხედროები ჯერჯერობით მოთმინებით ელიან პაკისტანის პრეზიდენტის მუშარაფის დანაპირებს, რომ პაკისტანელ ტერორისტებს თავად მოუვლის. თუ ეს არ მოხდა, მაშინ ინდოეთი იძულებული გახდება, ანტიტერორისტული ოპერაცია წამოიწყოს, ანუ ან ჰაერიდან დაბომბოს პაკისტანელი ისლამისტების პოზიციები, ან არმიის განსაკუთრებული ნაწილები დესანტით გადასხას პროვინციის პაკისტანურ სექტორში. რა თქმა უნდა, ამ ნაბიჯს პაკისტანის სამხედრო პასუხი მოჰყვება. იმის გათვალისწინებით, რომ ინდოეთის ჩვეულებრივ შეიარაღებულ ძალებს დიდი უპირატესობა გააჩნიათ პაკისტანთან შედარებით, ისლამაბადი ალბათ იძულებული შეიქნება, გამოიყენოს თავისი ბირთვული არსენალი, რასაც უმძიმესი შედეგები მოყვება როგორც რეგიონისთვის, ისე მთელი მსოფლიოსთვის.

რასაკვირველია, ორივე ქვეყნის ლიდერები ამ საფრთხეს აცნობიერებენ, მაგრამ ჯერ არც ერთი მათგანი არ ამჟღავნებს უკან დახევის სურვილს. კრიზისის დაწყებიდან თითქმის ექვსი თვე გავიდა, მისი განსაკუთრებული გამწვავებიდან კი – ორი კვირა. ამ ხნის განმავლობაში პაკისტანისა და ინდოეთის ხელმძღვანელებმა პირისპირ შეხვედრა ვერ მოახერხეს, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების დიპლომატები ბოლო კვირების განმავლობაში აქტიურად ცდილობდნენ კრიზისის მშვიდობიანი გზით მოგვარებას.

გუშინ კრიზისის დაწყების დღიდან პირველად გაჩნდა ინდოეთისა და პაკისტანის ხელმძღვანელების პირისპირ შეხვედრის შესაძლებლობა. ალმა-ათაში გამართულ უსაფრთხოების რეგიონულ სამიტზე რუსეთისა და ჩინეთის პრეზიდენტები ცდილობენ მიაღწიონ ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ატალ ბეჰარი ვაჟპაისა და პაკისტანის პრეზიდენტ პერვეზ მუშარაფის პირისპირ შეხვედრას. ამგვარ შეხვედრას მხარს უჭერენ შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და იაპონიის ოფიციალური წრეებიც.

უნდა ითქვას, რომ რუსეთს ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტებში შუამავლობის გამოცდილება 1960-იანი წლებიდან აქვს, როდესაც 1966 წელს მოსკოვის ჩარევით ორ ქვეყანას შორის ომით გაწყვეტილი ურთიერთობები აღდგა. თუმცა, ამჯერად პრეზიდენტ პუტინის როლი გაცილებით რთული იქნება და მისი მისიის წარმატებაც მეტად საეჭვოა. როგორც ჩანს, მუშარაფსა და ვაჟპაის მოლაპარაკების საერთო მაგიდასთან უახლოეს ხანებში ვერავინ დასვამს.

მუშარაფი დიდი ხანია ამგვარი შეხვედრის მომხრეა, მაგრამ ინდოეთის პრემიერი ყოველგვარი მოლაპარაკების შესაძლებლობას უარყოფს მანამ, სანამ პაკისტანი ტერორისტულ აქციებს არ აღკვეთს და თავის ჯარებს არ გაიყვანს სასაზღვრო რაიონებიდან.

რამდენად დიდია ბირთვული ომის საფრთხე სამხრეთ აზიაში?

ერთი შეხედვით, ვითარება უკიდურესობამდეა დაძაბული და მხოლოდ ერთი პროვოკაციაა საჭირო დიდი სისხლისღვრისა და ბირთვული ომის დასაწყებად. მაგრამ ზოგიერთი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ეს გამწვავებული მდგომარეობა დიდად არ განსხვავდება ქაშმირში საქმეთა ჩვეულებრივი, ყოველდღიური ვითარებისაგან. ინდოეთსა და პაკისტანს ერთმანეთთან ომის მდიდარი გამოცდილება გააჩნიათ. მათ შორის 1947 წლის შემდეგ მომხდარი ოთხი ომიდან სამი ქაშმირის ტერიტორიის გამო მოხდა. 1999 წელს, როდესაც ორივე სახელმწიფო უკვე ფლობდა ბირთვულ იარაღს, მათ შორის მოხდა შეტაკება ქაშმირის ქარგილის რაიონში. ამ შემთხვევას ომის ესკალაცია არ მოჰყოლია, რადგან ვაშინგტონის მხრიდან წნეხმა პაკისტანი აიძულა, უკან დაეხია. მოკლედ რომ ვთქვათ, ზოგიერთი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ შეზღუდული ომის პრაქტიკული გამოცდილება ინდოეთსა და პაკისტანს ბირთვული კონფლიქტის თავიდან არიდების საშუალებას მისცემს.

მეორეს მხრივ, უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც ახლანდელ კრიზისს ადრინდელთან შედარებით უფრო სერიოზულს ხდის. უპირველეს ყოვლისა, შეიარაღებული ძალების არნახული კონცენტრაცია პირდაპირი სამხედრო შეტაკების საშიშროებას ზრდის. მეორეც, საერთაშორისო თანამეგობრობას უკვე აღარ გააჩნია პაკისტანზე ზეწოლის ეფექტური საშუალებები, რადგან პაკისტანი ავღანეთის ანტიტერორისტული კამპანიის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და მხარდამჭერია. მესამეც, რეგიონში მოქმედებს ძალა, რომელიც პირდაპირ არის დაინტერესებული ინდოეთსა და პაკისტანს შორის დიდი კონფლიქტის გაჩაღებით და ეს ძალა ბინ ლადენის "ალ-ქაიდას" ქსელია.

პაკისტანსა და ინდოეთს შორის გამწვავებული ურთიერთობების ახსნისას უკვე გაჩნდა ეგზოტიკური ვერსიები, რომლებიც ამ დაპირისპირებას პირდაპირ უკავშირებს ბინ ლადენის სახელს. მართლაც, თუ ინდოეთ-პაკისტანის ომი დაიწყება, ისლამაბადი იძულებული იქნება. ავღანეთის საზღვრიდან მოხსნას თავისი შეიარაღებული ძალების ელიტარული ნაწილები და ინდოეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებში ჩააბას (გუშინ პაკისტანმა უკვე მიმართა ერთ ამგვარ მანევრს). მეორეს მხრივ, ბირთვული ომის საფრთხე შეერთებულ შტატებს აიძულებს, პაკისტანიდან (და ავღანეთიდან) სასწრაფოდ გაიყვანოს თავისი სამოქალაქო და სამხედრო პირები, რათა თავიდან აიცილოს ზედმეტი დანაკარგები. თუ ეს სცენარი განვითარდა, რაღა თქმა უნდა, ბინ ლადენის ტერორისტული ქსელი საბოლოო განადგურებას გადაურჩება და თავისი პოლიტიკური მიზნების მიღწევასაც კი შეეცდება.

რასაკვირველია, მოვლენების ამგვარი ახსნა მეტისმეტად გადაჭარბებულ როლს აკისრებს რეგიონის ისლამისტებს, მაგრამ მათი როლის სრული უგულებელყოფაც შეცდომა იქნებოდა. ალმა-ათის სამიტი კიდევ ორ დღეს გაგრძელდება და ინდოეთ-პაკისტანს შორის ომის დაწყება, შეიძლება, ლიდერებს შორის მიღწეულმა რაიმე შეთანხმებამ შეაჩეროს. თუმცა, კრიზისის გაგრძელებასთან ერთად ამის იმედი სულ უფრო ფერმკრთალდება.

# ბულენთ ეჯევითის ჯანმრთელობა პოლიტიკური პრობლემა ხდება

***თურქეთში მოსალოდნელი სამთავრობო კრიზისი პრემიერის ავადმყოფობის გამო სულ უფრო რეალური ხდება.***

თურქეთის ოპოზიციური პარტიების მხრიდან უკვე ხმამაღლა გაისმის პრემიერ-მინისტრ ბულენთ ეჯევითის გადადგომის მოთხოვნა. ოპოზიციას უკვე მმართველი კოალიციის წევრებიც ეხმიანებიან. თავად ეჯევითი აცხადებს, რომ კარგ ფორმაშია და ტკივილებს აღარ გრძნობს: **"ექიმების რჩევით მე კვლავაც ვისვენებ, მაგრამ მუშაობასაც ვაგრძელებ ისე, როგორც ჩემი თანამდებობა მოითხოვს,"** – წერილობით განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. მას მხარი დაუჭირა სამთავრობო კოალიციის წევრი ნაციონალისტური მოძრაობის პარტიის თავმჯდომარემ და ვიცე-პრემიერმა დევლეთ ბაჰჩელიმ.

თურქეთს ახლა სამი პარტიისაგან შემდგარი კოალიცია მართავს, რომლის მთავარი პარტნიორია ეჯევითის დემოკრატიული მემარცხენე პარტია. ბაჰჩელის ნაციონალისტური მოძრაობის პარტია კოალიციის უმცროსი წევრია.

გასულ კვირას ეჯევითმა მნიშვნელოვანი შეხვედრა გამოტოვა, რომელსაც თურქი გენერლები ესწრებოდნენ. ამ შეხვედრაზე სამხედროებმა გადაწყვიტეს, ხელი შეეწყოთ თურქეთში ადამიანის უფლებების დაცვისათვის, რათა თურქეთმა ევროკავშირის წევრობის მოთხოვნები დააკმაყოფილოს. ეს გადაწყვეტილება ქურთული უმცირესობისთვის უფლებების გაზრდასაც ითვალისწინებს.

78 წლის პრემიერ-მინისტრი მაისში ორჯერ მოხვდა საავადმყოფოში და ახლა გამოჯანმრთელების პროცესშია. მას ერთბაშად რამდენიმე დაავადება აწუხებს. ზოგიერთი გაზეთის ცნობით ეჯევითს პარკინსონის ავადმყოფობაც უნდა ჰქონდეს.

ეჯევითის შესაძლო გადადგომამ შეიძლება სამთავრობო კრიზისი გამოიწვიოს, რომლის დასაძლევადაც ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გახდება საჭირო. თუმცა, ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, მისი გადადგომა სამთავრობო კოალიციის დაშლას არ მოასწავებს. თუ კოალიცია გადარჩა, თურქეთის ახალი პრემიერ-მინისტრი დევლეთ ბაჰჩელი გახდება.

თურქეთის შესაძლო სამთავრობო კრიზისი მეტად ცუდ დროს დაემთხვა. თურქეთის ეკონომიკა 1945 წლის შემდეგ ყველაზე სერიოზულ ეკონომიკურ კრიზისთან გამკლავებას ცდილობს. გასულ წელს თურქეთის ეკონომიკის მოცულობა 9.4 პროცენტით შემცირდა. ეჯევითის გადადგომა ეკონომიკური გაჯანსაღების ამოცანას კიდევ უფრო გაართულებს.

გარდა ამისა, თუ ეჯევითს ნაციონალისტი ბაჰჩელი შეცვლის, თურქეთის ევროკავშირში შესვლას სერიოზული პრობლემები შეექმნება, რადგან ბაჰჩელის პარტია ევროკავშირის წევრობისათვის საჭირო ბევრი რეფორმის წინააღმდეგია.



# ამერიკამ ირანი საბოლოოდ დაკარგა

***ირანის პრეზიდენტმა ხათამიმ საბოლოოდ თქვა უარი ვაშინგტონთან დიალოგის დაწყებაზე.***

ირანსა და შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობები საბოლოოდ გაფუჭდა. გასული კვირის ბოლოს ირანის რეფორმისტმა პრეზიდენტმა მოჰამად ხათამიმ თავის მომხრე რეფორმისტ პარლამენტარებს მოუწოდა, საბოლოოდ თქვან უარი შეერთებულ შტატებთან ურთიერთობების გაუმჯობესებაზე.

ხათამის დრამატული მოწოდება მას შემდეგ გაისმა, რაც შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, ერაყისა და ჩრდილოეთ კორეის მხარდამხარ, ირანი "ბოროტების ღერძის" სახელმწიფოებს კიდევ ერთხელ მიაკუთვნა. ხათამის მომხრეების თქმით, ირანის პრეზიდენტმა ველარ შეძლო ვაშინგტონის მტრული და დამამცირებელი საუბრის ტონის ატანა: **"როდესაც დიდი სახელმწიფო შემტევ, დამამცირებელ და მუქარანარევ ტონს აირჩევს სასაუბროდ, ჩვენი ერი უარს იტყვის მოლაპარაკებაზე ან დათმობაზე",** – განაცხადა პრეზიდენტმა ხათამიმ. მისი მომხრეები მიუთითებენ, რომ ირანის პრეზიდენტს აზრი არ შეუცვლია. იგი კვლავ რეფორმისტად რჩება, მაგრამ ამერიკელებთან დათმობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში წავა, თუ ვაშინგტონიც იმავეს გააკეთებს.

რამ გამოიწვია პრეზიდენტ ხათამის პოზიციის მკვეთრი ცვლილება? ხათამი ირანელ ლიდერებს შორის პირველი იყო, ვინც 1997 წელს პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, შეერთებული შტატების მიმართ შემხვედრი ნაბიჯები გადადგა. 1998 წელს მის მიერ ამერიკელი ხალხისადმი ტელევიზიით გადაცემული მიმართვა ბევრმა ირან-ამერიკის ურთიერთობების ახალი ეპოქის დასაწყისად მიიჩნია. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ხათამის თავისი პოზიცია არ შეუცვლია. მეტიც, მან დაგმო 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტები, რაც თითქოს ორი ქვეყნის ურთიერთობების დათბობას მოასწავებდა. მართალია, ორივე შემთხვევაში ხათამის ინიციატივები ირანის მმართველმა კონსერვატიულმა რელიგიურმა წრეებმა აღკვეთეს, მაგრამ პრეზიდენტის ოფიციალური პოზიციის ცვლილებას მაინც ვერ მიაღწიეს.

სავსებით მოულოდნელად, ეს პოზიცია რაიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური საბაბის გარეშე შეიცვალა. რა მოხდა? ბუში ირანს "ბოროტების ღერძის" სახელმწიფოს ხომ ადრეც უწოდებდა?

ირანული პოლიტიკის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ხათამის გამოსვლის მიზეზი არა იმდენად საერთაშორისო, რამდენადაც შიდა პოლიტიკური პროცესები იყო. ორი კვირის წინ ირანის პარლამენტის რამდენიმე წევრსა და ამერიკელ კონგრესმენებს შორის საიდუმლო მოლაპარაკება გაიმართა, რამაც ირანის კონსერვატიულ წრეებში მწვავე რეაქცია გამოიწვია. კონსერვატიული სასამართლო დაემუქრა ყველას, ვინც კი შეერთებულ შტატებთან ურთიერთობების გაუმჯობესებისთვის ნაბიჯებს გადადგამდა. ანალიტიკოსების აზრით, ხათამიმ თავისი ანტიამერიკული განცხადება კონსერვატიულ სასამართლოსა და რეფორმისტ პარლამენტარებს შორის ურთიერთობების გამწვავების თავიდან ასარიდებლად გააკეთა. მეტიც, უფრო მკაცრი საერთაშორისო პოზიციის დაკავება ხათამის შიდა პოლიტიკური მანევრირების მეტ შესაძლებლობებს შეუქმნის და მის პოზიციებს უფრო გაამყარებს.

და მაინც, ხათამის ეს გამოსვლა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ამერიკელებისათვის მიცემული გაფრთხილება, რომ მეტი სიფრთხილით მოეპყრან ირანთან ურთიერთობებს.

ნებისმიერ შემთხვევაში, ამერიკასა და ირანს შორის ურთიერთობების საბოლოო გაფუჭება აუცილებლად მოახდენს გავლენას რეგიონულ პოლიტიკაზე, უპირველეს ყოვლისა, ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში ამერიკელთა პოლიტიკის გააქტიურების, კასპიის ზღვის გაყოფის საკითხში პოზიციათა პოლარიზებისა და ცენტრალური აზიის ნავთობის ტრანსპორტირების საკითხში შესწორებების შეტანის სახით.

## საერთაშორისო ამბები

### ამერიკის დაზვერვის ხელმძღვანელი ახლო აღმოსავლეთში ჩავიდა

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი ჯორჯ ტენეტი ახლო აღმოსავლეთში ჩავიდა. იგი სამშვიდობო პროცესის აღდგენას შეეცდება. მისი დიპლომატიური ვიზიტი ქალაქ ნაბლუსში ისრაელის უსაფრთხოების ძალების მიერ განხორციელებული ოპერაციის ფონზე მიმდინარეობს.

პალესტინის ლიდერ არაფატთან შეხვედრის შემთხვევაში ტენეტი ყურადღებას გაამახვილებს პალესტინელთა ავტონომიის უსაფრთხოების სამსახურის რეორგანიზაციაზე, რაც ძალადობის შეჩერების წინაპირობად ითვლება. თუმცა, ისრაელის მთავრობა ამ პირობითაც არ აპირებს მოლაპარაკების განახლებას. ისრაელის მთავარი პირობა იასირ არაფატის გადადგომაა.

არაფატმა ბოლო დღეებში კიდევ ერთი პოლიტიკური მარცხი იწვნია, როდესაც ორგანიზაცია "ჰამასისაგან" თანამშრომლობაზე უარი მიიღო. არაფატი "ჰამასს" მთავრობაში ჩართვას სთავაზობდა, მაგრამ ტერორისტებმა მის კონფორმისტულ კაბინეტში მონაწილეობაზე ცივი უარი განაცხადეს.

### კანადის მთავრობა პოლიტიკურ კრიზისშია

კანადის პრემიერ-მინსტრმა ჟან კრეტიენმა გადააყენა ფინანსთა მინისტრი პოლ მარტინი, რომელიც მისი კაბინეტის ყველაზე პოპულარული მინისტრი იყო 1993 წლის შემდეგ, როდესაც კრეტიენის ლიბერალურმა პარტიამ არჩევნებში გაიმარჯვა.

კრეტიენი და მარტინი შიდაპარტიულ ბრძოლაში არიან ჩაბმულნი. მოსახლეობაში მარტინი კრეტიენზე უფრო პოპულარულია, რამაც მას შეიძლება მოქმედი პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ პოლიტიკური კამპანიის დაწყებისკენ უბიძგოს. კანადის ლიბერალური პარტიის ხელმძღვანელობის ცვლილება მომავალი წლის თებერვლამდე უნდა განხორციელდეს.

მთავრობის მიმდინარე პოლიტიკური კრიზისი კანადის უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დრამატული მოვლენაა.

### თურქეთ-სომხეთის საიდუმლო მოლაპარაკებები

თურქი და სომეხი დიპლომატები ამზადებენ ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების - ისმაილ ჯემისა და ვართან ოსკანიანის შეხვედრას. მოსალოდნელია, რომ მინისტრები ერთმანეთს სტამბოლში ივნისში შეხვდებიან, მაგრამ მათი მოლაპარაკების დეტალები უცნობია. გასულ თვეს რეიკიავიკში მიღწეული შეთანხმების მიხედვით, თურქი და სომეხი ოფიციალური პირები რამდენიმე თვის განმავლობაში მოლაპარაკების მიმდინარეობის შედეგებს არ გაახმაურებენ. გაზეთ Turkish Daily News-ის ცნობით, მინისტრები საკითხებს "სიღრმისეულად" განიხილავენ. მოლაპარაკების თემები იქნება ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების გაუმჯობესება და საზღვრების გახსნა.

### ქარზაი ავღანეთის სახელმწიფო მეთაურად დარჩება

ავღანეთის ყოფილმა მეფემ ზაქირ შაჰმა, ავღანეთის მთავარსარდლობამ და დროებითმა მთავრობამ ქვეყნის პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან ერთად გადაწყვიტეს მხარი დაუჭირონ ჰამიდ ქარზაის კანდიდატურას გარდამავალი მთავრობის მეთაურის თანამდებობაზე. მთავრობის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება **"ქვეყანაში საზოგადოებრივი თანხმობის შენარჩუნებას შეუწყობს ხელს".**

ქვეყნის მთავრობის მეთაურის არჩევის საკითხი ავღანეთის ახლადშექმნილი პარლამენტის, "ლოია ჯირგის" პირველი სხდომის დღის წესრიგშია შეტანილი.

# „თბილგაზი" გაზის გადასახადს ცვლის

გიორგი კალანდაძე

*"თბილგაზი" ბუნებრივ აირზე ფიქსირებული გადასახადის შემოღების მომხრეა. ასეთი თხოვნით თბილისის გაზით მომარაგების კომპანიამ უკვე მიმართა ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიას, რომელსაც კანონით ევალება ენერგომატარებლებზე ტარიფის დადგენა. ამით "თბილგაზში" საკუთარი ზარალის შემცირებას გეგმავენ, რაც ქსელში გაზის დიდძალი დანაკარგებითაა გამოწვეული.*

ამჟამად "თბილგაზის" აბონენტები ყოველ 1000 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირზე 27 თეთრს იხდიან. იმ შემთხვევაში, თუ სემეკი "თბილგაზის" განაცხადს დააკმაყოფილებს, მაშინ აბონენტებს მოუწევთ გაზის წინასწარ განსაზღვრული ტარიფის გადახდა მოხმარებული გაზის მოცულობის მიუხედავად.

"თბილგაზის" სემეკისადმი გაგზავნილ წერილში უშუალოდ ტარიფის სიდიდეზე არაფერია ნათქვამი. წერილის მიხედვით, გაზის მრიცხველების უდიდესი ნაწილი გამოსულია მწყობრიდან. მათი მოხსნა, შეკეთება, სტანდარტულ მდგომარეობაში მოყვანა და მათი უკანვე დამონტაჟება დაკავშირებულია საკმაოდ დიდ თანხებსა და დროის დანახარჯებთან.

დღეს 150 ათას აბონენტს აქვს მრიცხველი და რადგანაც ყველა მათგანის შემოწმება ზამთრის დადგომამდე შეუძლებელია, გაზის დანაკარგი კი ძალიან მაღალია, "თბილგაზმა" ვითარების გამოსასწორებლად გაზზე ფიქსირებული გადასახადის შემოღება მოითხოვა.

სემეკში "თბილგაზის" წერილმა, რომელიც მათ 28 მაისს მიიღეს, გაკვირვება გამოიწვია. საქმე ისაა, რომ ორი დღით ადრე დედაქალაქის გაზით მომარაგების კომპანიამ მარეგულირებელ კომისიას კიდევ ერთი განაცხადი წარუდგინა, რომლითაც გაზის ტარიფის 27-დან 29 თეთრამდე გაზრდა მოითხოვა. სემეკში არ იციან, რომელი განაცხადი განიხილონ – ძველი თუ ახალი.

მარეგულირებელი კომისიის წევრებისგან განსხვავებით, "თბილგაზის" ინიციატივას მხარს უჭერს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა. მისი თქმით, "**თბილისში გაზის საერთო დანაკარგი 75%-ზე მაღალია, რაც გამოწვეულია როგორც გადასახადის ამოღების დაბალი მაჩვენებლით, ასევე გაზმომარაგების სისტემის დაბალი ტექნიკური მდგომარეობით. თუმცა ჯერ ეს იდეაა. ისე კი, მიმაჩნია, რომ დღევანდელ ვითარებაში ეს არის იდეალური გამოსავალი, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა სემეკს ეკუთვნის**".

# „ჩრდილოვანმა ეკონომიკამ" ქვეყანა განადგურებას გადაარჩინა"

გვანცა კვინიკაძე



იური ლობოდინის ფოტო

*ქართული ეკონომიკა, ეტყობა, უკვე იმდენად შევიდა "ჩრდილში", რომ ამის დაფარვა ოფიციალურ სტრუქტურებსაც კი უჭირთ. სახელმწიფო ჩინოვნიკები და დამოუკიდებელი ექსპერტები ერთმანეთს ეთანხმებიან და აცხადებენ, რომ ქვეყნის ეკონომიკის 70-80% "ჩრდილშია" მოქცეული. მართალია, ეს მონაცემები სახარბიელო სურათს ვერ ქმნის, მაგრამ ამ ჩრდილოვანებას მხოლოდ ბნელი მხარე როდი აქვს. წლების განმავლობაში ე.წ. სოციალურად დაუცველი ფენის ფიზიკური არსებობის შენარჩუნება და ცალკეული დარგების განვითარება სწორედ ამ აღურიცხველობის დამსახურებად მიიჩნევა.*

ექსპერტთა შეფასებით, საქართველოში რეალური ცხოვრების დონე საშუალო ევროპული ქვეყნისას შეესაბამება, თუმცა ოფიციალური მონაცემების თანახმად, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი 1000 დოლარზე ნაკლებია. ამ მაჩვენებლით საქართველო განვითარებადი ქვეყნების რიგებს ავსებს. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ექსპერტის **სანდრო თვალჭრელიძის** განცხადებით, ჩრდილოვანმა ეკონომიკამ საქართველო უმძიმეს წლებში განადგურებას გადაარჩინა. "რომ არა ჩრდილოვანი ეკონომიკა, ქვეყანაში უმუშევრობის დონე ამჟამინდელზე სამჯერ მაღალი იქნებოდა, ხოლო მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სიღატაკის ზღვარს ქვევით იცხოვრებდა,"- მიაჩნია თვალჭრელიძეს. მისი თქმით, ოფიციალურად აღიარებულია, რომ ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის 14 ლარიანი პანსია და სიმბოლური ხელფასი შემოსავლის ერთადერთი წყაროა. ამავე დროს, საარსებო მინიმუმი 107 ლარს შეადგენს, ანუ, ჩვენი თანამემამულეების დიდი ნაწილი ახლა უკვე კარგა ხნის გარდაცვლილი უნდა იყოს. რეალურად კი, ქვეყანაში აბსოლუტურად განსხვავებული მდგომარეობაა. თვალჭრელიძის თქმით, ბიზნესის მინიმუმ 3/4 "ჩრდილშია", დაახლოებით, 250 ათასი ადამიანი არალეგალურად არის დასაქმებული და ამ მხრივ მნიშვნელოვანი წვლილი მსხვილ კომპანიებს შეაქვთ.

კორუფცია, ჩრდილოვანი ეკონომიკა და აღურიცხველობა არც ერთი ქვეყნისთვის არ არის უცხო, თუმცა განსხვავება მასშტაბებშია. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის იოსებ არჩვაძის თქმით, ჩრდილოვანი ეკონომიკის მხრივ პრობლემები დსთ-ს ყველა ქვეყნისთვის თითქმის ერთნაირია. საქართველოს სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციები სხვადასხვა მეთოდებს იყენებენ იმ დარგების შესასწავლად, რომლებშიც ჩრდილოვანი წილი განსაკუთრებით მაღალია. ეს დარგებია: მრეწველობა, ვაჭრობა, მშენებლობა, სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესი, ნავთობპროდუქტებისა და სიგარეტის იმპორტი. ამ დარგებში რეალური ბრუნვა ოფიციალურად დაფიქსირებულს სამჯერ აღემატება.

გამოკვლევების თანახმად, თბილისის ბაზრობებზე ვაჭრობის დღიური მოცულობა 4 მილიონ ლარს შეადგენს. ქვეყანაში არსებული ფულის მასის დაახლოებით 6/7 საბანკო და ოფიციალურ არხებს გარეთ ბრუნავს. არჩვაძის თქმით, ამის მიზეზია ის, რომ პრაქტიკულად არავის აძლევს ხელს ფულადი ოპერაციების ოფიციალურად გაფორმება და ამასთან, საბანკო სფეროც საკმაოდ განუვითარებელია. მნიშვნელოვანია, რომ საბანკო სფერო საქართველოს ეკონომიკის ის ერთადერთი "ნათელი წერტილია", რომლის მიმართაც სავალუტო ფონდს შენიშვნები, პრაქტიკულად, არ გააჩნია.

ფინანსთა სამინისტროს 1999 წლის ანგარიშში მრეწველობის განუვითარებლობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად ის დასახელდა, რომ ამ დარგს "ჩრდილში" გადასვლა უჭირდა. თუმცა, როგორც ჩანს, მრეწველობამ ეს "დაბრკოლება" ბოლო წლებში დაძლია, რადგან 2001 წლის სტატისტიკური მონაცემებით, ეს დარგი, "ჩრდილოვანი" წილის მიხედვით, ქვეყანაში ერთ-ერთ წამყვან პოზიციაზეა.

მაღალია ჩრდილოვანი წილი სოფლის მეურნეობის დარგშიც, რომელზეც საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქციის, დაახლოებით 20% მოდის. საქართველოში დასაქმებულთა ნახევარი სოფლის მეურნეობაშია დაკავებული. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის 90% მცირე მეურნეობებში იწარმოება, რომელთა რაოდენობა 600.000-ს აღწევს. ამ დარგში ჩრდილის დიდი დოზით არსებობა ამ მცირე მეურნეობებში ბიზნესისა და ოჯახური საქმიანობის ძალიან მჭიდრო კავშირით არის განპირობებული, რაც ელემენტარული აღრიცხვიანობის წარმოებასაც კი შეუძლებელს ხდის.

ზოგიერთი შეფასებით, ბოლო დროს საგრძნობლად (70-დან 30%-მდე) შემცირდა ფარული წილი სამედიცინო სფეროში. ერთადერთი დარგი, რომელიც თითქმის მთლიანად კვლავაც ჩრდილში რჩება - სტომატოლოგიაა.

ექსპერტთა შეფასებით, უმთავრესი მიზეზი, რაც ეკონომიკას "ჩრდილისკენ" უბიძგებს, კაბალური საგადასახადო კანონმდებლობაა. თვალჭრელიძეს იმედი აქვს, რომ მრეწველთა ფრაქციის ინიციატივითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედებით, ეს ფაქტორი მოიხსნება. თუმცა, მისი აზრით, საქართველომ "ჩრდილიდან" გამოსვლა ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა დაიწყოს და ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ჩინოვნიკებისთვის ხელფასების მნიშვნელოვანი მომატება უნდა იყოს. "საერთოდ კი, თუ საქართველოს დემოკრატიის მშენებლობა რეალურად სურს, ეკონომიკის განვითარებაზე გაცილებით სერიოზულად უნდა იზრუნოს, რადგან მსოფლიოში არც ერთი ღარიბი, დემოკრატიული ქვეყანა არ არსებობს", - განაცხადა თვალჭრელიძემ.

# სამხრეთ კორეასა და იაპონიაში ფეხბურთმა ეკონომიკური ზრდა გამოიწვია

*მძაფრი ემოციების, ბრწყინვალე შოუსა და, თავისთავად, ფეხბურთის გარდა, მსოფლიო ჩემპიონატი მილიონობით დოლარით გასქელებული ჯიბეები და გამოცოცხლებული ეკონომიკაც არის. 1998 წელს ფეხბურთის ჩემპიონატის მასპინძლობამ საფრანგეთის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი მთელი 3.3 პროცენტით აწია. ამაზე, რა თქმა უნდა, უდიდესი გავლენა იქონია საფრანგეთის ეროვნული ნაკრების გამარჯვებამაც.*

"**ცალკეულ კომპანიებთან შედარებით ყველაზე დიდი მოგება სწორედ მასპინძელ ქვეყნებს რჩებათ**", - აცხადებს "ლიდსის" ბიზნეს სკოლის ფეხბურთის ფინანსების ექსპერტი ბილ გერარდიც. გამონაკლისი არც სამხრეთ კორეა და იაპონიაა. ჯერ კიდევ ჩემპიონატისთვის მზადების პროცესში საგრძნობლად გამოცოცხლდა ორივე ქვეყნის ეკონომიკა.

წინა კვირას დაფიქსირებული ოფიციალური მონაცემების მიხედვით, სტაგნაციის პროცესში მყოფ იაპონიის ეკონომიკას ახლებური პერსპექტივები გაუჩნდა. პირველი სამი თვის განმავლობაში იაპონიის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა 0.6 პროცენტით აიწია. კორეაშიც დაახლოებით იმავე პერიოდში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 5.7 პროცენტით გაიზარდა. ამ წარმატების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი საზოგადოებრივ სფეროში თანხების დაბანდებაა. უფრო ზუსტად, ორივე ქვეყანამ მილიარდობით დოლარი დახარჯა ახალი სტადიონების მოწყობასა და ტრანსპორტის სისტემის გაუმჯობესებაზე. თუმცა, როგორც ანალიტიკოსები ვარაუდობენ, იაპონურ-კორეული ეკონომიკა ახლო მომავალში კიდევ უფრო მეტ მოგებას ნახავს. ამის მიზეზი ტურიზმის ბიზნესის გამოცოცხლებაც არის. წინასწარი მონაცემებით, მსოფლიო ჩემპიონატზე მხოლოდ ჩინეთიდან ასი ათასი ფანი უნდა ჩავიდეს...

ჩემპიონატის მასპინძლობა "წაადგა" ორივე ქვეყნის მედიასექტორსაც. წლის პირველი სამი თვის განმავლობაში კორეის სარეკლამო შემოსავალი 17 პროცენტით, დაახლოებით 1.2 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. ამ მონაცემებს აფიქსირებს ბაზრის მკვლევარი AC Nielsen-იც.

თუმცა, ანალიტიკოსები იაპონიასა და სამხრეთ კორეას ნერვიულობას მაინც უწინასწარმეტყველებენ. "**მსგავსი პროექტების მთავარი პრობლემა ის გახლავთ, რომ, მათ გამო ყველა სხვა სფერო უკანა პლანზე გადადის და შესაბამისად, თანაბარი ეკონომიკური განვითარება შეუძლებელი ხდება**", - აცხადებს კრის გრეტონი, შეფილდ ჰალამის უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრის დირექტორი.

ეჭვქვეშ დგას ახლადაშენებული სტადიონების ბედიც. "**სტადიონების აშენება არც თუ ისე მომგებიანი პროექტი გამოდგა. არც სამხრეთ კორეასა და არც იაპონიას კარგად განვითარებული საფეხბურთო ლიგა არ აქვთ. ასე რომ, საინტერესოა, რა ბედი ელის ჩემპიონატისთვის აგებულ სტადიონებს მომავალი ათი წლის განმავლობაში**", - დასძენს გრეტონი. მით უფრო, რომ უიმბილდონის სტადიონის სახით, ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყნებს კარგი მაგალითი აქვთ. 1996 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მისი აღდგენაც განიზრახეს. თუმცა, პროექტს წაგების გარდა არაფერი მოუტანია.

*თამარ ბაბუაძე*

# ევროკავშირმა აშშ-ს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში უჩივლა

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრმა-ქვეყნებმა გუშინ გამოაცხადეს სპეციალური კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც შეისწავლის ფოლადზე იმპორტის განაკვეთების საკითხს, კერძოდ, ირღვევა თუ არა ამით საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებები. კომისია შეიქმნა ევროკავშირის მოთხოვნით, სადაც მიიჩნევენ, რომ აშშ-ს მიერ 2002 წლის მარტში შემოღებული განაკვეთები უკანონოა, რის გამოც ევროპის კავშირში შემავალი 15 ქვეყანა ყოველწლიურად, დაახლოებით, 4 მლრდ, დოლარს დაკარგავს. ადრე ასეთი კომისიის შექმნის მოთხოვნით გამოვიდნენ იაპონია, სამხრეთი კორეა და ჩინეთი. მათ მხარი დაუჭირეს ევროკავშირის წინადადებას.

რაც შეეხება აშშ-ს, ეს ქვეყანა კატეგორიულად უარყოფს თავისი გადაწყვეტილების არალეგიტიმურობას. აშშ-მ მაისში შეძლო ვმო-ს ანალოგიური წინადადების დაბლოკვა, მაგრამ მეორედ ამერიკელებმა ვერ შეძლეს ვეტოს უფლების გამოყენება.

კომისიის შემადგენლობაში სამი წევრი იქნება, რომელთა კანდიდატურები ერთი თვის განმავლობაში შეირჩევა. კომისიას გადაწყვეტილების მისაღებად 6-თვიანი ვადა მიეცა. თუმცა იმის გამო, რომ მხარეებს შეუძლიათ კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება, საბოლოო ვერდიქტს მომავალი წლის მაისამდე არ გამოიტანენ.

# ორი ფარმაკოგიგანტი ერთიანდება

ფარმაკოლოგიის ორი გიგანტის - ბრიტანული GlaxoSmithKline (GSK)-ისა და ამერიკული Bristol-Myers Squibb-ის ხელმძღვანელებმა განიხილეს ამ კომპანიათა შესაძლო გაერთიანების საკითხი, - იუწყება "ნიუ-იორკ თაიმსი".

გარიგების შემთხვევაში შეიქმნება მსოფლიოში უმსხვილესი ფარმაცევტული კომპანია, რომლის საერთო ღირებულებაც, ანალიტიკისთა აზრით, 190 მლრდ. დოლარი იქნება.

მხარეები მოლაპარაკებას ორი კვირის განმავლობაში წარმართავდნენ Bristol-Myers Squibb-ის შტაბბინაში, რომელიც ნიუ-ჯერსიში მდებარეობს. როგორც კომპანიათა ხელმძღვანელები აცხადებენ, დისკუსიები მხოლოდ გაცნობით ხასიათს ატარებს. გაერთიანების საკითხზე ოფიციალურ განცხადებას არც ერთი მხარე არ აკეთებს. *(ბიბისი)*

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 29 მაისი - 4 ივნისის მდგომარეობით




## მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | Euro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6876 | 0.6421 | 0.0055 |
| US$ | 1.4542 | | 0.9339 | 0.0081 |
| Euro | 1.5573 | 1.0708 | | 0.0086 |
| ¥en | 181.00 | 124.13 | 115.93 | |

თბსბ-ს ვაჭრობის შედეგების საფუძველზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2002 წლის 4 ივნისიდან დაადგინა უცხოური ვალუტების მიმართ ლარის შემდეგი გაცვლითი კურსები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.0677 | ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.2321 | ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4122 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.2200 | ლარი |
| თურქული ლირა | 1000000 | 1.5258 | ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1787 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0708 | ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0.4569 | ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3813 | ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.1433 | ლარი |

# მსოფლიო ბანკი საქართველოში სიღარიბის დაძლევას იწყებს

სოფო კვინტრაძე

მსოფლიო ბანკი საქართველოში სიღარიბის დაძლევის პროგრამას ახორციელებს. ეს არის გლობალური პროგრამა, რომელიც სხვადასხვა სფეროში ეკონომიკური რეფორმების გატარებას ითვალისწინებს. პროგრამის პრიორიტეტი არის არა მიღებული შიდა ეკონომიკური პროდუქტის მოსახლეობაზე გადანაწილება, არამედ ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარება, რამაც უშუალოდ უნდა გაზარდოს თითოეული მოქალაქის შემოსავლები. ექსპერტ ლადო პაპავას აზრით, პროგრამის ფარგლებში უნდა მოხდეს არა მარტო ეკონომიკური ზრდა, არამედ ეკონომიკური სექტორის კომპლექსური განვითარებაც.

სიღარიბის დაძლევის პროგრამაზე მომუშავე სამდივნომ, ეკონომიკურ საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლის თემურ ბასილიას ხელმძღვანელობით, მოამზადა სადისკუსიო მასალა, რომელიც განსახილველად გადაეცა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებს, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებმაც განიხილეს აღნიშნული მასალა და მას კომენტარები და რეკომენდაციები დაურთეს. თუმცა, ლადო პაპავას შეფასებით, დღევანდელი ხელისუფლება ბოლომდე ვერ აცნობიერებს, თუ რა პროგრამაზეა საუბარი.

"**არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება ხელისუფლებაში, ნებისმიერი მთავრობისთვის სიღარიბის დაძლევის პროგრამა უნდა გახდეს პრიორიტეტული. დღესდღეობით კი ამ პროგრამით არასამთავრობო ორგანიზაციები უფრო დაინტერესდნენ. არადა, თუ მსოფლიო ბანკი ვერ დაინახავს ჩვენი მთავრობის მხრიდან სერიოზულ ინტერესს და მზადყოფნას პროგრამის განხორციელებისათვის, მაშინ სიღარიბის დაძლევის პროგრამა გაჭიანურდება,"** – ამბობს ლადო პაპავა.

სიღარიბის დაძლევის პროგრამაზე დამკვირვებელთა დამოუკიდებელი ქსელის აღმასრულებელი დირექტორი ხათუნა ჭითანავა აცხადებს, რომ პროგრამასთან დაკავშირებით მათ რამდენჯერმე ჩაატარეს დარბაზის სხდომა, სადაც დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად პარლამენტის წევრებიც მიიწვიეს, თუმცა, ერთადერთი გამონაკლისის გარდა, ისინი სხდომებზე არ მისულან. დამკვირვებელთა დამოუკიდებელ ქსელში ამჟამად გაერთიანებულია 15 არასამთავრობო ორგანიზაცია. ივნისის ბოლოს მათ მზად ექნებათ რეკომენდაციები სიღარიბის დაძლევის პროგრამასთან დაკავშირებით, რომელსაც თემურ ბასილიას წარუდგენენ.

ხათუნა ჭითანავას განცხადებით, მსოფლიო ბანკი, სავარაუდოდ, 160 მილიონი აშშ დოლარის რაოდენობის კრედიტს გამოყოფს, რომელიც 10-13 წლის განმავლობაში მოხმარდება სხვადასხვა სფეროებში რეფორმების განხორციელებას. პრიორიტეტულ სფეროებად კი მსოფლიო ბანკი ჯანდაცვას, საპენსიო ფონდს, განათლებას, ენერგეტიკის სექტორსა და მცირე ბიზნესის განვითარებას აცხდებს, ანუ იმ სფეროებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ქვეყნის სოციალურ განვითარებას.

"**ჩვენს ქსელს განზრახული აქვს, მონიტორინგი განახორციელოს მსოფლიო ბანკისგან სიღარიბის დასაძლევად გამოყოფილი თანხების ხარჯვაზე, თუმცა იქამდე დიდი დროა. ამ ეტაპზე ჩვენთვის მნიშვნელოვანია სიღარიბის დაძლევის იმგვარი პროგრამა დაიწეროს, რომელიც რეალური და განხორციელებადი იქნება."** – აცხადებს ხათუნა ჭითანავა.

ქართულმა მხარემ მსოფლიო ბანკს პროგრამის საბოლოო ვარიანტი ივნისის ბოლოს უნდა წარუდგინოს. 2003 წლიდან კი, სავარაუდოდ, სიღარიბის დაძლევის პროგრამა განხორციელებას დაიწყებს.

## დღეს თბილისი, შესაძლოა, ისევ გაზის გარეშე დარჩეს

დღეს, დილის 11 საათიდან თბილისს ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყდება - ამის შესახებ სააქციო საზოგადოება „საქგაზის" გენერალურმა დირექტორმა ლეონიდ დეიკალომ ტელეფონოგრამით აცნობა სააქციო საზოგადოება „თბილგაზს".

„თბილგაზში" აცხადებენ, რომ დეიკალოს ტელეფონოგრამა მათთვის მოულოდნელი იყო, რადგან არსებობდა საერთაშორისო ენერგეტიკულ კომპანია „იტერასთან" მიღწეული შეთანხმება, რომლის მიხედვითაც „თბილგაზს" მაისში მოხმარებული აირის საფასური - მილიონი ლარი 18 ივნისამდე უნდა დაეფარა.

„გაუგებარია, რატომ გადაწყვიტა „საქგაზმა" გაზმომარაგების შეწყვეტა", – აცხადებენ „თბილგაზში".

„საქგაზმა" დავალიანების გამო „თბილგაზს" ბუნებრივი აირის მიწოდება ბოლოს 15 მაისს შეუწყვიტა, თუმცა გაზი სამ დღეში ისევ ჩართო. „თბილგაზმა" სესხებით აპრილის დავალიანება სრულად დაფარა, თუმცა „საქგაზი" ძველი დავალიანებების - 10 მილიონი დოლარის გასტუმრებასაც ითხოვდა. *(მედია-ნიუსი)*

კანონის მმართველობა

# კონსტიტუციის მცველი თუ პიროვნების ინსტრუმენტი?

ნიკოლოზ რურუა

ადგილობრივი მმართველობის არჩევნების გარშემო დატრიალებულმა პერიპეტიებმა ცხადყო, რომ თავისი მნიშვნელობით ეს პროცესი ცდებოდა უბრალო საკრებულოების არჩევის პროცედურას. როდესაც არჩევნების შედეგები საბოლოოდ გამოქვეყნდება, მხოლოდ მაშინღა იქნება შესაძლებელი გაყალბებებისა და სხვა სამართალდარღვევების შესახებ სერიოზული ანალიტიკური დასკვნების გაკეთება. მრავალრიცხოვანი უცხოელი დამკვირვებლებისა თუ ამ პროცესით დაინტერესებული დიპლომატიური სამსახურების წარმომადგენელთა მხრიდან ეს არჩევნები საქართველოში დემოკრატიული პროცესის სიცოცხლისუნარიანობის ტესტერადაც მოინათლა. წინასწარი მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა საზოგადოებამ ეს გამოცდა ძლივსძლივობით, მაგრამ მაინც ჩააბარა. სავარაუდოა, რომ მოქალაქეთა აქტივობამ ხელი შეუშალა ხელისუფლების სურვილს, საკუთარი ფავორიტების არჩევნებში "გამარჯვება" უზრუნველეყო. ჩვენში ტრადიციულად არსებულ საზოგადოებრივ ინდიფერენტულობასა და საკუთარი უძლურების შეგრძნებით გამოწვეულ მოქალაქეთა ფატალიზმს, თუნდაც მცირედ, მაგრამ საფუძველი მაინც შეერყა. რა თქმა უნდა, ეს მისასალმებელი მოვლენაა, რომელიც დემოკრატიული ღირებულებების გულშემატკივრებს ოპტიმიზმის რეალურ საფუძველს აძლევს.

მაგრამ სურათი ძალიან განსხვავებულია ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების სხვა სეგმენტებში. სამთავრობო ინსტიტუტების დემოკრატიულ ყაიდაზე მოწყობით გამოწვეული ოპტიმიზმისთვის წინასაარჩევნო პერიოდში დატრიალებული მოვლენები თითქმის არანაირ საფუძველს არ იძლევა. აქ ძალიან მოკლედ შევეხებით ერთ საკმაოდ მავნე და საშიშ ტენდენციას, რომელიც სადღეისოდ საზოგადოებას მთელი სიგრძე-სიგანით წარმოუდგა თვალწინ. თუმცა, ამ უკანასკნელმა (საზოგადოებამ) ხსენებულ მოვლენაზე ადეკვატური რეაგირება ვერ შესძლო, რაც ალბათ ორი მოვლენის, წარსულის ინერციისა და მანკიერი პოლიტიკური კულტურის ლოგიკური შედეგია.

საქმე ეხება აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელისუფლებო განშტოების, კერძოდ, სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილებებში არაპირდაპირი ჩარევისა და ამ ინსტიტუტის საკუთარ პოლიტიკურ ინსტრუმენტად ქცევის მცდელობას, რაც ღიად არღვევს "ძალთა დანაწევრების" კონსტიტუციურ პრინციპს (როგორც ვიცით, ძალთა დანაწევრება კანონიერ დოქტრინას წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო განშტოებანი არ უნდა ჩაერიონ ერთმანეთის კონსტიტუციურ უფლებამოსილებებში; ეს დოქტრინა სამთავრობო ტირანიისა და ძალაუფლების უზურპაციის თავიდან აცილების მიზნითაა შექმნილი). საუბარია საოლქო და უზენაეს სასამართლოებში წარმართულ პროცესებზე, რომლებიც პოლიტიკური გაერთიანება "მოქალაქეთა კავშირი"-ს სამართალმემკვიდრისა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარმომადგენლობის უფლების საკითხებს იხილავდნენ. როგორც ვიცით, ყველა ეს პროცესი ხელისუფლების დისფავორში მყოფი მონაწილის, ამ შემთხვევაში ბ-ნი ზურაბ ჟვანიას მხრის ფაქტობრივი დამარცხებითა და ხელისუფლების ამჟამინდელი ფავორიტის, ბ-ნ.ლევან მამალაძის გუნდის სასარგებლოდ დამთავრდა. უმნიშვნელოა ფაქტი, რომ იმ მონაცემების მიხედვით, რაც ამ წუთს ჩვენს ხელთაა, ბ-ნი მამალაძის პარტიამ, ანუ "მოქალაქეთა კავშირმა" არჩევნებში მინიმალური, 4%-იანი ბარიერის გადალახვაც კი ვერ შეძლო და არჩევნები პირწმინდად წააგო. შესაშფოთებელი ის მოვლენაა, რომ ჩვენმა სასამართლოებმა თითქმის ნებაყოფლობით თქვეს უარი საკუთარ დამოუკიდებლობაზე და აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი მაამებლობის გზას დაადგნენ. საბოლოოდ ჩაიფუშა მითი რეფორმირებული სასამართლო სისტემის შესახებ, რამაც ჩვეულებრივ მოქალაქეს უფრო მეტად განუმტკიცა მავნე რწმენა, რომ სასამართლოები სახელმწიფოს რეპრესიული მექანიზმის სისხლხორცეული ნაწილია და სამართალს სასამართლოსთან მხოლოდ სემანტიკური ნათესაობა აკავშირებს. ეს ტენდენცია, რაც აბსოლუტურად იდენტურია საბჭოური სასამართლოსათვის მინიჭებული ფუნქციისა და მისი modus operandi-სა (ოპერირების სტილისა), დამღუპველია დემოკრატიული ინსტიტუტებისა და მთლიანად დემოკრატიული წყობილებისათვის. სწორედ დამოუკიდებელმა სასამართლოებმა უნდა დაიცვან კანონის უზენაესობა და უზრუნველყონ პრინციპის, და არა პიროვნების დიქტატი; და თუ სასამართლოები ხელისუფლებასთან უნისონური ურთიერთობის მოჩვენებით კომფორტს ამჯობინებენ საკუთარ უმთავრეს, ანუ კონსტიტუციის მცველის ფუნქციას, მაშინ დემოკრატია ჩვენში ისევ სასურველ, მაგრამ რეალურად არარსებულ კონცეფციად დარჩება.

ხსენებული პროცესების დეტალურ სამართლებრივ ანალიზს მკითხველს უახლოეს მომავალში შევთავაზებთ.



ზურაბ ჟვანია სასამართლოს ტოვებს

ბესიკ გულაშვილის ფოტო

# ვისთვის ჩააქვთ პანკისში ჰუმანიტარული დახმარება?

## „ჩეჩენი თოფით ხელში ბოევიკია, დადებს თოფს და – „ლტოლვილი„

*რუსი პოლიტიკოსებისა და საინფორმაციო საშუალებების ბრალდებებს საქართველოს მიმართ პანკისში არსებული სიტუაციის გამო, როგორც წესი, საქართველოს მხრიდან ამ ბრალდებების სიტყვიერი უარყოფა მოყვება ხოლმე. სხვა საკითხია, რა ხდება სინამდვილეში პანკისის ხეობაში და რა კეთდება იმისთვის, რომ წაყენებულ ბრალდებებს საფუძველი რეალურად გამოეცალოს.*

*მაგალითად, როგორ ნაწილდება პანკისში ჩეჩენი ლტოლვილებისათვის განკუთვნილი ჰუმანიტარული დახმარება? რუსები ეჭვობენ, რომ დახმარება ლტოლვილთათვის კი არა, პანკისში მყოფი ბოევიკებისთვის შედის.*

ადამიანის გატაცებისა თუ მანქანის მოპარვის შემთხვევაში ქართველი სამართალდამცველები ხელს სისტემატურად პანკისისკენ იშვერდნენ, რაც მათ მიერ საკუთარი უძლურების აღიარებას გულისხმობდა.

ძალოვან მინისტრთა ჩანაცვლებამ სიტუაცია მნიშვნელოვნად შეცვალა. მართალია, პანკისის რეალობა იდეალურისგან შორს დგას, მაგრამ ადამიანების გატაცების რიცხვმა მნიშვნელოვნად რომ იკლო, ფაქტია. სახეზეა კიდევ ერთი ცვლილება: პოლიცია პანკისის ხეობას ძველებურად აღარ უწოდებს უკონტროლო ზონას და იქ მიმდინარე მოვლენებზე პასუხისმგებლობას ისევე იღებს, როგორც მთელ საქართველოში. უშიშროების მინისტრმა კი, მისი წინამორბედისგან განსხვავებით, ხეობაში ჩეჩენი და არაბი ბოევიკების ყოფნაც აღიარა.

შესაბამისად, რუსი პოლიტიკოსები და საინფორმაციო საშუალებები კიდევ უფრო გააქტიურდნენ. ისინი ირწმუნებიან, რომ საქართველოს ტერიტორიის გავლით, კერძოდ, პანკისიდან ჩეჩნეთში გადადიან ბოევიკები, გადააქვთ იარაღი და სურსათი. ამ გადასვლებს რუსეთის თავდაცვის სამინისტრო მასხადოვის მხრიდან ჩეჩნეთში საბრძოლო მოქმედებების გააქტიურების მცდელობას უკავშირებს.

ამ მხრივ ყველაზე მეტად გახმაურდა გასულ კვირას პანკისის მისადგომებთან ჰუმანიტარული ტვირთით სავსე 6 სატვირთო მანქანის დაკავება. რუსეთის თავდაცვის სამინისტროში ეჭვი არ შეპარვიათ, რომ კახეთის პოლიციის მიერ დაკავებულ მანქანებში ინახებოდა იარაღი, რომელიც პანკისში მყოფი დაქირავებული არაბი ბოევიკებისთვის იყო განკუთვნილი. იგივე რუსი სამხედროები აღნიშნავდნენ, რომ პანკისიდან რუსეთში ბოევიკთა ჯგუფების გადასროლისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ფინანსური და სხვა სახის მატერიალური დახმარება.

კახეთის პოლიციამ დაკავებული მანქანების ტვირთის საგულდაგულოდ შემოწმების შემდეგ იქ იარაღის ნაცვლად მხოლოდ სურსათი აღმოაჩინა. როგორც კახეთის რეგიონის პოლიციის უფროსმა ზურაბ ტუშურმა გვითხრა, თბილისიდან მომავალ ექვს დატვირთულ მანქანას ეჭვი მხოლოდ ტვირთის სიდიდის გამო აღუძრავს.

**"პანკისში მცხოვრები ჩეჩენი დევნილებისთვის ხშირად ჩააქვთ ჰუმანიტარული დახმარება, მაგრამ გაცილებით მცირე მოცულობით. საქართველოში იმდენი ფული არავის აქვს, რომ ექვსი დატვირთული "კამაზი" ჰუმანიტარული დახმარების გაწევის უფლება მისცეს თავს. ტვირთი საქართველოში ჩეჩნეთის რესპუბლიკის წარმომადგენელს ხიზრი ალდამოვს მიჰქონდა. ის თავად მიუძღოდა წინ მანქანებს. ჩვენ ადგილზევე შევქმენით პატარა ჯგუფი, რომელშიც პოლიციის, შს სამინისტროსა და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები შევიდნენ. მართალია, ტვირთში არაფერი აღმოჩნდა უკანონო, მაგრამ ამას ყველა ეჭვი არ გაუქარწყლებია. მნიშვნელობა აქვს, ვინ მიიღებს ამ პროდუქტებს და როგორ მოიხმარს. ჩვენ ამის გაკონტროლების უფლებას არავინ გვაძლევს. ერთხელ ვცადეთ ამის გაკეთება და გვითხრეს, არავინ გეკითხებათ, ტვირთი ჩვენია და ვისაც გვინდა, იმას მივცემთო,"** — ამბობს ზურაბ ტუშური.



ამ სიტყვების დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს ხიზრი ალდამოვის სიტყვები: **"ვალდებული არ ვარ, ვინმეს ჩავაბარო ანგარიში, როცა ჩემი და-ძმებისთვის საჭმელი მიმაქვს, შიმშილით რომ არ დაიხოცონ. მე იურიდიული პირი ვარ და ჰუმანიტარული დახმარება ჩემი ხალხისთვის ჩამაქვს. თანხების შეგროვებაში ჩემი მეგობრები მეხმარებიან, პირველ რიგში კი - ასლან მასხადოვი"**.

სხვათა შორის, საერთაშორისო ექსპერტთა ინფორმაციით, მსოფლიოში არსებული ყოველი მეხუთე საქველმოქმედო არასამთავრობო ორგანიზაცია ისლამურია და მათგან მნიშვნელოვანი ნაწილი არაბი ფუნდამენტალისტების ინტერესებს ემსახურება. ამასთან, ტერორისტებთან კავშირში შემჩნეულ ჰუმანიტარულ ორგანიზაციათა ჩამონათვალი მრავალი ქვეყნის უშიშროების სამსახურს (მათ შორის ქართულსაც) დაეგზავნა.

რამდენად ხდება პანკისელ "ჰუმანიტართა" ამ სიის მიხედვით იდენტიფიკაცია, ძნელი სათქმელია.

საქართველოს უშიშროების სამინისტროს განცხადებით, პანკისის ხეობაში ჰუმანიტარული დახმარების შეტანის უფლება აქვს ყველას, ვინც კი მოისურვებს.მართალია, უშიშროების სამინისტროს ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურ ორგანიზაციათა ნუსხა მოეპოვება, მაგრამ მათგან განსაკუთრებულ ეჭვს არავინ იწვევს. მიუხედავად ამისა, პანკისის ხეობის შესასვლელში განლაგებულ ბლოკპოსტზე ყველა საეჭვო მანქანისა თუ დახურული ტვირთის შემოწმება ხდება. რაც შეეხება ტვირთების დანიშნულებისამებრ განაწილების გაკონტროლებას, რათა ტვირთი ბოევიკების ხელში არ ჩავარდეს, უშიშროების სამინისტროს ინფორმაციით, ეს თითქმის შეუძლებელია.

**"წარმოიდგინეთ, ჩეჩენი თოფით ხელში ბოევიკია, მაგრამ დადებს თოფს და ჩვეულებრივი ლტოლვილი ხდება, რომელსაც დახმარება ეკუთვნის. ამის გარჩევა და გაკონტროლება შეუძლებელია,"** — გვითხრა უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების გამგემ ნიკა ლალიაშვილმა.

პრესინგი

# გამომძიებელმა მნიშვნელოვანი დოკუმენტი გადამალა

ხათუნა გიგაური

*სამი თვის წინ 115-ე და 71-ე სკოლის მოსწავლეებს შორის მომხდარი ჩხუბი სამი არასრულწლოვანის დაჭრითა და ერთის სიკვდილით დამთავრდა. ჩხუბის დროს ბარძაყის არეში დაჭრილი 15 წლის ბესიკ აზმაიფარაშვილი საავადმყოფოში მიყვანამდე სისხლისგან დაიცალა და გარდაიცვალა. გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურამ იმავე დღეს აღძრა სისხლის სამართლის საქმე, შეიქმნა 6-კაციანი საგამოძიებო ჯგუფი. საკუთარ ეზოში დააკავეს 15 წლის იმედა ნატროშვილი, რომელიც ამჟამად მეხუთე საპყრობილეში იმყოფება მკვლელობის ბრალდებით.*

იმედა ნატროშვილის ადვოკატები ნიკა გორდეზიანი და მალხაზ ჯანგირაშვილი გლდანი-ნაძალადევის რაიონულ პროკურატურას უჩივიან და გენერალურ პროკურატურაში შეტანილი სარჩელით, საქმიდან მის აცილებას ითხოვენ. **"გლდანი-ნაძალადევის პროკურატურა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ შეთხზას რაიმე მტკიცებულება, რომელიც არასრულწლოვანის უკანონო პატიმრობას გაამართლებს. თვეზე მეტია, მის აცილებას ვითხოვთ, მაგრამ ჯერჯერობით არანაირ პასუხს არ გვაძლევენ, ამასობაში კი არასრულწლოვანი უკანონო პატიმრის უდანაშაულობის პრეზუმფცია ირღვევა"**, - აცხადებენ ადვოკატები. უზენაეს სასამართლოში შეტანილი საჩივრით კი მოსამართლე კარლო ბზიშვილის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებენ.

**"გამომძიებელმა კახა ჩუბინიძემ, საოლქო სასამართლოს მოსამართლესთან ერთად, სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა. მოსამართლე კარლო ბზიშვილი მანტიაგადაცმული პროკურორი აღმოჩნდა, რადგან იცავს არა ბრალდებულის, არამედ პროკურატურის ინტერესებს. მან არასრულწლოვან უკანონო ბრალდებულს პროცესზე ადვოკატების დასწრების გარეშე გაუგრძელა პატიმრობის ვადა. საერთოდ, იმედა ნატროშვილის დაკავების, ეჭვმიტანილად ცნობისა და სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას მისი უფლებები უხეშად დაარღვიეს; არსებითად დაარღვიეს კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებიც. არასრულწლოვანი ჯერ დააკავეს და შემდეგ ცნეს ეჭვმიტანილად, როცა, კანონით, ეჭვმიტანილად ცნობა წინ უნდა უსწრებდეს ეჭვმიტანილად დაკავებას. აღიარებითი ჩვენება არასრულწლოვანს ცემა-წამების შედეგად ჩამოართვეს, გამოძიების საწყის ეტაპზე ბავშვი შეგნებულად დატოვეს დაცვის გარეშე. არ განუმარტეს, რომ შეეძლო მოეწვია მისთვის და მისი ოჯახისთვის სასურველი ადვოკატი და შეეძლო ესარგებლა დუმილის უფლებით. გამოძიებას ისიც კი არ გაურკვევია, თანახმა იყო თუ არა ნატროშვილი, მისი ინტერესები დაეცვა სახაზინო წესით დანიშნულ ადვოკატს, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოძიებამ არასრულწლოვანსა და მის ოჯახს არჩევანის საშუალება არ მისცა, "** – ამბობს იმედა ნატროშვილის ადვოკატი მალხაზ ჯანგირაშვილი და გამომძიებლისა და მოსამართლის მიერ ჩადენილი უკანონობის წინააღმდეგ ბრძოლას იწყებს.

საქმის მასალების მიხედვით, ერთი დღის მანძილზე იმედა ნატროშვილის მიმართ 4 საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა, რაც ადვოკატების მტკიცებით, დაუშვებელია. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ დანაზე ჩატარებული ექსპერტიზის მიხედვით დადგინდა, რომ დანაზე აღმოჩენილი სისხლის ლაქები გარდაცვლილის სისხლის ჯგუფს არ ემთხვევა. ბრალდებულისთვის ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში კი ჩამოთვლილია ის დაზიანებები, რომლებიც დაკითხვის დროს მიიღო იმედა ნატროშვილმა. "სხეულზე არსებული დაზიანებები, ნაჭდევებისა და სისხლნაჟღენთების სახით, მიყენებულია რაიმე ბლაგვი საგნის მოქმედებით", - ეს დასკვნა გამომძიებელმა არც საქმეში ჩადო და არც სასამართლოს წარუდგინა.

**"ექსპერტიზის დასკვნა ნატროშვილის უდანაშაულობას ადასტურებდა. გამომძიებელმა ეს დასკვნა დამალა, სეიფში შეინახა. არ იცოდა, ჩვენ ექსპერტიზის ბიუროდან მისი ასლის მოპოვება რომ შევძელით. ერთი სიტყვით, არასრულწლოვანი გამოძიებამ გაწირა. არანაირი მტკიცებულება ნატროშვილის წინააღმდეგ არ მოეპოვებათ და ის დღემდე უკანონოდ ჰყავთ პატიმრობაში, "** – აცხადებენ ადვოკატები და არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტთან" ერთად პრესკონფერენციის მოწყობას გეგმავენ. იმედა ნატროშვილის საქმე ცნობილია სახალხო დამცველის აპარატისთვისაც.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ დაკავებიდან დაახლოებით ორი კვირის შემდეგ, იმედა ნატროშვილმა პროკურორს, ლენა კაპანაძეს განცხადებით მიმართა და მოითხოვა დაეკითხათ. ორი თვის განმავლობაში ბრალდებული არ დაუკითხავთ. როდესაც გამომძიებელმა დაგვიანებით მიაკითხა ნატროშვილს, არასრულწლოვანმა მას უნდობლობა გამოუცხადა და არ მისცა დეტალური ჩვენება, თუმცა განუცხადა, რომ არავითარი დანა ჩხუბის დროს მას არ ჰქონია, არც არავინ დაუჭრია, მისი ჩვენებები კი გამოძალული იყო წამებით.

იმედა ნატროშვილის საქმე ამჟამად გენერალურ პროკურატურაშია. დააკმაყოფილებს თუ არა ადვოკატების მოთხოვნას გენერალური პროკურატურა, ჯერჯერობით გაურკვეველია.

***P.S.** რუბრიკით "პრესინგი" მუდმივ კონტროლზე იქნება აყვანილი ამა თუ იმ საქმის გამოძიება და სხვა სერიოზულ კანონდარღვევებზე სამართლებრივი რეაგირება.*

ადამიანის უფლებები

# რა შემთხვევაში შეიძლება მოქალაქის გაჩხრეკა

პირადი ჩხრეკა და ამოღება შეიძლება ჩაგიტარონ მხოლოდ და მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე.

ჩხრეკის ან ამოღების დაწყებამდე სამართალდამცველი ვალდებულია, გაგაცნოთ სასამართლოს ბრძანება.

ჩხრეკას ან ამოღებას უნდა დაესწროს არანაკლებ ორი მოწმე, საჭიროების შემთხვევაში კი თარჯიმანიც.

პირადი ჩხრეკა ან ამოღება შეიძლება ჩაგიტარონ სასამართლოს ნებართვის გარეშეც, განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომლის კანონიერებაც უნდა შეამოწმოს მოსამართლემ მასალების წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში.

ჩხრეკისა და ამოღების დროს კანონდამცველი ვალდებულია, შეადგინოს ოქმი, რომელსაც ხელმოწერებით ადასტურებთ თქვენ, მოწმეები და ჩხრეკის ჩამტარებელი პირი. ჩხრეკის მონაწილეებს უფლება აქვთ, ოქმში გააკეთონ შენიშვნები. ოქმის ასლი უნდა ჩაგბარდეთ.

ჩხრეკა-ამოღება ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოაჩინონ და ამოიღონ დანაშაულის იარაღი, საგანი, რომელსაც დანაშაულის კვალი აჩნია, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთი ან ფასეულობა, სხვა საგანი და დოკუმენტი, რომლებიც საჭიროა საქმისთვის.

ჩხრეკა და ამოღება შეიძლება ჩაგიტარონ სამსახურში, სახლში, ტრანსპორტში და სხვა ადგილას, სადაც შეიძლება იყოს საქმისთვის მნიშვნელოვანი საგანი ან დოკუმენტი.

თუ ჩხრეკის და ამოღების ჩატარებისას არ აღმოგაჩნდათ საქმისთვის მნიშვნელოვანი საგანი ან დოკუმენტი, საგამოძიებო მოქმედების არასწორად ჩატარებისთვის უნდა მოგიბოდიშონ.

ერთი სიტყვით, თუ ქუჩაში პოლიციელი გაგაჩერებთ და თქვენს გაჩხრეკას მოინდომებს, ნუ დაემორჩილებით მას უსიტყვოდ, მოითხოვეთ სასამართლოს ბრძანება, თქვენ ამის უფლებას კანონი განიჭებთ.

***P.S.** რუბრიკით "ადამიანის უფლებები" სისტემატურად შემოგთავაზებთ რჩევებს, რომლებიც საჭირო შემთხვევებში საკუთარ უფლებებში თქვენითვე გარკვევასა და მათ დაცვაში დაგეხმარებათ.*



# საუკეთესო ცდის წინ

თენგიზ გოგოტიშვილი

რამდენიმე დღეში საქართველოში იწყება "ნატოს" მრავალეროვანი სწავლებები "ქოოფერეითივ ბესტ ეფორტ 2002".

"მშვიდობისთვის პატრნიორობის" პროგრამის ისტორიაში არც-თუ ბევრია შემთხვევა, როცა მრავალეროვანი სწავლებები ერთსა და იმავე ქვეყანაში ორი წლის განმავლობაში ზედიზედ ტარდება. საქართველოში ნატოს პირველი მანევრები 2001 წელს ჩატარდა და საზღვაო-სახმელეთო ხასიათი ჰქონდა. "ბესტ ეფორტ 2002" კი სახმელეთო იქნება და ძირითად ამოცანად დაისახავს ქვეითი ჯარების მთიან რეგიონში ჩასატარებელი სამშვიდობო ოპერაციებისთვის მომზადებასა და მათ საჰაერო მხარდაჭერას.

"ბესტ ეფორტ" ინგლისურად საუკეთესო ცდას ნიშნავს. ნიშნავს თუ არა ამ პოლიტიკურ სიტუაციაში ამ სახელწოდებითა და სცენარით სწავლებების ჩატარება იმას, რომ ნატო ყველაფერს გააკეთებს, რათა საქართველომ თავი გაართვას მის წინაშე ბოლო წლებში წარმოქმნილ პრობლემებს?

ის, რომ ვაზიანის პოლიგონზე მთიანი რეგიონის ლეგენდა პანკისში სპეცოპერაციის ჩატარების წინ დამუშავდება, საქართველოში აუცილებლად სიმბოლურად უნდა მოეჩვენოთ. უნდა მოეჩვენოთ, რადგან ამ ქვეყანაში სხვაგვარად არ შეუძლიათ - სწავლების ლეგენდა დაგეგმილ მანევრებს ყოველმხრივ ლეგენდარულობის იერს აძლევს.

სანამ სწავლება დაიწყება, "ნატომ" თავი დაიზღვია და საველე ბანაკებსა და სასროლეთზე ქიმიური, ბიოლოგიური და რადიაციული შემოწმება ჩაატარა. ასეთი სიფრთხილე სავსებით გამართლებული აღმოჩნდა - რამდენიმე ადგილას გამოვლინდა დასნებოვნების კერა. ეს ადგილები ყვითელი ლენტით შემოფარგლეს, რუკაზე დაიტანეს და ყველას გამოუცხადეს, რომ იქ ახლოსაც არ შეიძლება გაკარება.

მეტსაც გეტყვით, რადიაციის კონტროლს დაექვემდებარა ის 900 ქვიშიანი ტომარა, რომლებსაც სწავლებების დროს გამოიყენებენ.

საქართველომ უნდა გამოყოს რამდენიმე კილომეტრი მავთულხლართი, ააწყოს 3 შლაგბაუმი, 3 საშტაბო და თორმეტი ოცკაციანი საცხოვრებელი კარავი, 27 საველე ტუალეტი.

ქართული მხარის გასაკეთებელია საველე ჰოსპიტალიც, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს არა მხოლოდ სამედიცინო პერსონალითა და მედიკამენტებით, არამედ ორი ვერტმფრენითაც. მოკლედ, დღე ერთია და საზრუნავი - ათასი. ხარჯიც საკმაოდ დიდია, დაახლოებით 300 ათასი ლარი, რომლის ანაზღაურებასაც თავდაცვის სამინისტროს პენტაგონი შეჰპირდა.

17 ივნისს სწავლებებში 16 ქვეყნის სამხედრო მოსამსახურე ჩაერთვება. მათგან საქართველომ უნდა შეავსოს 7 ათეულის კვოტა. თავდაცვის სამინისტრომ 6 ათეული თავისთვის დაიტოვა, 1 კი შინაგან ჯარს მისცა. სწავლებებში საქართველოდან 240 სამხედრო მოსამსახურე მიიღებს მონაწილეობას. ამას საშტაბო და მმართველობითი სტრუქტურებიდან 73 ოფიცერიც დაემატება.

ორი ათეული სამხედრო აკადემიიდან იქნება, ორი - სპეცდანიშნულების ძალებიდან, თითო კი - გვარდიის საჩხერის სამთო ბატალიონიდან და მე-11 ბრიგადიდან. ჩამოთვლილი სამხედრო ნაწილებიდან ყველა მონაწილეობს ამერიკულ წვრთნისა და აღჭურვის პროგრამაში, რომელიც თავისი არსით უფრო სერიოზული და მასშტაბურია, მაგრამ არც მრავალეროვნული "ბესტ ეფორტია" ხელწამოსაკრავი.

ეს არ არის საქართველოს, როგორც მასპინძელი ქვეყნის, ვალდებულებათა სრული სია. არანაკლები ხალხი უნდა დავასაქმოთ "მომსახურე სფეროში" - სამედიცინო ასეული, სწავლების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ჯგუფები, საავტომობილო ეკიპაჟები, ვერტმფრენების ეკიპაჟები და სტატისტები, ანუ ის ადამიანები, რომლებმაც სწავლებებზე დაჭრილთა და მოკლულთა როლი უნდა ითამაშონ და საჩვენებელ მიტინგებსა და არეულობებში მიიღონ მონაწილეობა.

სხვა ქვეყნებიდან "ბესტ ეფორტში" მონაწილეობენ დიდი ბრიტანეთი, თურქეთი, საბერძნეთი, უნგრეთი, ავსტრია, აზერბაიჯანი, სომხეთი, ლიტვა, მოლდოვა, ბულგარეთი და რუმინეთი. ისინი სწავლებებზე თითო ათეულსა და შტაბის ოფიცრებს მოავლენენ. ორ-ორ ათეულს მოავლენენ კანადა, უზბეკეთი და უკრაინა. მათ დაემატებიან შტაბის ოფიცრები. ოფიცრებს გამოგზავნის შეერთებული შტატებიც.

საბოლოო ჯამში, სწავლებაზე დაკომპლექტდება 3 ასეულისგან შემდგარი ბატალიონი, რომელიც ორი კვირის მანძილზე გაივლის წვრთნას.

სწავლება ოფიციალურად 28 ივნისს დაიხურება. იქამდე მონაწილეები მოასწრებენ ყველაფრის გაცვლას, რაც კი შეიძლება გაიცვალოს და რისი დაკარგვის გამოც ზურგის სამსახურების უფროსები შემდეგ ზარებს არ შემოჰკრავენ: ქამრები, დანები, ემბლემები, ბერეტები, მაისურები, სანთებელები, საათები და სხვა წვრილმანი ნივთები. თუმცა სამხედროები ასეთ შემთხვევებში ამბობენ, რომ მთავარი, რაც გაიცვლება, მხედრული გამოცდილება და არმიების თავსებადობაა.

"ბესტ ეფორტი" საუკეთესო ცდაა იმისთვის, ვინც ვაზიანის ხრიოკზე საკუთარი სახელმწიფოს ასაშენებლად ნაყოფიერ ნიადაგს ეძებს.




თურქებმა შური იძიეს B2

გველების სეზონი დაიწყო B6

კროსვორდი, TV პროგრამები B8



www.24hours.ge

# 24 საათი

B

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 4 ივნისი, 2002 წელი. №2




# რონალდო დაბრუნდა


B3 ფეხბურთი B4 ტოტალიზატორი B5 კულტურა B6 საზოგადოება B7 საზოგადოება B8 სხვადასხვა

# საეჭვო პენალტმა ბრაზილიის „სამბა-ექსპრესი" გადაარჩინა




## ბრაზილია 2–1 თურქეთი




ფავორიტმა წაიბორძიკა, მაგრამ მაინც მოიგო. რონალდომ და რივალდომ, საკმაოდ საეჭვო პენალტით, თამაში შემოატრიალეს და ბრაზილიას მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუტანეს.

თურქებს მოედნიდან 2 ფეხბურთელი გაუძევეს. პირველი იყო ალფაი ოზალანი, რომელმაც ლუიზაო საჯარიმო მოედანთან მოცელა, მსაჯმა კი თერთმეტმეტრიანი დანიშნა. შემდეგ მოხდა ინციდენტი: თურქმა ჰაკან უნსალმა რივალდოს ბურთი ფეხებში გაარტყა, ეს უკანასკნელი კი არტისტულად დაეცა. ბრაზილიელის ამ სიმულაციაზე მსაჯი წამოეგო და უნსალიც გააძევა.

თამაშის შემდეგ, ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა, ლუის ფელიპე სკოლარმა განაცხადა; "ეს გამარჯვება ბრაზილიას გააბედნიერებს და მომავალი წარმატებების საწინდარი გახდება. დღეს თურქეთი ძლიერი იყო, მაგრამ მატჩის ბოლოს ჩვენ მაინც უკეთესად ვითამაშეთ. ახლა მოგვიწევს, მომდევნო, ჩინეთის ნაკრებთან თამაშზე გავაკეთოთ კონცენტრაცია, რადგან ეს არის მეტოქე, რომელთანაც დიდი სიფრთხილე გვმართებს."

სენოლ გიუნესი (თურქეთის ნაკრების მწვრთნელი): "შედეგი უსამართლოა. ჩვენ ძალიან ახლოს ვიყავით იმასთან, რომ მატჩი ფრედ დაგვემთავრებინა, მაგრამ არა უშავს, გვაქვს შესაძლებლობა, კიდევ 6 ქულა მოვიპოვოთ. ასე რომ, დიდხანს არ დავნებდებით. ჯგუფიდან გასვლის მშვენიერი შანსი გვაქვს."



# იტალიური რაციონალიზმი




## იტალია 2–0 ეკვადორი




მიხეილ აბაიშვილი

გუშინ მსოფლიო ჩემპიონატზე კიდევ ერთმა ფავორიტმა - იტალიის ეროვნულმა გუნდმა აიღო სტარტი. იტალიელებს მეტოქედ მუნდიალის დებიუტანტი - ეკვადორის ნაკრები ჰყავდათ. იტალიის ნაკრებმა ზედმეტი ძალისხმევისა და ფაციფუცის გარეშე, შეიძლება ითქვას, კლასში სხვაობით მოუგო მეტოქეს.

"სკუადრა აძურა" მსოფლიო ჩემპიონატის, ალბათ, ყველაზე იოლად პროგნოზირებადი გუნდია. იგი არც საფრანგეთის ნაკრებს შეიძლება შევადაროთ და არც გერმანიისას, იმ თვალსაზრისით, რომ იტალიის ნაკრები არასოდეს დამარცხდება მსოფლიო ჩემპიონატის დებიუტანტ და უსახელო გუნდთან, როგორც ეს ფრანგებს დაემართათ. ასევე, რაც უნდა მაღლა იდგეს მეტოქეზე თამაშის ორგანიზაციით და საშემსრულებლო ოსტატობით, გერმანიასავით გამანადგურებლად არ გაიმარჯვებს, ერთი სიტყვით, ძალებს დაზოგავს.

პირველი, რაზეც იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ეკვადორთან მატჩში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ კომენტარი გააკეთა, მისი გუნდის ფლეიმეიკერის - ფრანჩესკო ტოტის თამაშია.

"ბრწყინვალე იქნებოდა, თუკი იმ ეპიზოდში, როდესაც ტოტი ვარდნაში ურტყამდა, გოლი გავიდოდა. თუმცა, ამის მიუხედავადაც, ტოტიმ მშვენივრად ითამაშა", - განაცხადა ტრაპატონიმ.

რაღა თქმა უნდა, ამ გამარჯვების წყალობით დონ ტრაპი მშვენიერ ხასიათზე იყო და მან არ დაიზარა ჟურნალისტებთან საუბარი. ტრაპატონი თვით ისეთ თემებსაც შეეხო, როგორიცაა მოედნის საფარი და მისი გუნდის ტაქტიკური მონახაზი.

"დღეს მინდორზე ყველაფერი გამოგვივიდა, ამიტომ აღარც კი ვიცი, შემდეგი მატჩისთვის შევცვალო თუ არა ტაქტიკური სქემა. მომდევნო თამაშამდე კიდევ დიდი დრო გვაქვს, სრულიად საკმარისი იმისათვის, რომ ვარჯიშებზე დავაკვირდე ფეხბურთელებს და შევაფასო მათი მდგომარეობა".

წამყვანმა იტალიურმა სპორტულმა გამოცემებმა "სკუადრა აძურას" არც თუ შთამბეჭდავი თამაშის გამო მოკრძალებული რეცენზიები გამოაქვეყნეს, თუმცა სუყველამ ერთხმად აღნიშნა ტოტი - ვიერის წყვილის ეფექტური და შედეგიანი მოქმედებები. თავად ვიერიც კმაყოფილი დარჩა მოედანზე საკუთარი მოქმედებებით.

"ჩვენ კარგად ვითამაშეთ და, რაც მთავარია, ორი გოლის გატანასთან ერთად მთელს მოედანზე ვდომინირებდით, ვაკონტროლებდით მატჩის მსვლელობას", - განაცხადა ვიერიმ.

მან თავის პირად წარმატებულ თამაშში მთელი გუნდის წვლილიც არ დაივიწყა.

"ორი გოლი კი გავიტანე, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი კი არა, მთელი გუნდის დამსახურებაა. როდესაც მთელი გუნდი კარგად თამაშობს, თავდამსხმელებს ძალზე უიოლდებათ თამაში",- აღნიშნა მან.



# რობერტ იარნი: „ვერაფრით ვიმართლებთ თავს"




## ხორვატია 0–1 მექსიკა




კახა ფარუაშვილი

მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორებმა ჟივკოვიჩის შეცდომისა და პენალტის გამო წააგეს და საკუთარ თავს, ფაქტობრივად, განაჩენი გამოუტანეს.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მექსიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ხავიერ აგირე მაინცდამაინც კმაყოფილი არ ჩანდა.

"რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, რომ პირველი, ესოდენ მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის იმისთვის, რომ თავი ქუდში მქონდეს. ძალიან უნდა ვეცადოთ, რომ დანარჩენი თამაშებიც მოვიგოთ. სულაც არ ვარ კმაყოფილი ყველა ფეხბურთელის თამაშით. გამარჯვების მიუხედავად, მათ უამრავი შეცდომა მოუვიდათ. პრეტენზიები მაქვს მეკარესთან, რომელმაც რამდენიმე ეპიზოდში გადაარჩინა გუნდი და სხვებთანაც," – განაცხადა ხავიერ აგირემ.

აგირეს ხორვატ კოლეგას მირკო იოზიჩს სიხარულის მიზეზი ნამდვილად არ ჰქონდა.

"ძალიან ცუდად ვითამაშეთ, ნახევარდაცვა კი სრულიად დეზორგანიზებული იყო. მშვენივრად თამაშობდა მექსიკელთა მეკარე. ჟივკოვიჩის გაძევების შემდეგ გადავწყვიტე, მინდორზე სწრაფი სტანიჩი და სარიჩი გამომეშვა, მაგრამ თამაშში ვერც მათ შეიტანეს გარდატეხა. პირველი თამაშის წაგება, რა თქმა უნდა, საწყენია. იმედი მაქვს, ჩემი ფეხბურთელები სწრაფად მოეგებიან გონს და მომდევნო მატჩს უკეთესად ჩაატარებენ. ჩვენ ხომ მხოლოდ პირველი ბრძოლა წავაგეთ და არა ომი."



# ყველა ფავორიტი შემდეგ ეტაპზე გააღწევს

დერეკ ფოლი
იაპონია კორეიდან
სპეციალურად 24
საათისათვის

გერმანიის ნაკრებს, მედალივით, ორი მხარე აქვს: ერთი, რომელიც მათ ლონდონში ინგლისის ნაკრების დამარცხებისას აჩვენეს და მეორე, რომლის არსებობის შესახებ საზოგადოებამ გერმანულ მიწაზე მათი სასტიკი დამარცხების შემდეგ იხილა.

საუდის არაბეთის განადგურებამდე არავინ იცოდა, გერმანია მსოფლიო ჩემპიონატზე რომელი სახით წარდგებოდა. თუმცა, ახლა ყველაფერი ნათელია – გერმანიის ნაკრები სამხრეთ კორეასა და იაპონიაში ბრწყინვალე თამაშს შეეცდება.

როგორც ჩანს, ყველა ფავორიტი გუნდი შემდეგ ეტაპზე გააღწევს. იტალიამ, ბრაზილიამ, ესპანეთმა, არგენტინამ და გერმანიამაც გულშემატკივრებს იმედები არ გაუცრუეს. აი, საფრანგეთი კი სენეგალთან გამარჯვებას ნამდვილად იმსახურებდა.

ასეა თუ ისე, შემდეგ ეტაპზე ამ ექვსეულიდან რომელიმე გუნდი ირლანდიის ნაკრებს დაუპირისპირდება.

ეს უკანასკნელი როი კინის წასვლის შემდეგ გონს ჯერ კიდევ ვერ მოსულა. მიკ მაკარტი კი სიტუაციის გამოსწორებას და საზოგადოების ყურადღების სხვა თემებზე გადატანას ცდილობს. ამ მიზნით, ის ხშირად დაუფიქრებელ განცხადებებსაც აკეთებს. "არა მგონია, გერმანია ჰოლანდიასა და პორტუგალიას რამით ჯობდეს. მეტიც, გერმანია არც კამერუნზე უკეთესი მგონია", - ამტკიცებს ის. არავინ იცის, მართლა ასე ფიქრობს მაკარტი, თუ – არა. თუმცა, აშკარაა, რომ ფეხბურთელების და მაკარტის შეხედულებები ერთმანეთს არ ემთხვევა. სინამდვილეში თანაგუნდელებს როი კინი ძალიან აკლიათ. ირლანდიაში კი უკვე თითქმის აღარავის სჯერა, რომ მაკარტი მენეჯერის პოსტს შინ დაბრუნების შემდეგაც შეინარჩუნებს. ყოველი შემთხვევისთვის, ის უკვე აღარაფერ შუაში იქნება, როცა ირლანდია საქართველოს ნაკრებს შეხვდება.

უფრო მეტად სავარაუდოა, რომ თბილისში როი კინი ჩამოვა და არა მაკარტი.

დავუბრუნდეთ მაკარტის უცნაურ განცხადებებს. "სულელი ვიქნებოდი, გერმანია-საუდის არაბეთის მატჩს რომ შევეშინებინე. ეს რომ გამეკეთებინა, იფიქრებდით, რომ გავგიჟდი. მე კი არ ვარ გიჟი", - დასძენს ის. როი კინის თემისგან შორის გაქცევის მიზნით, ირლანდიელების მწვრთნელი ბრაზილიის შანსებსაც დიდი სიამოვნებით ახასიათებს. "მიუხედავად იმისა, რომ საკვალიფიკაციო მატჩებში ბრაზილიამ თავი ვერ გამოიჩინა, ვფიქრობ, რომ ის მაინც პოტენციური გამარჯვებულია. იგივეს თქმა შემიძლია გერმანიაზეც... ვერასდროს დაივიწყებ, რომ გერმანიის წინააღმდეგ თამაშობ. დიდ ჩემპიონატებზე მათ თავისებური აურა აქვთ, რომელიც მოედანზე გარკვეულ განწყობას ქმნის", - კიდევ უფრო შორს მიდის მაკარტი.

ირლანდიაში კი შექმნილ სიტუაციას უფრო სენსაციურ ელფერს ძენს დამსახურებული სპორტსმენისა და სპორტული კომენტატორის იმონ დანფის განცხადებები. მას სურს, რომ როი კინი ჩემპიონატს დაუბრუნდეს, მაკარტიმ კი სცენა სასწრაფოდ დატოვოს და ამ სურვილს დანფი ღიად აფიქსირებს. ტელეეთერში მან განაცხადა კიდეც, რომ კამერუნის და გერმანიის ნაკრებების გამარჯვება სურს. გადაცემის დასრულების შემდეგ დანფმა ორი ათასამდე სატელეფონო ზარი მიიღო, ირლანდიამ ის ლამის მოღალატედ გამოაცხადა.

თუმცა, როგორც ვარაუდობენ, ექვსიოდე თვის შემდეგ დანფის აზრს მთელი ქვეყანა გაიზიარებს. ამ დროისთვის კინი ეროვნულ ნაკრებს დაუბრუნდება კიდეც და გულშემატკივრების მხურვალე აპლოდისმენტებს მიიღებს (სხვათა შორის, საქართველოს დიდად არ უნდა სურდეს იმ მატჩში მონაწილეობა, რომელში კინიც ითამაშებს. მისთვის უმჯობესი იქნება, კამპანიას მოგვიანებით, დუბლინში შეუერთდეს).

ამ დროისთვის უკვე დროული იქნება კითხვა, თუ ვის "აირჩევს" როი კინი მენეჯერად. სავარაუდოდ, ამ პოსტს 21 წლამდე ნაკრების მწვრთნელი ბრაიან კერი დაეპატრონება.

კერს პირველი კლასის ფეხბურთი არასდროს უთამაშია, ირლანდიაშიც კი. მაგრამ, თავის ნაკრებთან ერთად (საუბარია 16 და 18 წლამდე ახალგაზრდების შეხვედრებზე), უეფას თასის მოპოვების შემდეგ ის სამშობლოში უკვე გმირის ტიტულს ფლობს.

ასეა თუ ისე, ირლანდიის ნაკრები უახლოეს მომავალში შეიტყობს, გერმანია პორტუგალიის, ჰოლანდიის და კამერუნის ნაკრებებზე მაღლა დგას თუ არა.

იმონ დანფის 1965-71 წლებში 23 თამაში აქვს ჩატარებული. ის მეორე დივიზიის "მილუოლში" თამაშობდა – კლუბში, რომელსაც ირლანდიის ნაკრებამდე მაკარტი კურირებდა. ამჯერად ის ირლანდიის ყველაზე სახელგანთქმული კომენტატორია. უძღვება რადიოშოუს, საფეხბურთო მიმოხილვას ტელევიზიაში და წერს როგორც ყოველდღიური, ასევე საკვირაო გაზეთის-

## ვერონი: „არგენტინა ფავორიტია„

ნიგერიელებთან მოგებული მატჩის შემდეგ არგენტინის ნაკრები ყურადღების ცენტრში მოექცა. იაპონია-კორეაში მას უპირველეს ფავორიტად თვლიდნენ. პირველი გამარჯვების შემდეგ სიტუაცია არ შეცვლილა. თუმცა, არგენტინაში სპორტული პრესა მატჩის მეორე მხარესაც აშუქებს. არგენტინელებს ხშირად მოსდიოდათ პოზიციური შეცდომები და ნიგერიელ თავდამსხმელებს სივრცის გამოყენების საშუალებას აძლევდნენ. ნაკრების ლიდერები, კერძოდ, ვერონი, თვლის, რომ საგანგაშო არაფერია. "ჩვენ იოლად, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე მოვიგეთ. მატჩის განმავლობაში დავრწმუნდი, რომ წლეულს ყველაზე დიდი შანსი გვაქვს. არავითარ შეცდომებზე არ შეიძლება საუბარი." ვერონმა აღნიშნა, რომ არ ეგონა, თუ ძირითად შემადგენლობაში ითამაშებდა.



## მანიაკი თუ ფანატი

30 წლის ირლანდიელი დიკლენ კონფილდი, შესაძლოა, მსოფლიოს ყველაზე ერთგულ ფანატად ჩაითვალოს. მას მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ხუთი დღით ადრე ვაჟი შეეძინა. კონფილდმა თვითმფრინავის ბილეთი აიღო და 31-ში, დილით, იაპონიაში იყო. თავდაპირველად ჟურნალისტების ყურადღება თავისი ველოსიპედით მიიქცია. მწვანედ შეღებილ ველოსიპედისტს, უბრალოდ, აზრის გამოთქმა სთხოვეს. ამ დროს მას მეუღლემ დაურეკა და ტელეფონით ბავშვის ხმა მოასმენინა. "ჩემი შვილი ძალიან მენატრება, მაგრამ აქ ვარ და სხვაგვარად არ შემიძლია," - ეს სიტყვები კონფილდმა იაპონურ ენაზე წარმოთქვა. იგი უნივერსიტეტში იაპონურს სწავლობდა. 1994 წელს კონფილდი ირლანდიის ნაკრების ოთხივე შეხვედრას დაესწრო. ირლანდიელები მხოლოდ მესამედ მოხვდნენ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ირლანდიელი "მანიაკის" მეუღლე ქვეჯგუფში მისი ქვეყნის ნაკრების მეტოქე გუნდებს გულშემატკივრობს. თუ ირლანდიელები ჯგუფიდან ვერ გავლენ, კონფილდი სამშობლოში დაბრუნდება.

## ბლატერის საქმე არ დახურულა

იოზეფ ბლატერმა არჩევნები სულ იოლად მოიგო, რის შემდეგაც ფიფას აღმასკომის წევრებმა მის წინააღმდეგ სასამართლოში შეტანილი სარჩელი გააუქმეს. აღმასკომი ბლატერს დიდი ოდენობით თანხების მითვისებასა და არამიზნობრივ ხარჯვაში ადანაშაულებდა. ეს ინფორმაცია პრეზიდენტმა ბლატერმა გაავრცელა და, როგორც გაირკვა, შეცდომა მოუვიდა. "ბლატერმა რეალურად წარმოიდგინა ის, რაც მას სურდა, - განაცხადა აღმასკომის იტალიელმა წევრმა ანტინიო მატერაზემ, - სარჩელი სასამართლოშია და უახლოეს დღეებში საქმეს მსვლელობა მიეცემა." აღმასკომის 11 წევრიდან უმეტესობა დუმილს ამჯობინებს, თუმცა, არც ბლატერს უჭერს მხარს. მატერაზის აზრს იზიარებს ნორვეგიელი პერ ჰოლანდი: "სარჩელი არავის გამოუტანია. ბლატერმა არჩევნები მოიგო, მაგრამ გამოძიება გაგრძელდება. ეს საქმე უნდა დასრულდეს და ყველაფერს ნათელი მოეფინოს."

საინტერესოა ციურიხის პროკურატურის მოსაზრებაც. მიიჩნევენ, რომ "ბლატერის საქმე" სულ მალე ამოტივტივდება და ფართო საზოგადოების განსჯის საგანი გახდება. პროკურატურის პოზიცია ასეთია: შეუძლებელია, საქმე შეწყდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ბლატერი პრეზიდენტია.

## აგასი ნახევარფინალშია

**საფრანგეთის ღია ჩემპიონატი.**
**კორტის საფარი: გრუნტი**
**საპრიზო ფონდი: 4.284.000 ევრო**
**შარშანდელი ჩემპიონი: გუსტავო კუერტენი (ბრაზილია)**
**ანდრე აგასი (აშშ, 4) - პოლ-ანრი მატიე (საფრანგეთი) 4:6, 3:6, 6:3, 6:3, 6:3**
**ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი, 11) - გასტონ გაუდიო (არგენტინა, 31) 6:7 (3:7), 6:1, 6:7 (5:7), 6:2, 6:4**

კურიოზული შემთხვევა მოხდა როლან გაროს მთავარ კორტზე. ქალბატონმა, რომელიც თვითმხილველთა მტკიცებით, ძალიან ჰგავდა საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის მეუღლე ბერნადეტს, დაუბრკოლებლივ შეაღწია როლან გაროს მთავარი კორტის პრეზიდენტის ლოჟაში, სადაც მიმდინარეობს საფრანგეთის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში.

ტურნირის ორგანიზატორთა თქმით, მთავარი კორტის ტრიბუნასთან გამოჩნდა ძვირფასი მანქანა მოტოციკლისტთა ესკორტის თანხლებით. ქალბატონმა, რომელიც ბერნადეტ შირაკს ჰგავდა, მშვიდად აუარა დაცვას გვერდი და პრეზიდენტის ლოჟისკენ გაემართა. მან ერთ-ერთ სავარძელში მოკალათებაც მოასწრო, მაგრამ პრეზიდენტის უშიშროების სამსახურმა სწრაფი რეაგირება მოახდინა და ცრუ ბერნადეტ შირაკი აპარტამენტებიდან გამოაბრძანეს.

ყველაფერი იმდენად სწრაფად მოხდა, რომ დაუპატიჟებელი სტუმრის პრეზიდენტის ლოჟაში გამოჩენის დაფიქსირება ვერც ერთმა ტელეკომპანიამ ვერ მოასწრო.

ტურნირის ორგანიზატორები მიიჩნევენ, რომ ცრუ-ქალბატონი შირაკი ტელეარხ "tf-2"-ის გადაცემის "გამოცადე ყველაფერი" მონაწილეა. "ყველაფრის გამოცდა შეიძლება, მაგრამ წარმატება ყოველთვის გარანტირებული არ არის," – ასეთი რეზიუმე გაუკეთდა ამ კურიოზულ შემთხვევას.

## „ლეიკერსი„ მაინც ფინალშია

დიმიტრი ობოლაძე

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბის წინა სეზონის ჩემპიონის "ლოს-ანჟელეს-ლეიკერსის" ლიდერებმა, ბრაიანტმა და ონილმა, ფაქტობრივად, გუნდი "ძალით" გაიყვანეს ფინალში. საკრამენტოელი "მეფეები" წარმატებასთან ასე ახლოს არასოდეს ყოფილან. გუნდი სერიაში იგებდა – 3:2-ს, კალიფორნიელებმა ზედიზედ ორჯერ მოიგეს. განსაკუთრებით დრამატული იყო სერიის უკანასკნელი, მეშვიდე შეხვედრა, რომელიც საკრამენტოში გაიმართა.

**"საკრამენტო-კინგზი"-"ლეიკერსი" 106-112 დამ.დრო.(21-22, 33-30, 20-21, 26-27, 6-12)**

**"საკრამენტო": ბიბი (29), ვებერი (20+11 გადაცემა), დივაცი (15+10 მოხსნა)**

**"ლეიკერსი": ონილი (35+13 მოხსნა+4 დაფარება), ბრაიანტი (30+10 მოხსნა), ორი (16+12 მოხსნა).**

ეს მატჩი შაკილ ონილისა და ბრაიანტის კიდევ ერთ ბენეფისად იქცა. შეხვედრაში ორივემ 65 ქულა დააგროვა და ამან დიდად განაპირობა გუნდის წარმატება. პირველი, მესამე და მეოთხე მეოთხედები რომელიმე გუნდის მინიმალური უპირატესობით სრულდებოდა. სხვაობამ მხოლოდ მეორე მეოთხედში სამ ქულას მიაღწია. "კინგზმა" სამი ქულის სხვაობით მოიგო. საკრამენტოელთა დამარცხება, უპირველესად, საჯარიმო ტყორცნების დაბალმა პროცენტმა განაპირობა. მასპინძლებმა 30-დან მხოლოდ 15 ჩააგდეს. ლეიკერსის გამარჯვება კი, ზემოთ ნახსენები დუეტის გარდა, მწვრთნელის, ფილ ჯეკსონის დამსახურებაა. ყველაზე კარგად სწორედ მან იცის, თუ როგორ უნდა მიაღწიოს წარმატებას პლეი-ოფის სერიაში. პირველად, 29 წლის განმავლობაში, კონფერენციის ფინალი წმინდა კალიფორნიული გამოდგა. საკრამენტოელთა თავდადებული თამაშის მიუხედავად, სპეციალისტსები მიიჩნევენ, რომ მაინც უძლიერესმა გაიმარჯვა. მწვრთნელმა რიკ აიდელმანმა აღიარა, რომ მისი გუნდი ფსიქოლოგიურად წინა, მეექვსე შეხვედრაში დამარცხდა. "პლეი-ოფის, განსაკუთრებით კი, ფინალური პლეი-ოფის მსვლელობისას, იმარჯვებს ის, ვისაც უფრო ნათელი გონება აქვს. შეხვედრის გადამწყვეტ მომენტში გამოცდილი კალათბურთელიც კი "ითიშება". ეს კატასტროფაა. საუბრის და შეცდომების გაანალიზების დრო დადგა - ამის კეთება საკრამენტოელთა მწვრთნელებს მოუწევთ. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, "კინგზი" პირველი გუნდია, ვინც კონფერენციის ფინალური სერია უკანასკნელ შეხვედრაში, საკუთარ კედლებში წააგო. "ლოს-ანჟელოს-ლეიკერსი" კი ჩემპიონია და ტიტულის დაცვას უახლოეს ოთხშაბათს დაიწყებს. სწორედ ამ დღეს გაიმართება ფინალური სერიის პირველი მატჩი.



# ტოტალიზატორი "კოპა"

| კოდი | გუნდი | I ადგილი ჯგუფში | ჯგუფიდან გასვლა | 1/4 ფინალში გასვლა | 1/2 ფინალში გასვლა | ფინალში გასვლა | ჩემპიონი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შედეგი | | | | | |
| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| | D ჯგუფი | | | | | | |
| 1013 | პორტუგალია | 1.60 | 1.10 | 1.80 | 3.50 | 7.00 | 12.00 |
| 1014 | პოლონეთი | 3.50 | 1.65 | 3.00 | 7.00 | 15.00 | 40.00 |
| 1015 | კორეა | 6.00 | 2.20 | 5.00 | 12.00 | 30.00 | 100.00 |
| 1016 | ა.შ.შ. | 8.00 | 2.80 | 7.00 | 20.00 | 40.00 | 100.00 |
| | E ჯგუფი | | | | | | |
| 1017 | გერმანია | 1.70 | 1.15 | 1.80 | 3.50 | 6.00 | 10.00 |
| 1018 | კამერუნი | 3.50 | 1.65 | 2.80 | 6.00 | 12.00 | 30.00 |
| 1019 | ირლანდია | 4.00 | 1.70 | 3.00 | 7.50 | 20.00 | 50.00 |
| 1020 | საუდ. არაბეთი | 12.00 | 4.00 | 12.00 | 30.00 | 70.00 | 200.00 |
| | F ჯგუფი | | | | | | |
| 1021 | არგენტინა | 1.80 | 1.15 | 1.45 | 2.00 | 3.00 | 5.00 |
| 1022 | ინგლისი | 2.60 | 1.40 | 2.00 | 3.50 | 5.00 | 8.50 |
| 1023 | შვედეთი | 7.00 | 2.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 50.00 |
| 1024 | ნიგერია | 7.00 | 2.50 | 4.50 | 8.00 | 15.00 | 40.00 |
| | G ჯგუფი | | | | | | |
| 1025 | იტალია | 1.50 | 1.03 | 1.45 | 2.50 | 3.50 | 6.00 |
| 1026 | ხორვატია | 5.00 | 1.70 | 3.00 | 7.00 | 15.00 | 40.00 |
| 1027 | ეკვადორი | 6.50 | 2.50 | 6.00 | 15.00 | 35.00 | 80.00 |
| 1028 | მექსიკა | 6.50 | 2.50 | 6.00 | 12.00 | 30.00 | 80.00 |
| | H ჯგუფი | | | | | | |
| 1029 | რუსეთი | 2.50 | 1.60 | 3.00 | 7.00 | 15.00 | 40.00 |
| 1030 | იაპონია | 2.50 | 1.50 | 2.80 | 6.50 | 15.00 | 50.00 |
| 1031 | ბელგია | 2.80 | 1.60 | 3.00 | 7.00 | 15.00 | 50.00 |
| 1032 | ტუნისი | 7.50 | 2.80 | 8.00 | 20.00 | 50.00 | 150.00 |

## ვინ დაიკავებს ჯგუფში I და II ადგილებს

| კოდი | D ჯგუფი: 1 ადგილი | 2 ადგილი | 1 |
|---|---|---|---|
| 2036 | პორტუგალია | პოლონეთი | 3.00 |
| 2037 | პორტუგალია | კორეა | 3.50 |
| 2038 | პორტუგალია | ა.შ.შ. | 4.00 |
| 2039 | პოლონეთი | პორტუგალია | 4.00 |
| 2040 | კორეა | პორტუგალია | 8.00 |
| 2041 | ა.შ.შ. | პორტუგალია | 12.00 |
| 2042 | პოლონეთი | კორეა | 12.00 |
| 2043 | კორეა | პოლონეთი | 18.00 |
| 2044 | პოლონეთი | ა.შ.შ. | 22.00 |
| 2045 | ა.შ.შ. | პოლონეთი | 35.00 |
| 2046 | ა.შ.შ. | კორეა | 60.00 |
| 2047 | კორეა | ა.შ.შ. | 60.00 |

| კოდი | E ჯგუფი: 1 ადგილი | 2 ადგილი | 1 |
|---|---|---|---|
| 2048 | გერმანია | კამერუნი | 3.50 |
| 2049 | გერმანია | ირლანდია | 3.50 |
| 2050 | კამერუნი | გერმანია | 5.00 |
| 2051 | ირლანდია | გერმანია | 5.00 |
| 2052 | კამერუნი | ირლანდია | 8.00 |
| 2053 | ირლანდია | კამერუნი | 8.00 |
| 2054 | გერმანია | საუდ. არაბეთი | 8.00 |
| 2055 | საუდ. არაბეთი | გერმანია | 25.00 |
| 2056 | საუდ. არაბეთი | კამერუნი | 40.00 |
| 2057 | კამერუნი | საუდ. არაბეთი | 40.00 |
| 2058 | საუდ. არაბეთი | ირლანდია | 50.00 |
| 2059 | ირლანდია | საუდ. არაბეთი | 50.00 |

| კოდი | F ჯგუფი: 1 ადგილი | 2 ადგილი | 1 |
|---|---|---|---|
| 2060 | არგენტინა | ინგლისი | 2.30 |
| 2061 | ინგლისი | არგენტინა | 2.80 |
| 2062 | არგენტინა | შვედეთი | 5.00 |
| 2063 | არგენტინა | ნიგერია | 5.00 |
| 2064 | შვედეთი | არგენტინა | 10.00 |
| 2065 | ნიგერია | არგენტინა | 10.00 |
| 2066 | ინგლისი | შვედეთი | 12.00 |
| 2067 | ინგლისი | ნიგერია | 15.00 |
| 2068 | შვედეთი | ინგლისი | 18.00 |
| 2069 | ნიგერია | ინგლისი | 20.00 |
| 2070 | შვედეთი | ნიგერია | 40.00 |
| 2071 | ნიგერია | შვედეთი | 40.00 |

| კოდი | G ჯგუფი: 1 ადგილი | 2 ადგილი | 1 |
|---|---|---|---|
| 2072 | იტალია | ხორვატია | 2.50 |
| 2073 | იტალია | ეკვადორი | 3.50 |
| 2074 | იტალია | მექსიკა | 3.50 |
| 2075 | ხორვატია | იტალია | 6.00 |
| 2076 | ეკვადორი | იტალია | 8.00 |
| 2077 | მექსიკა | იტალია | 8.00 |
| 2078 | მექსიკა | ხორვატია | 30.00 |
| 2079 | ეკვადორი | ხორვატია | 30.00 |
| 2080 | ხორვატია | ეკვადორი | 30.00 |
| 2081 | მექსიკა | ეკვადორი | 40.00 |
| 2082 | ეკვადორი | მექსიკა | 40.00 |
| 2083 | ხორვატია | მექსიკა | 35.00 |

| კოდი | H ჯგუფი: 1 ადგილი | 2 ადგილი | 1 |
|---|---|---|---|
| 2084 | რუსეთი | იაპონია | 4.50 |
| 2085 | იაპონია | რუსეთი | 4.50 |
| 2086 | რუსეთი | ბელგია | 5.00 |
| 2087 | იაპონია | ბელგია | 5.00 |
| 2088 | ბელგია | რუსეთი | 5.00 |
| 2089 | ბელგია | იაპონია | 5.00 |
| 2090 | რუსეთი | ტუნისი | 12.00 |
| 2091 | იაპონია | ტუნისი | 12.00 |
| 2092 | ტუნისი | რუსეთი | 15.00 |
| 2093 | ტუნისი | იაპონია | 15.00 |
| 2094 | ბელგია | ტუნისი | 15.00 |
| 2095 | ტუნისი | ბელგია | 20.00 |

**ყურადღება!!! გადაბმა შეიძლება მხოლოდ ერთმანეთთან**

## ცოცხალი

| ჩინეთი - კოსტა-რიკა | | | | 11:30 |
|---|---|---|---|---|
| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
| 5070 | ვინ დაიწყებს თამაშს | 1.90 | | 1.90 |
| 5071 | 1 აუტი | 1.90 | | 1.90 |
| 5072 | 1 კუთხური | 1.80 | | 1.70 |
| 5073 | 1 შეცვლა | 1.80 | | 1.80 |
| 5074 | 1 გოლი | 1.85 | | 1.65 |
| 5075 | 1 გაფრთხილება | 1.70 | | 1.80 |
| 5076 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკლ.- 1.80 | ზუსტად 11- 3.50 | 12და მეტი- 2.00 |
| 5077 | ბარათების რაოდენობა | 3და ნაკლ.- 2.00 | ზუსტად 4- 3.00 | 5და მეტი- 1.80 |
| 5078 | რომელ წუთზე გავა 1 გოლი | (1-30)- 1.80 | | (31-90)- 1.70 |
| 5079 | გოლების რაოდენობა * | (0-1) 2.80 | (2-3) 1.80 | (4-6) 3.00 |
| 5080 | ვინ გაიტანს * | ორივე 1.65 | | ერთ-ერთი 1.85 |

| იაპონია - ბელგია | | | | 14:00 |
|---|---|---|---|---|
| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
| 5090 | ვინ დაიწყებს თამაშს | 1.90 | | 1.90 |
| 5091 | 1 აუტი | 1.90 | | 1.90 |
| 5092 | 1 კუთხური | 1.70 | | 1.80 |
| 5093 | 1 შეცვლა | 1.80 | | 1.80 |
| 5094 | 1 გოლი | 1.75 | | 1.75 |
| 5095 | 1 გაფრთხილება | 1.75 | | 1.75 |
| 5096 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკლ.- 1.80 | ზუსტად 11- 3.50 | 12და მეტი- 2.00 |
| 5097 | ბარათების რაოდენობა | 3და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 4- 3.00 | 5და მეტი- 1.90 |
| 5098 | რომელ წუთზე გავა 1 გოლი | (1-30)- 1.80 | | (31-90)- 1.70 |
| 5099 | გოლების რაოდენობა * | (0-1) 2.90 | (2-3) 1.80 | (4-6) 2.90 |
| 5100 | ვინ გაიტანს * | ორივე 1.65 | | ერთ-ერთი 1.85 |

| კორეა - პოლონეთი | | | | 16:30 |
|---|---|---|---|---|
| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
| 5110 | ვინ დაიწყებს თამაშს | 1.90 | | 1.90 |
| 5111 | 1 აუტი | 1.90 | | 1.90 |
| 5112 | 1 კუთხური | 1.75 | | 1.75 |
| 5113 | 1 შეცვლა | 1.80 | | 1.80 |
| 5114 | 1 გოლი | 1.75 | | 1.75 |
| 5115 | 1 გაფრთხილება | 1.75 | | 1.75 |
| 5116 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკლ.- 1.80 | ზუსტად 11- 3.50 | 12და მეტი- 2.00 |
| 5117 | ბარათების რაოდენობა | 3და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 4- 3.00 | 5და მეტი- 1.90 |
| 5118 | რომელ წუთზე გავა 1 გოლი | (1-30)- 1.80 | | (31-90)- 1.70 |
| 5119 | გოლების რაოდენობა * | (0-1) 2.80 | (2-3) 1.80 | (4-6) 3.00 |
| 5120 | ვინ გაიტანს * | ორივე 1.65 | | ერთ-ერთი 1.85 |

| ჯგუფური ცოცხალი | | | | 11:30 |
|---|---|---|---|---|
| 5125 | კუთხურები 3 თამაშში | 29და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 0- 0.00 | 31და მეტი- 1.90 |
| 5126 | ბარათები 3 თამაშში | 11და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 0- 0.00 | 13და მეტი- 1.90 |
| 5127 | გოლები 3 თამაშში | 7და ნაკლ.- 1.75 | ზუსტად 0- 0.00 | 8და მეტი- 1.75 |

## ვინ რამდენ გოლს გაიტანს ჩემპიონატში (ძირითად დროში)

| | | | | შედეგი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 1 | | 2 |
| 710 | 04.06.2002 | 10:30 | კოსტა რიკა | 1.80 | 4.5 | 1.70 |
| 711 | 04.06.2002 | 10:30 | ჩინეთი | 1.80 | 2.5 | 1.70 |
| 712 | 05.06.2002 | 13:00 | პორტუგალია | 1.80 | 8.5 | 1.70 |
| 713 | 04.06.2002 | 15:30 | პოლონეთი | 1.80 | 5.5 | 1.70 |
| 714 | 04.06.2002 | 15:30 | კორეა | 1.80 | 4.5 | 1.70 |
| 715 | 05.06.2002 | 13:00 | ა.შ.შ. | 1.80 | 3.5 | 1.70 |
| 728 | 05.02.2002 | 11:30 | რუსეთი | 1.80 | 5.5 | 1.70 |
| 729 | 06/04/2002 | 14:00 | იაპონია | 1.80 | 5.5 | 1.70 |
| 730 | 06/04/2002 | 14:00 | ბელგია | 1.80 | 5.5 | 1.70 |
| 731 | 06/05/2002 | 11:30 | ტუნისი | 1.85 | 2.5 | 1.65 |

**გადაბმა შეიძლება მხოლოდ ერთმანეთთან!!!**

## გიორგი ნემსაძე: „მსაჯები ზედმეტად აქტიურობენ"



ჩემპიონატი ძალიან მომწონს. ასეთ კარგ დასაწყისს არც ველოდი. რამდენიმე პოტენციური ფავორიტი უკვე ვნახეთ. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს სამხრეთ ამერიკის გუნდებმა. არგენტინამ პირველი მატჩი საკმაოდ ძლიერ ნიგერიის გუნდს მინიმალური სხვაობით, მაგრამ მაინც დამაჯერებლად მოუგო. აღსანიშნავია ბრაზილიის ნაკრების სწრაფი, ტექნიკური, შემტევი, აგრესიული თამაში. სქოლარის გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. თუმცა, კვლავ შეინიშნება ბრაზილიელთათვის დამახასიათებელი "სენი": ბურთის ზედმეტი "წვალება" და ჟონგლიორობა მაშინ, როდესაც შეიძლება, უფრო მარტივად, მაგრამ შედეგიანად თამაში. ეს ბრაზილიელთა ხასიათში ზის და, ალბათ, ყოველთვის ასე იქნება. სხვა მხრივ, სამხრეთამერიკელებს სერიოზული პრობლემა არა აქვთ.

განსაკუთრებული თემაა მსოფლიოს ჩემპიონატის მსაჯობა. ბევრი, შედარებით გამოუცდელი არბიტრი, ზედმეტად ფრთხილობს და ზოგჯერ თამაშს აფუჭებს კიდეც. თანამედროვე ფეხბურთი სწრაფია, დინამიკური. თამაშის წამდაუწუმ შეჩერება ანერვიულებს გულშემატკივარსაც და ფეხბურთელებსაც.

კარგი ფეხბურთის თამაში საქართველოს ნაკრებსაც შეუძლია. მე თვალყურს ვადევნებ ჩვენი მომავალი მეტოქის - ირლანდიის ნაკრების თამაშს. კამერუნელებთან ფრედ დამთავრებული შეხვედრის შემდეგ ვთვლი, რომ შეგვიძლია ირლანდიელებთან წარმატების მოპოვება. მით უმეტეს, რომ გუნდს პრობლემები აქვს - მაკარტისა და კინის კონფლიქტი, შესაძლოა, ამ უკანასკნელის გუნდიდან წასვლით დასრულდეს. კინი კი, არა მარტო ირლანდიის, ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცველად მიმაჩნია. ჩვენი მხრიდან საჭიროა თამაშის სწორი ორგანიზება და თავდადება მოედანზე. თანამედროვე ფეხბურთში სწრაფი აზროვნების გარეშე ერთ თამაშსაც ვერ მოიგებ. ფეხბურთის თამაში "არასაფეხბურთო" ქვეყნების გუნდებმაც კი ისწავლეს. და კიდევ ერთი რამ, თანამედროვე, ნაკითხი მწვრთნელია საჭირო. თუ ეს ყოველივე შესრულდა, საქართველოს ნაკრებს ნებისმიერი მეტოქის დამარცხება სეუძლია.

მე შოტლანდიის "დანდიში" ვრჩები. ამ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს. არის სხვა წინადადებებიც, მაგრამ ჯერჯერობით არ დავაკონკრეტებ. შოტლანდიაში თამაში სასიამოვნოც არის და რთულიც.

## მიხეილ ყაველაშვილი: „ფავორიტის დასახელება ჯერ შეუძლებელია"

მსოფლიოს ჩემპიონატი ნორმალურად დაიწყო. სენსაციაც მოხდა. თუმცა, მთლიანობაში რომელიმე გუნდის ძალაზე საუბარი ნაადრევად მეჩვენება. სხვების ფონზე აღსანიშნავია არგენტინის ნაკრები, რომელმაც დალაგებული, სწრაფი ფეხბურთი ითამაშა. ჩემი აზრით, ჩემპიონატზე ოპტიმალური შემადგენლობა არ შეიკრიბა. საუდის არაბეთის მსგავს გუნდებს აქ არაფერი ესაქმებათ. დასანანია, რომ არ თამაშობს ჰოლანდიის ნაკრები. დარწმუნებული ვარ, არც ერთი ევროპული გუნდი, საუდის არაბეთის მსგავსად, თავს არ შეირცხვენდა. მეორე მხრივ, კარგია, რომ იზრდება ფეხბურთის გეოგრაფია - მრავალი ახალი გუნდი გამოჩნდა. განსაკუთრებით უნდა გამოვყო აფრიკის კონტინენტის ფეხბურთელები. ისინი დიდი ხანია კარგად თამაშობენ, ფიზიკურად ძლიერები არიან. ერთადერთი, რაც აკლიათ, სწრაფი, თანამედროვე ფეხბურთის შესაფერისი აზროვნებაა. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ამ მხრივაც დაიხვეწებიან და ახლო მომავალში საპრიზო ადგილებზეც გავლენ. მინდა, ბრაზილიისა და თურქეთის თამაშს შევეხო. ბრაზილიელებმა კარგად ითამაშეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს. მიმაჩნია, რომ მატჩის ბოლოს, პენალტის დანიშვნის დროს, მსაჯს შეცდომა მოუვიდა. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ - ბრაზილიამ დამსახურებულად მოიგო და ტურნირის ფავორიტად რჩება. განსაკუთრებით საინტერესო იქნება მეორე ტურის შეხვედრები. ბევრი გუნდი უკვე მძიმე მდგომარეობაშია, მათ შორის საფრანგეთის ნაკრებიც. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებს მომდევნო შეხვედრებში დიდი ბრძოლის გადატანა მოუწევთ. გერმანიის რეალური ძალა დღეს არავინ იცის. საუდის არაბეთზე უკვე ვისაუბრეთ - ამ გუნდის კარში გატანილი, თუნდაც რვა უპასუხო გოლი, არაფერს ნიშნავს.



# საბრალო სინიორ ტოდერო

## რას წერდა რუსული პრესა რობერტ სტურუას ახალი სპექტაკლის შესახებ

მალხაზ ხარბედია

მარტში, მოსკოვის თეატრ "სატირიკონში" რობერტ სტურუამ კარლო გოლდონის "სინიორ ტოდერო" დადგა, პიესა, რომელიც აქამდე არასოდეს აჟღერებულა რუსულ სცენაზე და არც მსოფლიო სცენაზე უნახავს იგი ვინმეს (ყოველ შემთხვევაში, 16 რეცენზენტიდან ვერც ერთმა ვერ გაიხსენა პიესის სხვა ინტერპრეტაციები). როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთში აღფრთოვანებით შეხვდნენ პრემიერას, თუმცა მსუბუქ ირონიასაც ვერ ასცდა ქართველი მაესტრო. ყველა რეცენზენტი ერთნაირი ხალისით ყვებოდა სპექტაკლის იდეის გაჩენის ისტორიას, რომელიც, თავის მხრივ, თითქოს სტურუამ მოუთხრო მათ: "წარმოიდგინეთ, ფლორენციაში ვარ, უფიცის გალერეასთან გრძელ რიგში ვდგავარ და უცებ რას ვხედავ, კოსტია რაიკინი... ისიც ჩემსავით ვენეციიდან ჩამოსულიყო, ჰოდა გოლდონი დავდგათ მეთქი, რომ ვუთხარი, მიპასუხა - კი ბატონო, დავდგათო... რა უნდა იყოს ამაზე კარგი!"

აი, ასე მარტივად, თქვეს და ქნეს კიდეც, თანაც როგორ! ყველა, ვინც კი სპექტაკლს გამოეხმაურა, ერთხმად აღნიშნავდა, XVIII საუკუნის ჩვეულებრივმა, ყოფითმა სიუჟეტმა (ამ პიესას თავად გოლდონის შემოქმედებაშიც კი მესამეხარისხოვანი ადგილი უკავია) სტურუასთან სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა და ღლაბუცისგან სერიოზული დრამა გამოვიდაო.

"სინიორ ტოდერო ბუზღუნა", ასე ჰქვია პირველწყაროს, რომელმაც სტურუასეულ ვერსიაში სახელი შეიცვალა ("სინიორ ტოდერო ბატონი") და მასთან ერთად შეიცვალა ყველაფერი ის, რაც ერთი შეხედვით უნდა ახასიათებდეს კლასიკურ იტალიურ კომედიას. როგორც ამბობენ, რეჟისორმა დრამატული ქვეტექსტი გააღრმავა და "ძუნწის" ტრადიციული სიუჟეტი მარტოობის, სიყვარულისა და სიკვდილის "უზენაესი საზრისით" დამუხტა. წარმოიდგინეთ, ძუნწი ბებრუხანა, რომელიც შაქარს უმალავს ოჯახის წევრებს, შვილს ფულს არ აძლევს და ოცნებობს, შვილიშვილი მსახურს მიათხოვოს, რათა მზითევი ოჯახში დარჩეს... და უცებ ასეთ ადამიანს თავს სიყვარული დაატყდება. დაატყდება, რადგანაც სწორედ ეს სიყვარული კლავს ამ ერთი შეხედვით უკვდავ, ასწლოვან პერსონაჟს.



ასეთი უცნაური ფინალის გამო ბევრს რატომღაც თომას მანის "სიკვდილი ვენეციაში" გაახსენდა (პიესის მოქმედებაც ხომ ვენეციაში ვითარდება, რომლის იდუმალებაც, როგორც ამბობენ, შესანიშნავად გადმოსცა გოგი ალექსი-მესხიშვილმა), უფრო მახვილგონიერმა კრიტიკოსებმა კი პიესას ხუმრობით "ეროსი და თანატოსიც" კი შეარქვეს. ბევრს ისეთი შტაბეჭდილება შეექმნა, თითქოს სცენაზე მხიარული გოლდონის კომედიას კი არა, XX საუკუნის პოეტი-სიმბოლისტის დრამას თამაშობდნენ და ზოგიერთს კომიკური სწორედ რეჟისორის მცდელობა მოეჩვენა, სიბრძნისა და მისტიციზმის მაქსიმუმი გამოეწურა ამ ქარაფშუტული პიესიდან.

პრესაში ასეთ შეფასებებსაც შეხვდებოდით: "სტურუა აქცენტებსა და ტონალობას ცვლის და გოლდონის ლამის შექსპირად ასაღებს. ფარსში ლირიკა გამოსჭვივის, რომელიც გია ყანჩელის ჯადოსნური ჰარმონიებითაა გახმოვანებული."

"სატირიკონში" გამართული პრემიერა აქტიური "ინტერპრეტატიული" რეჟისურის სანიმუშო შემთხვევად აღიარეს რეცენზენტებმა და აღნიშნეს, რომ სტურუამ, ყანჩელმა და მესხიშვილმა კომედია დელ არტეს თავისებური, ორიგინალური პარაფრაზა გააკეთეს. ყველა აღფრთოვანებული იყო რაიკინის ბრწყინვალე თამაშით, მაგრამ სტურუა ვერც აქ გადაურჩა ირონიას, მთავარ გმირს ხან რასპუტინს ადარებდნენ, ხან დაბერებულ, მომაკვდავ სტალინს, ხან კი შვილებისგან მიტოვებულ მოხუც ლირს.

ერთი სიტყვით, პრემიერა, როგორც მოსალოდნელი იყო, "მორიგ ტრიუმფად" შეფასდა და კარგი ნიადაგიც მოამზადა მოსკოვში რუსთაველის თეატრის გასტროლებისთვის.

ამ გასტროლების შესახებ ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომრებში მოგითხრობთ.

# ჯადოსნური ფლეიტა

## ქართველი გოლეადორები „ბოლეროს„ უსმენენ

ნინო სვანიძე

ანა კორძაია-სამადაშვილი

*დღევანდელი ქართველი ვარსკვლავებისაგან ფლეიტისტი დათო ოძელაშვილი, ანუ ოძელა – მრავალი ნიშნით გამოირჩევა: არის სიცოცხლით სავსე და სულ არ მიაჩნია, რომ პირქუშობა საზოგადოების თვალში წონას შემატებს; შექებაზე ადეკვატურად რეაგირებს და თუმცა დანამდვილებით იცის, რომ შესანიშნავად უკრავს, მოკრძალებული ადამიანია; არა აქვს შიში, რომ სხვისი წარმატება მის დიდებას დაჩრდილავს, არასოდეს ჭორაობს და გულწრფელი აღფრთოვანებით ყვება ხოლმე სხვა მუსიკოსების შესახებ. ოძელას საზოგადოდ უყვარს ადამიანები და ალბათ იშვიათად გადააწყდებით ვინმეს, დათოს რომ ერჩოდეს.*

ოძელა კორსიკიდან დაბრუნდა. გარუჯული, მოღიმარი და ბედნიერია. როგორც გვიამბო, იქ ბევრს უკრავდა და ცოტა ჩოგბურთს თამაშობდა. მოყვა, როგორ ცხოვრობდა ლათინოამერიკელ მუსიკოსთან ერთად და ვინაიდან გასასვლელში ფორტეპიანო იდგა, ყოველდღე უკრავდნენ ჯაზს. "დილით რომ გამოვდიოდი, ეგრევე ინსტრუმენტს ვაწყდებოდი, თითქოს დაკვრას ითხოვდა. ხან მე მივაწყდებოდი ხოლმე, ხან ის, გააჩნია, პირველი რომელი ადგებოდა. ამდენი ჯაზი ათასი წელი აღარ დამიკრავს."

დათოს კონსერვატორია აქვს დამთავრებული. მუსიკალური წრეები მიიჩნევდნენ, რომ დიდი მომავალი ელოდა. იმედები გამართლდა, ოღონდ ამჯერად დათო კლასიკურ მუსიკაზე ნაკლებად ლაპარაკობს. როგორ მოხდა, რომ კონკურსების ლაურეატი დათო ოძელაშვილი ახლა ღამის კლუბებში უკრავს და არა კონსერვატორიის დიდ დარბაზში?

კლუბ "იზიდაში" გამართული კონცერტი დათომ შემდეგი სიტყვებით გახსნა: "საღამო მშვიდობისა! ჩამოვედი. ძალიან მომენატრეთ." და დარბაზის რეაქცია ნათლად მეტყველებდა იმაზე, რომ ჩვენც მოგვენატრა ოძელა. "იზიდა" დუღდა და გადმოდუღდა – ოძელას დღე იყო.



დათო ოძელაშვილი

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ოძელას მუსიკოსობა ბედნიერებად მიაჩნია და სიხარულით ყვება, რომ მისი შვილებიც მუსიკალურები არიან. ოცნებებზე საუბრისას გაირკვა, რომ დათო სიამოვნებით დაუკრავდა ლიზა ჟერარდთან, პიტერ გებრიელთან და ნინო ჩინელოსთან ერთად, მაგრამ ბედს არ უჩივის და თავისი ჯგუფით კმაყოფილია: "ჩემები პროფესიონალები არიან, ძალიან მაგრები: ანდრო დგებუაძე, პაატა ანდრიაძე, ნოდარ ექვთიმიშვილი, გია ზაალიშვილი, მერაბ სანოძე..."

"იზიდას" აღმოსავლურ ატმოსფეროს მუსიკოსების და მსმენელების სამხრეთული ტემპერამენტი ერწყმოდა. მსმენელის ექსტაზმა კულმინაციას მაშინ მიაღწია, როდესაც მუსიკოსებმა "ბოლერო" შეასრულეს – ძალიან ქართული, ლამის ხევსურული ინტერპრეტაციით.

კონცერტის შემდეგ დისკოთეკა დაიწყო. თუმცა მუსიკას არაფერი ჰქონდა საერთო "იზიდას" აზიურ კონცეფციასთან, ხალხმა ფრიად გაიხარა და პატარა მოედანზე დიდი ცეკვა-თამაში ატყდა. ამ საერთო მხიარულებას გამორჩეულად არ ერწყმოდა ორი, ზუსტად ერთნაირი და ზუსტად ერთნაირად მოწყენილი სახე. არდადეგებზე სამშობლოში დაბრუნებული ტყუპი ძმები – შოთა და აჩი არველაძეები კლუბში ცოლების ხათრით მოსულებს უფრო გავდნენ. იქნებ "იზიდას" მჩქეფარე საღამოს, კორეასა და იაპონიის მძაფრი ემოციები ერჩივნათ...

ტყუპების (მიუხედავად თითოეულის დამოუკიდებელი წარმატებისა, არველაძეებს თბილისში მაინც ერთი საერთო სახელით მოიხსენებენ) მოწყენილობის მიზეზი კი ის აღმოჩნდა, რომ ორივეს ტრავმა აქვს. გულწრფელად გვითხრეს: "კორეაში წაუსვლელობის გამო მოწყენას ვერც კი ვბედავთ, ისე კი, არგენტინის გულშემატკივრები ვართ. რა ვიცით, იქნებ გულშემატკივრობის ნაცვლად ჩვენი ქვეყნის ღირსების დაცვასაც ვეღირსოთ როდესმე..."

ვინ იცის, მიიტანენ ოთხ წელიწადში ქართველი ფეხბურთელები მსოფლიო ჩემპიონატამდე ლელოს, თუ ისევ "ბოლეროს" დასჯერდებიან?!

## ბიძინა მაყაშვილის სვეტი

# სახელი

სახელის დიდ მნიშვნელობაზე მინდა მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა. ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ სფეროში, როგორიც როკია. აქ ხომ ახალი იდეები, გამომგონებლობა და ორიგინალობა ძალიან ფასობს.

ისევე, როგორც ბევრ სხვა რამეში, პირველობა აქაც "ბითლზს" ეკუთვნის. სიტყვაში ერთი ასოს მახვილგონივრული ცვლილებით ისინი ბიტ-მუსიკის შემსრულებელი ყველაზე პოპულარული ხოჭოები გახდნენ და დასაბამი დაუდეს როკ-ჯგუფებისთვის ტუტუცური სახელების შერჩევის ტრადიციას. თავს არ შეგაწყენთ ყველა მათგანზე საუბრით და მხოლოდ რამდენიმე მეტნაკლებად პოპულარული სახელის წარმოშობის ისტორიას შემოგთავაზებთ.

აი თუნდაც ავსტრალიელი როკერები AC/DC. ეს აბრევიატურა ჯგუფის წევრების მალკოლმ და აგნუს იანგების დამ შეამჩნია მტვერსასრუტზე და ნიშნავს ცვლად/მუდმივ დენს. დონ ვან ვლაიეტმა, რომელიც მუსიკალური სამყაროსათვის Captain Beefheart-ის (ხარისგულა კაპიტანი) სახელით არის ცნობილი, თავისი შემოქმედებითი ფსევდონიმი ბიძამისისგან ისესხა: ასე ეძახდა მოხუცი, როგორც ამბობენ, თავის შთამბეჭდავი ზომის ასოს. თუ ელვის კოსტელოც ვერ გაექცა ახლო წინაპრების ხსოვნას (ელვისი ცხადია პრესლია, ხოლო კოსტელო – დედამისის ქალიშვილობის გვარი), Pearl Jam-ის ედი ვედერმა ჯგუფის სახელში ბებიამისის – პერლის გადასარევი მურაბები უკვდავჰყო. უფრო შორს წავიდა მობი, რომელმაც სახელი შორეული წინაპრის, ამერიკელი კლასიკოსის ჰერმან მელვილის რომანის გმირის – მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ვეშაპის მობი დიკის პატივსაცემად დაირქვა. რადგან ლიტერატურას შევეხეთ, გვერდს ვერ ავუვლით ტომ ჯონსს, რომელმაც სახელი ჰენრი ფილდინგის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით დაირქვა. მუსიკოსებს შორის პოპულარული უნდა იყოს ენტონი ბერჯესის რომანი "მექანიკური ფორთოხალი" – აქედან აიღეს თავიანთი სახელები ჯგუფებმა Moloko და Heaven 17. Doors-მა თავისი სახელი "კარები", ჰაქსლის "აღქმის კარიბჭიდან" აიღო, რომელიც, თავის მხრივ, უილიამ ბლეიკისგან არის ნასესხები, ხოლო The Fall – კამიუს რომან "დაცემას" დაესესხა. Velvet Underground ამავე სახელწოდების სადო-მაზოხისტური რომანიდან გაჩნდა. რაც შეეხება ჯგუფებს Steely Dan და Stone Roses, მათ სახელები მიითვისეს შესაბამისად უილიამ ბეროუზის "შიშველი სადილისა" და 50-იანი წლების ავტორის სერა გეინჰემის ჯაშუშური რომანისგან.

ფილმებით შთაგონებული მუსიკოსები ჩვენ შემთხვევაში ვიმ ვენდერსის "პარიზი, ტეხასით" შემოიფარგლნენ; აქედან გაჩნდა ჯგუფების Travis-ის და Texas-ის სახელები.

როკერებმა არც საკულტო ფიგურები დატოვეს უყურადღებოდ. მერლინ მენსონი მერილინ მონროსა და ჰიპი-მანიაკი მკვლელის, ჩარლზ მენსონის კომბინაციაა. ჯგუფმა Delgados სახელი ტურ-დე-ფრანსის არაერთგზის გამარჯვებულის – დელგადოს საპატივცემულოდ დაირქვა.

ახლა კი, სანამ ქართულ ჯგუფებზე გადავიდოდეთ, ორიოდე მართლაც ორიგინალური სახელი – Jethro Tull – ჯეთრო თალი მე-17 საუკუნის ინგლისში სოფლის მეურნეობაში მოღვაწეობდა. Iron Maiden (რკინის ქალწული) – შუასაუკუნეების დროინდელი წამების იარაღია. Jamiroquai – ამერიკელი ინდიელების ტომის, იროკეზების საპატივცემულოდ გაჩნდა. Joy Division (გართობის დივიზია) – ასე ერქვა მეძავების ბარაკებს ნაცისტურ ბანაკებში. სტინგს (ნესტარი) მეტსახელი იმის გამო შეარქვეს, რომ რეპეტიციებზე ფუტკარივით ზოლიან ხალათში დადიოდა. Everything But The Girl – მაღაზიის სახელია სტუდენტებითვის, სადაც რეკლამის თანახმად ყველაფრის შეძენა შეიძლება ქალების გარდა. 10cc – ეს სულ ოდნავ მეტია სპერმის იმ მოცულობაზე, რომელსაც მამაკაცი გამოყოფს ეაკულაციის დროს.

საქართველოში საქმე უფრო მარტივად არის. მაგალითად, 33ა ჯგუფის წევრების ბინის მისამართია ფალიაშვილის ქუჩაზე. "მწვანე ოთახი" აჩიკო გულედანის ბინაში მის ოთახს ჰქვია. Soft Eject ჯგუფის ლეგენდის მიხედვით – ჯგუფის წევრმა ვახო ბაბუნაშვილმა დილით რომ გაიღვიძა, პირველი, რასაც თვალი მოჰკრა, იყო მაგნიტოფონი ღილაკით "რბილი ამოვარდნა". 69 – ეს სექსუალური პოზა არ გეგონოთ, ეს 1969 წელს შემდგარი ვუდსტოკის ფესტივალის პატივისცემაა. ბაჩი ქიტიაშვილმა "ბერმუხა" ვაჟასგან აიღო განსხვავებით ვალერი კოჩაროვისგან, რომელმაც ჯგუფის სახელი Bleats ("ბლიცი") "ბითლზ"-თან მიმსგავსებული ჟღერადობის გამო აირჩია.

ამდენი ფსევდონიმების მოხსენიების შემდეგ ცდუნებას მეც ვერ ვძლიე და სვეტის ავტორის სახელი "ბითლზ"-ის სიმღერიდან ავიღე.

*Paperback Writer*



# კიბოს გაჩენა კოსმეტიკურ საშუალებებსაც შეუძლია

## საქართველოში „მავნე„ პარფიუმერიას ვერ ასახელებენ

მაკა ჭაიანი

*ევროპელი ექსპერტები აქტიურად მსჯელობენ იმაზე, რომ შესაძლებელია, შვედი მეცნიერების მიერ კარტოფილის ჩიფსებსა და სახამებლის შემცველ სხვა პროდუქტებში აღმოჩენილი კანცეროგენული ნივთიერება, პოლიაქრილამიდის პოლიმერი, შამპუნებსა და ტანის ლოსიონებშიც შედიოდეს. ამის შესახებ ინფორმაცია უკვე გაავრცელა გაზეთმა "Frankfurter Rundschau"-მ. ამგვარი ვარაუდის საფუძველს მეცნიერებს პოლიაქრილამიდის პოლიმერის თვისებები აძლევს. ეს ნივთიერება მოქმედებს, როგორც ანტისეპტიკი, ხელს უწყობს ქაფის წარმოშობას და მასტაბილიზებლადაც გამოიყენება.*

მეცნიერების განცხადებით, საშიშროებას არ ამცირებს ის, რომ შამპუნები და ტანის ლოსიონები პარფიუმერული საშუალებებია და ორგანიზმში საყლაპავის გავლით არ ხვდება. პრობლემები აქრილამიდთან ადამიანის ერთი შეხებითაც წარმოიქმნება, რადგან კანი ამ ნივთიერებას ადვილად შეიწოვს. აქრილამიდის შემადგენლობა არაერთხელ გამხდარა ევროკომისიის მსჯელობის საგანი. ევროპელი ექსპერტების აზრით, პოლიაქრილამიდის პოლიმერის შემცველი კოსმეტიკური საშუალებების ხანგრძლივი გამოყენება კიბოთი დაავადების ალბათობას მნიშვნელოვნად ზრდის.

მეცნიერები მოითხოვენ, მინიმუმამდე შემცირდეს კოსმეტიკურ საშუალებებში ამ ნივთიერების გამოყენება. ამ მოთხოვნას იზიარებს ბელგიის მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და ვეტერინარიის ფედერალური ინსტიტუტის კოსმეტიკურ საშუალებათა კომისიაც. ევროკომისიის ამ დასკვნას არ ეთანხმებიან მხოლოდ მწარმოებლები, აცხადებენ, რომ იგი მეცნიერულად არ დასტურდება. მიუხედავად ამისა, ევროკომისიამ უკვე მიიღო დირექტივა, რომელიც ითვალისწინებს კოსმეტიკაში პოლიაქრილამიდის პოლიმერის მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის განსაზღვრას.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, უხარისხო კოსმეტიკური საშუალებები და ტანის ლოსიონები საქართველოშიც შემოდის. 1999 წლის ჩათვლით, მათზე ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოობის დამადასტურებებელი ჰიგიენური სერტიფიკატის გაცემა სანიტარიული ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახურს ევალებოდა. 2000 წლიდან ამ საქმიანობას ეწევიან საქსტანდარტის მიერ აკრედიტირებული ლაბორატორიები. საქართველოში რამდენიმე ასეთი ლაბორატორია მოქმედებს, თუმცა პოლიაქრილამიდის პოლიმერის შემცველობაზე კოსმეტიკური საშუალებების ანალიზს არც ერთი მათგანი არ აკეთებს.



ბესიკ გულაშვილის ფოტო

**"მოქმედი სტანდარტი ასეთ შემოწმებას ჩვენ არ გვავალდებულებს. სასერტიფიკაციო ლაბორატორიები ლოსიონებში სპირტის, მჟავიანობის, შამპუნებში კი წყლის, ქაფიანობის რიცხვსა და მდგრადობას ამოწმებენ,"** - ამბობს ლაბორატორია "ნანო"-ს ქიმიკოსი მზია ბეგიაშვილი. საქართველოში ჯერ ისევ საბჭოური სტანდარტები მოქმედებს, სტანდარტები, რომლისთვისაც პოლიაქრილამიდის პოლიმერი "უცხო ხილია". საინტერესოა, რომ ლაბორატორიებში არ იცნობდნენ ევროკომისიის ზემოთ ნახსენებ დასკვნას. მის შესახებ წარმოდგენა არც საქსტანდარტის შესაბამის განყოფილებაში ჰქონდათ.

მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ პარფიუმერია და კოსმეტიკური საშუალებები საზღვრებს იქიდან არალეგალურადაც შემოდის. საქსტანდარტის პარფიუმერიასა და კოსმეტიკურ საშუალებებზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსის, ავთანდილ ნადირაძის, განცხადებით, მარტო მარტის თვეში საქართველოში 400-მდე არასერტიფიცირებული პროდუქციაა ამოღებული, მათ შორის პარფიუმერიაც. ჩვენი მაკონტროლებლების სტილიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ, რეალურად, ასეთთა რიცხვი გაცილებით მეტია.

ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ საქართველოს ისედაც პრობლემებით დატვირთულ მოსახლეობას კიდევ ერთი პრობლემა უჩნდება. იგი აქამდეც არსებობდა, მაგრამ მის შესახებ კრინტს არავინ ძრავდა. მოიცლიან თუ არა ამის შემდეგ ხალხისთვის ჩვენი ჯანმრთელობის დამცველები, ძნელი სათქმელია. მით უმეტეს, რომ საქსტანდარტსა და სახელმწიფო სანიტარიის სამსახურს წინ ახალი ომი ელოდებათ სფეროების გადასანაწილებლად. ეს უკანასკნელი ამზადებს კანონპროექტს, რომელიც მისთვის პროდუქციის სერტიფიცირების უფლების აღდგენას ითვალისწინებს.

# გველების სეზონი დაიწყო

## თბილისში ქვეწარმავლები კვლავ სეირნობენ

თამარ მაისურაძე

*ჰაერის ტემპერატურის მომატებასთან ერთად, საქართველოში ქვეწარმავლების პრობლემაც აქტუალური ხდება. გასულ წელს თუ გავიხსენებთ, თბილისი ამ დროს პანიკას ჰყავდა მოცული და არცთუ უსაფუძვლოდ - მოსახლეობას, ფაქტობრივად, საკუთარი ხელით, სხვადასხვა ხერხით უწევდა ქვეწარმავლებისგან თავის დაცვა. რა იქნება წელს, არავინ იცის, მით უმეტეს, რომ იმ სამსახურის დადგენა, რომელსაც ამ საკითხის გაკონტროლება ევალება, ჩვენც ძლივს, დიდი მონდომების შედეგად მოვახერხეთ.*

ვეტერინარიის დეპარტამენტში ამ საკითხთან დაკავშირებით არაფერი იცოდნენ. **"ჩვენ არ გვეხება, ეგღა გვაკლია, გველებს ვზდიოთო,"**- გვითხრა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, შოთა ქოჩიაშვილმა და გვირჩია, ქალაქის კეთილმოწყობის სამმართველოს მიმართეთო.

თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამმართველოს ექსპედიციის განყოფილების ხელმძღვანელის, კარლო ჩოთირიძის თქმით, ქვეწარმავლებისგან მოსახლეობის დაცვისა თუ სიტუაციის გაკონტროლების შესახებ მთავრობის მიერ მიღებული არანაირი დადგენილება, არანაირი იურიდიული აქტი არ არსებობს, ამის თაობაზე თათბირებზეც კი არ თქმულაო და ქალაქის სანიტარიულ სამსახურში "გაგვაგზავნეს".

სანიტარიული სამსახურის ხელმძღვანელის ჯულული ახვლედიანისგან მხოლოდ ის გავიგეთ, რომ შარშან ქვეწარმავლების წინააღმდეგ გასატარებელ პროგრამას ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახური ახორციელებდა. ჯულული ახვლედიანის ინფორმაცია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ნიკა აბსანძემაც დაგვიდასტურა. **"ეს არის სეზონური პროგრამა, რომელიც ორ ნაწილად იყოფა. პირველი ქვეწარმავლისგან დაკბენილი ადამიანების შრატით უზრუნველყოფას გულისხმობს, მეორე კი - მოსახლეობისგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სპეცჯგუფების მიერ ქვეწარმავლების წინააღმდეგ ჩატარებულ სამუშაოების განხორციელებას,"** - აცხადებს აბსანძე.

სეზონის დაწყების მიუხედავად, ქვეწარმავლების საწინააღმდეგო სამუშაოები დედაქალაქში ჯერ არ დაწყებულა. ნიკა აბსანძე გვაიმედებს, რომ ამ პრობლემას უახლოეს მომავალში გადაწყვეტენ. მოსახლეობისათვის გამოაცხადებენ საჭირო ტელეფონების ნომრებს, თუმცა რომელს, ჯერ-ჯერობით არ იციან.

სპეც-ჯგუფებისთვის ქალაქის ბიუჯეტიდან 10 ათასი ლარია გამოყოფილი. აბსანძის განცხადებით, შარშანდელი და შარშანწინდელი სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით, ეს სავსებით საკმარისია. მოსახლეობის ასაცრელი შრატით უზრუნველყოფა ცალკე, ქალაქის ჯანდაცვის ბიუჯეტში ზის. ამდენად, ამ შემთხვევაში ფინანსური პრობლემები უკანა პლანზეა გადასული. ქვეწარმავლებმა, რომლებიც ქალაქის ქუჩებში უკვე გამოჩნდნენ, ამ ყველაფრის შესახებ, ეტყობა, არაფერი იციან და თავისუფლად სეირნობენ. რამდენიმე დღის წინ, დიდუბეში, სამტრედიის ქუჩის ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის მცხოვრებლებმა ლიფტში ქვეწარმავალი აღმოაჩინეს.

# ჭორი და სინამდვილე ქათმის ბარკლებზე

ქეთი ქადაგიშვილი

*თბილისში შემოტანილი ქათმის ბარკლების მავნებლობის შესახებ მოსახლეობაში ხელახლა გავრცელდა ხმები. ვითარების გასარკვევად რამდენიმე პასუხისმგებელ უწყებას დავუკავშირდით და აღმოჩნდა, რომ ჭორი მთლად უსაფუძვლო არ ყოფილა.*

როგორც ვეტერინარიის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, დავით ჭიჭინაძემ გვითხრა, ქათმის ბარკლები საზღვარზე შემოტანის დროსაც და მას შემდეგაც მოწმდება. ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშ პროდუქტზე დეპარტამენტი ლიცენზიას არ გასცემს. საბაჟო დეპარტამენტის მონაცემებით, წლეულს, საქართველოში ბულგარეთიდან, ბრაზილიიდან, არაბეთიდან, ამერიკიდან და რუმინეთიდან 2 მილიონ 583.759 დოლარის ღირებულების 5 მილიონ 147.810 კგ ქათმის ბარკალი შემოვიდა. დავით ჭიჭინაძე მთელი პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ლიცენზირებული ქათმის ბარკლები ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშ ნივთიერებებს არ შეიცავს, თუმცა, გარკვეულ გართულებებს მაინც იწვევს. ბარკლებში დიდი რაოდენობით ქოლესტერინი გროვდება, რაც გასუქებას უწყობს ხელს და ჭარბი წონის ადამიანებისთვის მისი მირთმევა არ არის სასურველი. რაც შეეხება პროდუქტის შენახვის პირობებს, ვეტერინარიული დეპარტამენტი აცხადებს, რომ ქათმის ბარკლები შემოტანისას საყინულეშია ჩაწყობილი, სავაჭრო დახლებზეც გაყინული გადააქვთ და მოვაჭრეები პროდუქტს გალღობამდე ასაღებენ.

სავაჭროდ გამოტანილი პროდუქტის შემოწმება კი სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის მთავარ სამმართველოს ევალება. სამმართველოს უფროსის, ავთანდილ ნადირაძის, თქმით, ლეგალური გზით შემოტანილი ქათმის ბარკლები საშიში არ არის, თუმცა, მის გვერდით ხშირად იყიდება არალეგალურად შემოტანილი ბარკლებიც, რომლის ხარისხზეც სამმართველო პასუხს არ აგებს. **"მოსახლეობას მოვუწოდებთ, რომ ქათმის ბარკლების შეძენისას გამყიდველს ლიცენზია მოსთხოვოს, რათა ჯანმრთელობა საფრთხეში არ ჩაიგდოს",** – გვითხრა ავთანდილ ნადირაძემ.

ჰიგიენის ინსტიტუტში, მაკონტროლებელი უწყებებისგან განსხვავებით, ქოლესტერინის ჭარბ რაოდენობას ადამიანის ჯანმრთელობისთვის უფრო საზიანოდ მიიჩნევენ. თურმე, ჭარბი ქოლესტერინი, სიმსუქნის გარდა, სისხლის მიმოქცევასაც ზღუდავს, რის გამოც ადამიანი შეიძლება ათეროსკლეროზით დაავადდეს.

## ინფორმაცია

### გადავრჩით!

ქალაქის სასწრაფო დახმარების სადგურები, მოახლოებული არჩევნების გამო, გაძლიერებულ რეჟიმზე იყო გადაყვანილი. თბილისის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა, დავით პავლიაშვილმა ამასთან დაკავშირებით, სპეციალური ბრძანება გასცა. **"შეიძლება, კვირას ვინმეს გული შეუწუხდეს ან ცუდად გახდეს და მაქსიმალურად უნდა ვიყოთ მზად, ყველა ბრიგადა მობილიზებული გყავდეთ,"** - დაარიგა პავლიაშვილმა "03"-ის შეფი დავით გველესიანი. საბედნიეროდ, სასწრაფო დახმარების სამსახურისთვის ეს კვირადღე განსაკუთრებული არ ყოფილა. "03"-ის ცვლის უფროსის, ირინე კუხალეიშვილის ინფორმაციით, არჩევნების დღეს სამსახურის 20 მანქანა და სასწრაფო დახმარების 30 ბრიგადა ჩვეულებრივ მუშაობდა. დღე-ღამის განმავლობაში, "03"-ში დაახლოებით 140 ზარი შევიდა.

*თამარ მაისურაძე*

### აგვისტომდე მოითმინეთ

(მედია-ნიუსი) დღის საათებში თბილისის ზოგიერთ რაიონში წყლის ნაკადი მცირდება და ზედა სართულებამდე ვერ აღწევს. „თბილწყალკანალის“ წარმოების დირექტორი შოთა ტრაპაიძე აცხადებს, რომ ეს გარეგამანაწილებელ ქსელებში ტექნიკური პრობლემების არსებობის, შიდასაბინაო ქსელების მოუწესრიგებლობის, სათავო ნაგებობებში ელექტროენერგიის გამორთვისა და სხვა მიზეზების ბრალია. მსოფლიო ბანკის ექსპერტთა შეფასებით, „თბილწყალკანალის“ სისტემების რეაბილიტაციისთვის დაახლოებით 600 მილიონი დოლარია საჭირო. ტრაპაიძის აზრით, საწარმოს იჯარით გაცემა პრობლემას მოაგვარებს. ტენდერი „თბილწყალკანალის“ იჯარით გასაცემად აგვისტოში ჩატარდება. მასში მონაწილეობის სურვილი უკვე შვიდმა უცხოურმა კომპანიამ გამოხატა.

### ლისის ტბა ისევ საშიშია

(მედია-ნიუსი) დედაქალაქის სანიტარიული მდგომარეობა სტაბილურია, - აცხადებენ თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურში, - ნორმას შეესაბამება როგორც სასმელი, ისე წყალსაცავების წყლის ხარისხი. ერთადერთი წყალსაცავი, რომელშიც წყლის დონე დაბალია და ამის გამო იქ მავნე მიკროორგანიზმების რაოდენობა გაიზარდა, ლისის ტბაა. მისი სარეაბილიტაციო სამუშაოები შარშან, ნოემბერში, დაიწყო. ნუცუბიძის პლატოს მე-4 მიკრორაიონიდან ლისის ტბამდე დამონტაჟდა წყალსაქაჩი სადგური. ახლა ტბა მიწისქვეშა წყლებით ივსება, რაც წყლის დასუფთავებას და ხარისხის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. **"ლისის ტბაში წყლის დონემ უკვე 3-ჯერ მოიმატა, მაგრამ ბანაობა და დასვენება იქ მხოლოდ მომავალი წლის მაის-ივნისში გახდება შესაძლებელი",** – აცხადებს თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ჯულული ახვლედიანი.

### მიმდინარეობს 250-მდე სახლის აღდგენა

(მედია-ნიუსი) **"მიწისძვრის შედეგად დაზიანებული შენობების აღდგენა და დროებითი გამაგრება ამჟამად 250 ობიექტზე მიმდინარეობს",** — აცხადებენ თბილისის მერიის მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო შტაბში. მთაწმინდა-კრწანისის რაიონში ამაგრებენ სულხან-საბას ქუჩის №1 დან №9-მდე მდებარე შენობებს, პაოლო იაშვილის ქუჩის №15-ს, ბროსეს ქუჩის №4-ს, ლესელიძის I შესახვევის №10-ს. ამავე რაიონში დაზიანებულ კონსტრუქციებს ხსნიან და შენობებს დროებით ამაგრებენ 63 ობიექტზე.

მიმდინარეობს გლდან-ნაძალადევის რაიონის კომუნალური ფონდის შენობების აღდგენითი სამუშაოებიც. შესაბამისი სამსახურები მას ჩარგლის ქუჩის №26-ში და თემქის დასახლების მე-11 მიკრორაიონის რამდენიმე კორპუსში აწარმოებენ.

### თებერვლის პენსიების გაცემა მაისში დასრულდა

(მედია-ნიუსი) **"მაისის პირველ ნახევარში საპენსიო ფონდმა თებერვლის პენსიების სრულად დაფინანსება დაასრულა",** — აცხადებენ საპენსიო ფონდში. ახლა მიმდინარეობს მარტის პენსიების დაფინანსება. ამ მიზნით ფონდიდან 14.330.560 ლარია გაცემული. მათ შორის: სადაზღვევო და სოციალური პენსიები, რეგრესული პენსიები, საოჯახო დახმარება და ძალოვანი სტრუქტურების პენსიები. აპრილისა და მაისის პენსიები მიიღეს თბილისელმა, ფოთელმა და დედაქალაქში განსახლებულმა დევნილმა პენსიონერებმა. აპრილის პენსიებისთვის ფონდიდან 50 ათასი ლარი ოზურგეთში გადაირიცხა, 1.115.000 ლარი - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში; 64.166 ლარი გაიცა რეგრესული პენსიებისთვის, 1.917.612 ლარი - ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერთათვის, 751.935 ლარი კი - საოჯახო დახმარებისთვის.

### მაშველები რადიაციულ წყაროებს ეძებენ

(მედია-ნიუსი) საგანგებო სიტუაციათა სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის მაშველები ამჟამად დოზიმეტრული ხელსაწყოს მართვის სწავლების კურსს გადიან, რომ სვანეთში სტრონციუმ-90-ის რადიაციული წყაროები მოიძიონ. მაღალტექნოლოგიური აპარატით მუშაობას მაშველებს მსოფლიოს ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს (მაგატე) ინსტრუქტორები ასწავლიან. სწავლება 8 ივნისს დასრულდება. შედეგად, 36 მაშველი, ოთხ უცხოელ ინსტრუქტორთან ერთად, საძიებო სამუშაოების ჩასატარებლად სვანეთში გაემგზავრება. რადიაციისა და ბირთვული უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის ლევან გოგუას ინფორმაციით, სტრონციუმ-90-ის შემცველი აკუმულატორები რიტ-8-12-ის რადიოხაზის ფუნქციონირებისთვის იყო საჭირო. სვანეთში ეს ხელსაწყო საბჭოთა პერიოდში ხუდონჰესის მშენებლობისთვის დაამონტაჟეს. ლევან გაგუას ინფორმაციით, ამჟამად მოლაპარაკება მიმდინარეობს აჭარის ხელისუფლებასთან, რათა სვანეთის მაღალმთიან რეგიონში 24 ივნისს კვლევითი სამუშაოების დამთავრების შემდეგ, უკონტროლოდ დარჩენილი რადიაციული წყაროების გამოსავლენად, საძიებო ექსპედიციამ აჭარის მაღალმთიან რაიონებში გადაინაცვლოს.

### ჩაირთო!

(მედია-ნიუსი) ათდღიანი ავარიის შემდეგ საქართველოს ენერგოსისტემა გამართული მუშაობის რეჟიმს უბრუნდება. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, რომ „საქრუსენერგომ“ მოახერხა 500-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის და, შესაბამისად, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ენერგოსისტემებს შორის კავშირის აღდგენა. ავარიის ლიკვიდაციის შემდეგ, ელექტროენერგიის იმპორტი შეწყდა სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. „იმერეთის“ გადამცემი ხაზი 22 მაისს, საღამოს დაზიანდა, ძვირფასი ლითონისგან გაძარცვის მცდელობისას, რის შედეგადაც მარტვილის რაიონში ორი ანძა წაიქცა.

### ბინები - მიწისძვრით დაზარალებულთათვის

(მედია-ნიუსი). "ბინების მეპატრონეებსა და დაზარალებულ მოქალაქეთა შორის ამ ბინების ყიდვა-გაყიდვის შესახებ შეთანხმება უკვე მიღწეულია და უახლოეს დღეებში პირველ 60 ოჯახს საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფენ", - აცხადებს მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო ფონდის გამგებელი ნოდარ ამაშუკელი. მისი ინფორმაციით, ფონდის ანგარიშზე დღეისთვის 1,6 მილიონამდე ლარი და 50 ათასი დოლარია ჩარიცხული. პირველ ეტაპზე დაგეგმილია 200-მდე ბინის შეძენა, თუმცა, ჯერჯერობით, ამ თანხიდან არც ერთი თეთრი არ დახარჯულა.

## ამბები

### ამერიკელები იარაღიჭამია მიკრობებს იგონებენ

კოდის გაშიფვრამ ახალი იარაღის გამოგონებას შეუწყო ხელი. ამერიკელი მეცნიერების ჯგუფი, არლინგტონის სამხედრო-საზღვაო კვლევითი ინსტიტუტიდან, გენომშეცვლილი მიკრობების გამოყვანაზე მუშაობს, რომლებიც მტრის ტექნიკას, საწვავს, სამოსელ-აღჭურვილობას გაანადგურებენ. მეომრების სიცოცხლეს კი არაფრით დაემუქრება. 20 წლის წინ აშშ-ის სამხედრო მრეწველობამ საპირისპირო დანიშნულების იარაღი – ე.წ. ნეიტრონული ბომბი შექმნა, რომელიც მხოლოდ ცოცხალ ძალას მუსრავდა.

ახალი მიკროორგანიზმები შეძლებენ სამხედრო მანქანების მეტალის, საღებავისა და საწვავ-საცხების, აგრეთვე გზებისა და აეროდრომების საფარის განადგურებას. მაგალითად, უკვე დაპატენტებულია მიკრობები, რომლებიც პოლიურეტანს სპობენ. ეს ნივთიერება კი, სამხედრო გემების საღებავის შემადგენლობაშია.

ახალი გამოკვლევები ე.წ. არამომაკვდინებელი შეირაღების შემუშავების დიდი პროგრამის ფარგლებში ხორციელდება. სწორედ, ამ პროგრამით ფინანსდება ვალიუმის შემცველი ქიმიური იარაღის გამოგონება. საბოლოო პრეპარატი ადამიანის ფსიქიკაზე იმოქმედებს და მას წინააღმდეგობის გაწევის უნარს დაუკარგავს. მართალია, ამერიკელებთან მჭიდროდ თანამშრომლობენ ბრიტანელები, მაგრამ ისინი ფრთხილობენ. ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებას ხომ 1991 წლის კონვენცია კრძალავს.

### კოლუმბის გვამს მისივე დნმ-ით მიაგნებენ

ქრისტეფორე კოლუმბს არც სიცოცხლეში მოუსვენია ერთ ადგილას და არც სიკვდილის მერე. ახალი კონტინენტის აღმომჩენის გვამმაც კი იმდენი იმოგზაურა, რომ ესპანელებს არ შეუძლიათ დაბეჯითებით თქვან, სევილიასა თუ სანტო-დომინგოშია მისი საფლავი.

"ნიუ-იორკ თაიმსის" ცნობით, ორმა ესპანელმა მეცნიერმა ჩამოაყალიბეს კვლევითი გუნდი, რომელიც დნმ-ის ანალიზის საფუძველზე გადაწყვეტს ამ ორი ქალაქის ადმინისტრაციების დაუსრულებელ დავას.

"ჩვენ გვყავს ორი კრისტობალ კოლონი, ან სამიც კი. მესამე - სევილიის ლა კარტუხას ეკლესიასთან არის დაკრძალული," – თქვა ისტორიის პროფესორმა, მარსიალ კასტრომ, რომელიც ანდალუსიის სახელმწიფო სკოლაში ასწავლის.

ნამდვილი პირველაღმომჩენის პოვნას უამრავი მეცნიერი ცდილობდა, მაგრამ კასტრო თავად აღმოჩნდა პირველი, ვინც გამოცნობის რეალური გზა შესთავაზა სხვებს. დანამდვილებით ცნობილია კოლუმბის კორდოველი სატრფოსა და მათი უკანონო ვაჟის – ერნანდოს განსასვენებელი.

სწორედ, ერნანდოს ნეშტი გაუგზავნა ისტორიკოსმა კასტრომ გენეტიკური იდენტიფიკაციის ლაბორატორიის დირექტორს ხოსე ანტონიო ლორენტეს, დნმ-ის შესადარებლად.

მაგრამ, ახლა უცნობია ესპანეთისა და დომინიკანური რესპუბლიკის მთავრობების დამოკიდებულება ამ პროექტისადმი. რაც მთავარია, არავინ იცის რომის პაპის განზრახვა: დართავს თუ არა იგი გვამის "გახსნის" ნებას? ისიც გაურკვეველია, ნებართვის შემთხვევაში, ვარგისი დნმ-ის საკმარის რაოდენობას მიაგნებენ თუ არა.

მარსიალ კასტროს ოპტიმისტური გათვლებით, შედეგები 2006 წლისთვის გახდება ცნობილი. მას კვლევაში ეხმარება ბიოლოგი კოლეგა-მასწავლებელი სერხიო ალგარადა.

### ჩანთოსანი მგელი უნდა აღადგინონ

დალი კუპრავა

კუნძულ ტასმანიაზე ცხოვრობდნენ ჩანთოსანი მგლები - ძაღლის მსგავსი, ზოლიანუკანალიანი არსებები. ინგლისელებმა ისინი ტასმანიურ ვეფხვებად მონათლეს. ჩამოსახლებულმა ევროპელმა ფერმერებმა მე-19 საუკუნეში ნადირობა გააჩაღეს მგლებზე, რომლებიც, თავის მხრივ, ცხვრებზე ნადირობდნენ. უკანასკნელი ჩანთოსანი მგელი 1936 წელს მოკვდა. ავსტრალიელმა მეცნიერებმა ამ ჯიშის რეანიმაცია გადაწყვიტეს და სენსაციურ შედეგს ელიან. მეცნიერებმა მგლის ლეკვის დასპირტული ეგზემპლარის დნმ-ით და ქრომოსომებით უნდა შექმნან კლონი.

# დღეს მხოლოდ სათაურები შელამაზდება



ახლა კი ისინი თემაზე ფიქრობენ

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

გიორგი გახელაძე

დღეს, დილით, როგორც ყოველთვის, გამოცხადდება მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში 6-საათიანი წერითი გამოცდის "თემები" მე-11 კლასელთათვის. საქართველოს 30 ათასამდე მოსწავლე სკოლის საფინიშო ზოლზე გავა. არც განათლების სამინისტროში, არც თბილისის სკოლებში სიახლეს არ ელიან: "კვლავ 3 თხზულება – ერთი მე-11 კლასის, ერთი მე-9-10 კლასების პროგრამიდან, ერთიც ე.წ. თავისუფალი თემა. კვლავ შეფასების 5-ბალიანი სისტემა, რომელიც არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში აღარ გამოიყენება. მხოლოდ სათაურებს ცვლიან, უფრო სწორად, ალამაზებენ", - გვითხრა 155-ე სკოლის პედაგოგმა მარიკა გელიაშვილმა.

განათლების ჩვენი თუ მსოფლიობანკელი მესვეურების მთელი ყურადღება ახლა მე-9 კლასელთა "ერთიანი სახელმწიფო გამოცდებისკენ" არის მიპყრობილი. სწორედ ამ თვალსაზრისით გამოიცდება სასკოლო რეფორმა. განახლებული გამოსაშვები გამოცდებიც 2 წლის შემდეგ მხოლოდ მათ ექნებათ. მანამდე კი... მანამდე მხოლოდ სათაურები შელამაზდება.

რუსეთშიც სწორედ გუშინ დაიწყო ერთიანი სახელმწიფო გამოსაშვები გამოცდების მარათონი. "თემები" ტელე-ლატარიით გათამაშდა. მთელი ნუსხა რამდენიმე კვირით ადრე მთელი ქვეყნის მოსწავლეებმა იცოდნენ. ერთიან საგამოცდო სისტემაში მხოლოდ მოსკოვის სკოლები არ ჩაერთო. ისინი 2004 წელს შეუერთდებიან უნიფიცირებულ საგამოცდო სქემას.

# ინტერნეტი ქალებისთვის

დალი კუპრავა

დღეს ინტერნეტი ასახავს საზოგადოებრივი შემეცნების ყველა სტერეოტიპს, მათ შორის გენდერულსაც.

რას სთავაზობს ინტერნეტი ქალებს?

იმას, რასაც ინფორმაციის სხვა საშუალებები: ელიტურ ჭორებს - ვის, ვინ, სად, რას, როგორ, რატომ... ინფორმაციას მაღაზიების შესახებ, კულინარულ რეცეპტებს და ყველაზე მთავარ რეცეპტებს: როგორ გაიარონ უმოკლესი გზა მამაკაცების გულისკენ; როგორ შეინარჩუნონ ახალგაზრდობა, როგორ ჩაიცვან, რომ არ დაეტყოთ ასაკი, როგორ მოახერხონ, რომ იყვნენ მუდამ თანამედროვე, საინტერესო, მიმზიდველი; როგორი სიყვარული იცოდნენ ადრე კაცებმა და როგორ დაუკარგეს მათ აღმაფრენა თანამედროვე ქალებმა... ერთი სიტყვით, ინტერნეტში ყველაფერია, თუ როგორ უნდა იცხოვრონ ქალებმა და რა ზომის და ფერის კოჭები უგორონ კაცებს.



მამუკა ტყეშელაშვილის ნახატი

ფემინისტი ან პროფემინისტური მიმართულების ქალებისთვისაც არსებობს ინტერნეტ - რესურსების კატალოგი "ინტერნეტი ქალებისთვის". კატალოგი განკუთვნილია ქალთა ორგანიზაციებისთვის, ჟურნალისტებისთვის, პოლიტიკოსებისა და, საერთოდ, ფართო აუდიტორიისთვის.

კატალოგი შედგება 14 განყოფილებისა და უფრო მეტი ქვეგანყოფილებისგან: ქალთა მოძრაობა, ქალის უფლებები - ადამიანის უფლებები, პოლიტიკა, სექსი, განათლება და სწავლება, ქალების ხელოვნება და კულტურა, ჯანმრთელობა და სხვა.

კატალოგის ყველა თემატურ განყოფილებაში განთავსებულია Web საიტების 911 ანოტაცია, რომლებშიც მითითებულია საიტის დასახელება და მისამართი, მოკლე ცნობა ინფორმაციის მოცულობის შესახებ, მითითებულია ენა და სხვა. გაითვალისწინეთ, რომ კაცის გულის მოსაგები ხრიკების შესახებ აქ ვერაფერს აღმოაჩენთ და ფრთხილად იყავით, მსოფლმხედველობა არ შეგეცვალოთ. http://www.owt.ru.

### ორი ინაუგურაცია ერთ დღესასწაულზე

თამარ ცირდავა

2 ივნისს, იტალიამ მონარქიის გაუქმება და რესპუბლიკის გამოცხადება იზეიმა. საქართველოში იტალიის საელჩომ სწორედ ამ დღესასწაულს მიუძღვნა იტალიური ენისა და კულტურის კათედრების ინაუგურაცია თბილისის ორ სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ, ენისა და კულტურის). მანამდე კი მათ კათედრებს ბიბლიოთეკები და აუდიო-ვიდეო აპარატურა გადასცეს.

როგორც ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის უნივერსიტეტში გახსნილი ახალი კათედრის წევრმა დარეჯან კიკოლიაშვილმა აღნიშნა, 4 წლის განმავლობაში მასწავლებელთა ენთუზიაზმზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი გაუმჯობესდა: ლექცია 15-წუთიანი საინფორმაციო ტელეპროგრამით იწყება. ახალი პროგრამების ათვისებას დაემატა სტუდენტების ინტენსიური 3-თვიანი პრაქტიკული კურსებიც პერუჯასა და სიენას უნივერსიტეტებში.

# ნაკვალევს უფულობა შლის

ნინო ბერძენიშვილი, ქუთაისი

*უნიკალური აღმოჩენა, რომლითაც ქართველი მეცნიერები ათეულობით წელია ამაყობენ, შესაძლოა, განადგურდეს*

სათაფლიის ნაკრძალში დაცული დინოზავრის ნაკვალევი ათი წლის შემდეგ აღარ იარსებებს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ქანების დაშლა სამოცდაათი წლის წინათ დაიწყო.

სათაფლიის მღვიმე 1922 წელს აღმოაჩინეს. 1933 წელს პეტრე ჭაბუკიანმა მიწის სქელი ფენის ქვეშ დინოზავრის პირველი ნაკვალევი იპოვა. შემდეგ, ნაფეხურები ნიადაგისგან გაათავისუფლეს. მოგვიანებით, ტემპერატურის ცვალებადობის შედეგად, ქვამ გამოფიტვა დაიწყო. ამ მიზეზით 250 ნაკვალევიდან დღემდე მხოლოდ 90-მა მოაღწია.

1984 წელს მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა ქანების შლის პროცესის შეჩერება სცადა. ამ მიზნით სწავლულებმა ნაფეხურები მიწის ქვეშ დაფლეს. არც ამან გაჭრა, რადგან ნიადაგი, რომლითაც ნაკვალევი დაფარეს, მჟავის შემცველი აღმოჩნდა. მალე, მეცნიერთა ამავე ჯგუფმა სათაფლიის ნაკრძალზე ბულდოზერების მეშვეობით მიწა გადააფხიკა ნაფეხურებს, რამაც ქვის ზედაპირი გაათხელა და გამოფიტვის პროცესი კიდევ უფრო დააჩქარა.

1998 წელს ნაკრძალის გადარჩენა მეორედ სცადეს. ერთ-ერთი არათასამთავრობო ორგანიზაციის თაოსნობით შეიქმნა "დინოზავრის ნაკვალევის გადამრჩენთა საინიციატივო ჯგუფი". მათ ნაფეხურების გარშემო ქვა გახვრიტეს, ნაკვალევს ბეტონის მთვარისებური რკალი შემოავლეს და მინით გადახურეს. რამდენიმე წლის შემდეგ ეს ხელოვნური საფარი ჩაიმსხვრა. დღეს დინოზავრის ნაკვალევი სრულიად დაუცველია. სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის დირექტორი თეიმურაზ ჩხეიძე აცხადებს: "ისეთი პროექტი უნდა შეიქმნას, რომელიც სამუდამოდ განსაზღვრავს დინოზავრის ნაკვალევის შენარჩუნებას. მის გადარჩენას პავილიონის დადგმა სჭირდება და იმ ბუნებრივი ტემპერატურისა და სინოტივის შენარჩუნება, რომელიც ქვის გაშიშვლებამდე ნიადაგში არსებობდა''.




გია გელაშვილის ნახატი

სათაფლიის ნაკრძალის ტერიტორიაზე აღმოჩენილი დინოზავრის ნაკვალევი მილიონ ორასი ათასი წლით თარიღდება. მას მსოფლიოში ანალოგი არა აქვს, რადგან აქ შენარჩუნებულია სხვადასხვა პერიოდისა და სახეობის გიგანტური რეპტილიების ნაკვალევი.

ასეთი ტიპის აღმოჩენები, საქართველოს გარდა, ავსტრალიაში, შვეიცარიასა და გერმანიაში არსებობს. შვეიცარიასა და გერმანიაში მათი მოვლა პრობლემას არ წარმოადგენს. რაც შეეხება ავსტრალიას, დინოზავრის ნაკვალევი იქაც დაუცველია და, რასაკვირველია, ამის მიზეზი უფულობა არ გახლავთ. უბრალოდ, ავსტრალიაში ნაფეხურები აღმოაჩინეს ისეთი მდინარის პირას, რომელსაც სეზონური წყალდიდობები ახასიათებს. ამიტომ ნაკვალევი რეგულარულად იტბორება.

სათაფლიის ნაკრძალი 350 ჰექტარს მოიცავს. ამ უზარმაზარი ტერიტორიის მოსავლელად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველთვიურად მხოლოდ 300 ლარი გამოიყოფა. ეს თანხა მომსახურე პერსონალის ხელფასით უზრუნველყოფას ხმარდება. ნეტავ, რამხელა "პერსონალს" ეყოფა ამდენი ფული? არადა, სათაფლია სასწრაფოდ საჭიროებს ყურადღებას. ნაკრძალის დირექტორი უკვე მერამდენედ იმეორებს: "ჩემი წერილი მუდმივად დევს კულტურისა და ბუნებრივი ძეგლების დაცვის დეპარტამენტში. შველას ვთხოვ ყველას, ვისაც დახმარება შეუძლია. ჯერჯერობით დადებითი პასუხი არავისგან მიგვილია''

სათაფლიის გადარჩენას სოლიდური თანხა სჭირდება. სიმბოლური დაფინანსების პირობებში კი, შესაძლოა, ეს უნიკალური აღმოჩენა, რომლითაც ქართველი მეცნიერები ათეულობით წელია ამაყობენ - განადგურდეს.

### რუსეთს მონიკაც ჰყავს, ჩვენ?

დალი კუპრავა

კალინინის ქალაქის საბჭოს დეპუტატმა კ-მ სარჩელი შეიტანა სასამართლოში დეპუტატ პ-ზე.

კ ცოლიანია, სამი შვილის მამა. პ-ც ქმარშვილიანია, თანაც, კ-ზე სამი წლით უფროსი. "მე მას გრძნობებში არ დავადანაშაულებდი, რომ არა ასეთი მკვეთრი სექსუალური თავდასხმები, რომლის გამოც ნერვული აშლილობა მეწყება. მე ვღელავ ჩემი ოჯახის და ამომრჩევლების გამო, რომელთაც ნდობა გამომიცხადეს და დეპუტატად ამირჩიეს," - მიმართავს კ სასამართლოს.

საარჩევნო კომისიის ოთახიდან გამოსული კ კაბინეტში შევიდა, კარადიდან ქურთუკი გამოიღო და, ის იყო, ჩაცმა დააპირა, რომ ოთახში პ შემოვარდა და დეპუტატს ეცა. თავდაპირველად მან იფიქრა, რომ ქალს უნდა დაერტყა, მაგრამ მერე გაახსენდა: ქალი ადრეც აშკარად კეკლუცობდა, არაერთხელ შეუმჩნევია მისი არაორაზროვანი მზერა და თავის მოწონების სურვილი. აქ კაცმა დეპუტატმა ძალა მოიკრიბა და როცა ქალი დეპუტატი მისკენ მკერდით მიიწევდა, დრო იხელთა და კარიდან კორიდორისკენ უბიძგა. კორიდორში მოძიძგილავე დეპუტატების წყვილი შენიშნეს და ქალმა, რეპუტაციის გადასარჩენად, იკივლა, მცემენო. დეპუტატი კ თვლის, რომ ეს იყო ქალის ბოლო შანსი, როგორმე დაემსახურებინა მისი ყურადღება. ჯერ კიდევ ამსტერდამში ერთად ყოფნისას, როცა დეპუტატები ცნობილ წითელი ფარნების ქუჩაზე სეირნობდნენ, კ-ს ქალისგან განსაკუთრებული სიმპათია უგრძვნია და მას შემდეგ მასთან პირისპირ დარჩენას ერიდებოდა.

"სასამართლოს ვთხოვ, დამიცვას ძალადობისგან და დასაჯოს დეპუტატი პ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით", - ამთავრებს კ სარჩელს.

## ქალები - ნიჭიერი მატყუარები

ედინბურგის უნივერსიტეტის მკვლევართა დასკვნით, ქალები საუბრის უფრო სრულყოფილ მანერას ფლობენ, ვიდრე მამაკაცები და მათზე უკეთაც იტყუებიან. აღმოჩნდა, რომ საუბრის დროს მამაკაცები ორჯერ უფრო ხშირად ჩერდებიან, ყოყმანობენ. ტყუილის თქმის დროს კი, ბუნებრივია, სიტყვებს შორის პაუზების რაოდენობა იზრდება. ეს უკვე აშკარად მიანიშნებს, რომ მამაკაცი იტყუება. ქალი კი ტყუილის თქმას ხანმოკლე პაუზითა და ყოყმანით ახერხებს.

ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სქესებს შორის ამ განსხვავების მიზეზი ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორებია. თუმცა, მეტყველებისა და ენის დეპარტამენტის წარმომადგენლის რობინ ლიქლის აზრით, ამის ცალსახად მტკიცება შეუძლებელია. საუბრის დროს პაუზების შევსებისას შორისდებულებს: "ჰმ", "ამ", "აჰ" ყველა ქვეყანაში იყენებენ. სიჩუმის შესავსებად ესპანელები "ემ" და "ესტეს" ხმარობენ, შვედები "ჰმმმ", იაპონელები კი - მთელ რიგ ასოთაწყობას, "ანოსა" და "ჯაას" ჩათვლით. ასე რომ, განურჩევლად სქესისა, უხერხული სიჩუმის გასაფანტავად, ეს შორისდებულები ყველა ქვეყანაში არსებობს და სოციალური ფაქტორები არაფერ შუაშია. მეცნიერები მამაკაცებსა და ქალებს შორის არსებულ ამ განსხვავებაზე ჯერაც მსჯელობენ.

## „ლორეალის" ავსტრალიელი ელჩი

ნატალი იმბრულია ჯერ ავსტრალიური ტელესერიალების ვარსკვლავი იყო, შემდეგ მომღერლის წარმატებული კარიერა შეითავსა და ბოლოს, "ლორეალის" წყალობით, მოდის სამყაროშიც გადაინაცვლა. ჟურნალ "ვოგის" ცნობით, იმბრულია კეტრინ დენევს, კლაუდია შიფერსა და მილა იოვოვიჩს შეუერთდა და "ლორეალის" ერთ-ერთი სახე გახდა. კომპანია ფინანსურ დეტალებს არ ამხელს. თუმცა, მაინც გახმაურდა ცნობა იმის შესახებ, რომ ნატალიმ თავისი სახე "ლორეალის" კანის მოვლისთვის განკუთვნილ კრემებსა და კოსმეტიკას 100 ათას ევროდ დაუკავშირა. "ლორეალს" იმბრულიაში ამ ფასის გადახდა უღირს. "გარეგნული სილამაზისა და პიროვნული ღირსებების გამო ნატალი იმბრულია "ლორეალის" შესანიშნავი ელჩი იქნება", - აცხადებს კომპანიის წარმომადგენელი.

კოსმეტიკური სამყაროს ელჩობის პარალელურად, იმბრულია ძველებურად მომღერლობს კიდეც. ამ კვირაში ის თავისი მეორე ალბომის *While Lilies Island*-ის პრომოუშენით არის დაკავებული. მალე მისი მონაწილეობით გამოვა ფილმიც, რომლის მხოლოდ სამუშაო სათაურია ცნობილი. ნატალი იმბრულიას პარტნიორობას გაუწევენ ჯონ მალკოვიჩი და როვან ატკინსონი. ეს ახალი ნამუშევარიც "ნოთინგ ჰილის" და "ბრიჯით ჯონსის დღიურის" შემქმნელებს ეკუთვნის.



«როიტერის» ფოტო

## ტერორისტებს ჩარტერულ გზასაც უქრიან

"ვაშინგტონ პოსტის" ცნობით, უსაფრთხოების გაძლიერებული ზომები თითქმის არ ეხებათ ჩარტერული რეისების მგზავრებს. სუსტი კონტროლის გამო, მათ ამერიკაში ნებისმიერი ნივთის, მათ შორის, იარაღის შეტანის უფლებაც აქვთ. მგზავრებს არც ჩხრეკის გამო შექმნილ გრძელ რიგებში დგომა უწევთ. ბუნებრივია, ამ მიზეზით, ჩარტერულ რეისებს სულ უფრო მეტი მგზავრი მიმართავს. ეს კი ამერიკელ კანონმდებელთა ნაწილის აღშფოთებას იწვევს. მათი აზრით, ჩარტერული რეისით გადაადგილება, მშვიდობიან მგზავრებთან ერთად, ტერორისტებსაც შეუძლიათ. ასეთი შინაარსის განცხადება ახლახან გამოძიების ფედერალურმა სააგენტომაც გაავრცელა. ასე რომ, ახალი ტერორისტული "სიურპრიზის" მოლოდინში, აშშ-ს მთავრობა აპირებს, ჩარტერული ტიპის ავიარეისების პრობლემაც მოაგვაროს.

## დასხივების თუ მუდმივი კავშირის სამყარო?

ბანგლადეშის მთავრობამ შემოიღო ახალი კანონი, რომელიც 16 წლამდე ბავშვებს მობილური ტელეფონების მოხმარებას უკრძალავს. ჯანდაცვის სამინისტროს განმარტებით, ეს სანქცია ბავშვების ჯანმრთელობის დაცვას ისახავს მიზნად – პატარების ორგანიზმს ელექტრომაგნიტური სხივების უარყოფით გავლენას აარიდებენ. ბუნებრივია, ბავშვებთან ერთად, გადაწყვეტილებას მობილური ტელეფონების კომპანიებიც აპროტესტებენ. მათი მტკიცებით, ბანგლადეშის მთავრობის გადაწყვეტილება არამეცნიერული და უსაფუძვლოა.

## შვეიცარია სამოთხე აღარ იქნება

"სიმდიდრის გადასახადი" – ასე დაარქვეს შვეიცარიელებმა ახალი ფორმის გადასახადს, რომელსაც "ექსკლუზიურად" მილიონერები გადაიხდიან. უფრო ზუსტად, ისინი, ვისი ქონებაც 1.5 მილიონ შვეიცარიულ ფრანკს (960 ათასი დოლარი) აღემატება. ჟენევის კანტონის ამომრჩევლებმა ეს გადაწყვეტილება სახალხო რეფერენდუმზე მიიღეს. ანალიტიკოსების აზრით, ახალი გადასახადი დაახლოებით 4500 მილიონერს შეეხება და კანტონის ბიუჯეტს ყოველწლიურად 250 მილიონი შვეიცარიული ფრანკით გაამდიდრებს.

ცნობისთვის: ჟენევის და ვაუდის კანტონები შვეიცარიაში მილიონერების საყვარელი საცხოვრებელი ადგილია. ეს რეგიონები სამოთხეა უცხოელი მდიდრებისთვისაც, რომლებიც სამშობლოდან სწორედ მაღალი გადასახადების გამო გარბიან. როგორც ჩანს, ახლახან შემოღებული "სიმდიდრის გადასახადი" მათ იდილიასაც დაარღვევს.

## იაპონური კროსვორდი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | 6 | 7 | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 6 | 6 | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | 3 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 4 | 6 | 8 | 10 | 12 | 2 | 2 | 16 | 16 | 17 | 17 | 18 | | | | | | | | | |
| | | | 4 | 3 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | 3 | 4 | 26 | 24 | 22 | 20 | 18 | 16 | 12 | 8 | 4 |
| | 1 | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 2 | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 3 | 9 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 11 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 13 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 15 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 17 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | 5 | 11 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | 5 | 11 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 19 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 18 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 18 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 17 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 2 | 17 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 16 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 14 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 2 | 13 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 11 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 10 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 8 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 7 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | 2 | 6 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | 2 | 6 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 3 | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 8 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

## დიპლომთა დიპლომი სტივენ სპილბერგს

33-წლიანი "არდადეგების" შემდეგ სტივენ სპილბერგმა კოლეჯის დიპლომი მოიპოვა. ოსკარის მფლობელ რეჟისორსა და პროდიუსერს ბაკალავრის წოდება კინოსა და ელექტრონულ ხელოვნებაში სხვა სტუდენტებთან ერთად გადასცეს. ლონგ ბიჩზე, კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოსაშვებ საღამოზე სპილბერგს კურსდამთავრებულის გრძელი მანტია ეცვა და ბაკალავრის ქუდი ეხურა. "**დიდი ხანია, ამ ჯილდოს მოპოვება მსურდა, რათა მშობლებისთვის მადლობა გადამეხადა, განათლების მიღებისა და კარიერის გაკეთების შანსი რომ მომცეს. ამ დიპლომის მიღებით მსურს, ჩემი ოჯახის ახალგაზრდა წევრებსაც დავანახო საუნივერსიტეტო განათლების მნიშვნელობა. იმედი მაქვს, ისინი ამას უფრო მალე მიაღწევენ, ვიდრე მე",** - ასეთი იყო კურსდამთავრებულ სპილბერგის სიტყვა. სანამ რეჟისორი დიპლომის მისაღებად სცენაზე ადიოდა, უნივერსიტეტის გუნდი "ინდიანა ჯონსიდან" მუსიკალურ ნაწყვეტს ასრულებდა, ფეხზე ამდგარი პუბლიკა კი ტაშს უკრავდა. შემდეგ ჭაღარა რეჟისორმა ოცდაათი წლით უმცროს თანაკურსელებთან ერთად სამახსოვრო ფოტოც გადაიღო.

სტივენ სპილბერგი კალიფორნიის უნივერსიტეტში 1965 წელს ჩაირიცხა, მაგრამ სწავლას სამ წელიწადში დაანება თავი. წარმატებული ჰოლივუდური კარიერის პარალელურად, რეჟისორი ლექციებზე რეგულარულად დასწრებას ვერ ახერხებდა და კურსიდან კურსზე დამოუკიდებელი მუშაობით გადადიოდა. ერთხელ, გამოცდის ჩაბარების ნაცვლად, სპილბერგმა საგამოცდო კომისიას "შინდლერის სია" "ჩააბარა".

მისი პირველი წარმატებული ნაბიჯი 1969 წლით თარიღდება. მაშინ ახალგაზრდა სპილბერგის მოკლემეტრაჟიანმა ნამუშევარმა ატლანტის კინოფესტივალის ჯილდო მოიპოვა, რასაც ხანგრძლივი ჰოლივუდური კონტრაქტი მოჰყვა. თუმცა, სპილბერგის პირველი სერიოზული სიტყვა მაინც "ყბები" იყო. აღმასვლაც სწორედ ამ ფილმით დაიწყო.

21 ივნისს კი კოლეჯის დამთავრებას რეჟისორი ახალი ფილმის გამოსვლით "აღნიშნავს". ახლახან მან მუშაობა დაასრულა მეორე ფილმზეც, რომელშიც ლეონარდო დიკაპრიო და ტომ ჰენქსი მონაწილეობენ.



«როიტერის» ფოტო

## TV პროგრამა 4 ივნისი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ფიფქია
08.00 კურიერი
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 "კომუნიკატორი"
10.40 ბრენდაიზერი
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 დოკ.ფილმი
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 ბრენდაიზერი
18.45 სერიალი "ელენი და ბიჭები"
19.15 პერეკრესტოკი 19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 კომუნიკატორი
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. "მალენა" მთ.როლებში: მონიკა ბელუჩი, ჯუზეპე სულფარო

### პირველი არხი

07.30 "ალიონი"
09.45 მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი"
10.10 სერიალი "ქილის წინ"
10.30 ლერერის შოუ
11.20 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: ჩინეთი - კოსტა-რიკა
13.30 ყაზბეგი
13.50 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: იაპონია - ბელგია
16.00 50/50 16.20 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: კორეა - პოლონეთი
18.30 სერიალი "მორიგი მსხვერპლი"
19.10 "სიტყვა კაზმული"
19.40 ბასტი-ბუბუ
20.00, 22.50 მოამბე
21.00 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: იაპონია - ბელგია
23.35 ტელესერიალი "ქილის წინ"
23.55 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.15 ვიდეოპატრული
00.25 მხ.ფ. "გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" (9 - 10 სერია)

### მეორე არხი

18.30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი
20.30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი
22.15 "მოამბე" მეორე არხზე
22.30 კინოსეანსი "კასაბლანკა"

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
10.15 მულტფილმი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25, 21.30 "სალონი"
14.00, 23.00 სერიალი "საიდუმლო ნიშანი"
15.20 კომპიუტერის გაკვეთილი
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 მუსიკალური ტაიმაუტი
20.00 მსოფლიო სპორტი
00.15 მხ.ფ. "დროებითი ქურდობა"

### იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია
08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი
08.15, 20.15 აღსავალი
08.20, 09.55, 12.05, 20.20, 21.55, 00.15 მუსიკა
08.25 მხ.ფ. "ოფოფებით თავში"
10.00 მხ.ფ. "დათოვლილი ფიჭვები"
20.25 მხ.ფ. "ბინძური საქმე"
22.05 ძველი კინო_მხ.ფ. "მარნი"

### პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 "ტოროლა"
11.00 მუსიკალური ათეულის განმეორება
11.45 "ჩაძირობანა" განმეორებით
13.15 მხ. ფილმი
15.10 მუსიკა
17.30 "სწ.მედია" მხ.ფ. "ოცნებების გამყიდველები"
19.00 მუსიკა
20.00 კლიპები შეყვარებულთათვის პირდაპირ ეთერში
22.00 ევრო-რუსული ათეული
23.00 სველი ხაზი
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "მფარველი-ანგელოსი". მთ. როლებში ალბერტ ფინი, ბრიჯეტ ფონდა
01.30 "ღამურა" მხ.ფ. "ბულდაგულ". მთ. როლებში ენდრიუ მაკკარტი, ვოლფ ლარსონი
03.30 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "თვალთმაქცობა"
13.30 მხ.ფ. "სათამაშო"
15.00 მხ.ფ. "ლამაზმანი ჯო"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "პოლიციის აკადემია 2"
19.20 სპექტრი
21.00 სერიალი "შიშველი პისტოლეტი"
22.30 მხ.ფ. "დარტყმის სიშორეზე"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "ალექსი" 1-ლი სერია
09.45 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა"
10.15, 11.20, 17.15, 18.45, 20.20, 00.20 მუსიკა
10.30 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
11.30 მხ.ფ. "ბონი და კლაიდი"
13.20 მხ. ფილმი "პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი"
14.45 მსოფლიო ფეხბურთი
15.05 დისქავერი
16.00 დოკ. ფილმი "როგორ იქნებოდა აკლდამების მძარცველი"
16.30 მხ.სერიალი "ვენზინი სისხლში" მე-6 სერია
17.45 მულტფილმი "ალექსი" მე-2 სერია
19.00 მხ.ფ. "იურული პერიოდის პარკი" მთ. როლებში სემ ნილი, უილიამ მეიტი
21.00 მსოფლიო ჩემპიონატის დღიური
21.10 მულტფილმი "ტომი და ჯერი"
21.30 გადაცემა "მთავარი თემა"
22.15 მხ.ფ. "ქუჩის ქალი" მთ. როლში იზაბელ იუპერი
00.40 მხ.ფ. "ამადეუსი". მთ. როლებში მიერი აბრაჰამი, ტომ ჰალსი

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 მულტსერიალი "კატა ლეოპოლდი"
10.30 სათავგადასავლო ფილმი "პატარა პატრიოტი"
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 თოჯინური "ძველი თოფი"
13.55 კომედია "დიდი ებრძვის ნათესავებს"
15.20 მუსიკა
16.15 მულტფილმი "ბასკერვილების კოშკი"
17.30 თრილერი "გარიყულნი"
19.20, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
19.30 "წარსულიდან აწმყოში"
19.40 კომედია "საუკეთესო მეზობრის ქორწილი"
21.20 დოკუმენტური ფილმი
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05 "Пресс-папье"
23.10 "რა არ ხდება"
23.15 დოკუმენტური ფილმი
01.05 თრილერი "მეოთხე ომი"
03.30 ფანტასტიკა "მთიელი"
05.20 მუსიკა

### VII არხი

10.30 მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა
11.20 მუსიკალური ტაიმაუტი
11.50 მულტსერიალი
12.10 "ავტოტრეკინგი"
13.05 ტექნიკის სიახლეები
13.10 გასართობი პროგრამა
13.35 დისნეი და მისი მეგობრები
14.10 სპორტი
18.10 პრესა
18.25 სპორტული ინფორმაცია
18.35 მუსიკალური ტაიმაუტი
18.50 ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 საინფორმაციო გამოშვება
19.45 მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა
20.50 მუსიკალური ობიექტივი
21.15 ასტროლოგიური პროგნოზი
21.20 "ღამის კაარიზი"
22.10 მოკლედ... სპორტი
22.25 პრესის მიმოხილვა
22.40 "კინოკლუბი " -ეკრანული სახეები - ბრედ პიტი - მხ.ფილმი "ჯო სიკვდილი" - 2 სერია.
00.10 პრესის მიმოხილვა
00.50 საინფორმაციო გამოშვება
01.10 მუსიკალური ბიორითმი
01.30 მხ.ფ. ჟანრებში: - "კამერა"

### ОРТ

07.00 "Доброе утро".
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости.
10.15 Жди меня
11.15 Что? Где? Когда?
12.25 "Жизнь замечательных людей" Г. Жженов.
13.20 Дисней-клуб
13.45 ФУТБОЛ. ЯПОНИЯ-БЕЛЬГИЯ.
16.15 Мультазбука
16.35 Царь горы
17.00 х.ф. "ЗИМНЯЯ ВИШНЯ" 1-я с.
18.00 Большая стирка
19.20 сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
20.15 х.ф. "ВТОРОЙ БЕТХОВЕН"
22.00 Время.
22.35 "Кто хочет стать милионером?"
23.40 Лубянка. "Заключеный №35".
00.05 ФУТБОЛ. ЯПОНИЯ-БЕЛЬГИЯ.
01.00 Ночное "Время"
02.15 х.ф. "ОПЕРАЦИЯ "МЕДУЗА" 1-я с.

### РТР

06.50-10.00 Утро на РТР
06.50, 07.50, 08.50, 09.50, 19.20, 21.35, 00.20 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 16.00, 18.30, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь".
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 09.10 Дежурная часть
07.30, 19.10 Афиша
07.40, 23.45 Дорожний патруль
08.10 Экспертиза РТР
08.20 Национальный доход
08.25 Вести-спорт
08.40 "Пролог" часть 1-я.
09.15 Колоссальное хозяйство
09.40 "Пролог" часть 2-я.
10.10 Сериал "СЕМЕЙНЫЕ ТАЙНЫ"
11.20 ФУТБОЛ. КИТАЙ-КОСТАРИКА.
13.30 Сериал "СИБИЛЛ".
14.00 "ЛОДКА ЛЮБВИ"
15.00 Сериал "дикий ангел"
16.20 ФУТБОЛ. КОРЕЯ-ПОЛЬША.
18.50 Сериал "ДРУЗЬЯ-4"
19.50 "комиссар рекс"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Док. сериал "Футбольные войны".
22.50 "КОБРА. ЗАМОРОЖЕННЫЙ ТРАНЗИТ". 2-я ч.
00.00 Вести - Подробности
00.30 Дневник чемпионата мира по футболу.
01.25 Фильм "СНЫ".

### НТВ

07.00 Утро на НТВ
09.50, 20.35 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН".
11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00, 01.00 Сегодня.
11.25 Внимание розыск!
12.20 "Растительная жизнь"
13.20,16.40, 19.40 Криминал
13.30 фильм "ТЕНЫ ИСЧЕЗАЮТ В ПОЛДЕНЬ"
15.20 Ток-шоу
17.30, 21.45 Сериал "ПО ИМЕНИ БАРОН..."
18.35 Фильм "ГРЯЗНАЯ РАБОТА"
23.35 Герой дня
00.05 Сериал "скорая помощь-3"

### TV6

08.00, 08.15, 08.30, 08.45, 09.00, 09.15, 09.30, 09.45 Новости
09.30, 10.25 Место печати
08.15, 09.35,11.05 Свободное время
08.20, 09.20, 10.30 "АБС"
08.35, 09.45 Назло
08.45, 22.45 Тушите свет.
09.10 Спорт.
10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00 Новости
10.35 Публичные люди.
11.10 "КОРОЛЕК-ПТИЧКА ПЕВЧАЯ" 4-я с.
12.25 "Рыцарь Овального кабинета"
13.35 фильм "БЕЗ ВИДИМЫХ ПРИЧИН"
15.00, 21.00, 01.25 "За стеклом.
16.25 100 чудес света
17.25 фильм "ЗА ТРИДЕВЯТЬ ЗЕМЕЛЬ"
18.30, 23.00 Сериал "детектив нэш бриджес"
19.25 "Публичные люди"
20.35 "Смотрите кто пришел"
00.00 Грани
00.35 "Без протокола"

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 54, მე-14 სართული. ტელ: 32 23 71
იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში